დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის 27 მარტი - 2 აპრილი
N 14 1478
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი




# როგორ მოვაპარვინოთ თავი 100 ათასს

## ჭამე, მიშა! გეყო, რაც ჭამე!




ბატონო პრემიერო, დააბრუნეთ მწერლობა, რომელიც სააკაშვილმა განდევნა ქართველი ერის საარსებო სივრციდან!

**კობა არაბულის მცირე ეპისტოლე საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს**

## ბერიას საგანგებო ვიზიტი თბილისში, რომელიც პრესაში არ გაშუქებულა



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 89 (9557) | ოთხშაბათი, 15 აპრილი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

მიმდინარე წლის 14 აპრილს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.







„თუ ქართულად ვერ ლაპარაკობ, მაშინ ჩამოეთრიე ტრიბუნიდან! — მიმართა ბერიამ ორატორს“

## «დღეს საქართველოსათვის ყველაზე დიდი საფრთხე რუსეთი კი არა, ანგლოსაქსების გეგმებია!»



# ჭამე, მიშა! გეყო, რაც ჭამე!



***როგორც ჩანს, მოაწია დრომ, როცა წერტილი უნდა დაესვას კლინიკა „ვივამედის“ მედპერსონალის ამქვეყნიურ ჯოჯოხეთს, რომელსაც ექიმები, მედდები და სანიტრები აგერ უკვე 10 თვეა, პატიმარ-პაციენტ სააკაშვილის ხელში გადიან.***

საქმე ის არის, რომ გასულ კვირას „ვივამედის“ ხელმძღვანელობამ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტს მიმართა, განიხილოს, რამდენად მიზანშეწონილია სააკაშვილის კლინიკაში გაჩერება იმ ფონზე, როცა იგი მედიკოსთა რეკომენდაციებს არ ემორჩილება და მკურნალობაზე უარს აცხადებს.

მოდით, ვნახოთ, კონკრეტულად, რა წერია „ვივამედის“ ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში:

***„პაციენტი მ. სააკაშვილი კლინიკა „ვივამედში“ იმყოფება 2022 წლის 12 მაისიდან დღემდე. პაციენტს ჩაუტარდა გამოკვლევების სრული სპექტრი, დაესვა დიაგნოზი და განესაზღვრა მკურნალობის სქემა თანამედროვე გაიდლაინების შესაბამისად.*** *მთელი ამ ხნის განმავლობაში, მიუხედავად ჩვენ მიმართ არნახული ზეწოლისა, ვცდილობდით, დავგვერწმუნებინა პაციენტი, რომ ჩაეტარებინა მკურნალობის კურსი, რაც ოქტომბრის თვემდე მეტ-ნაკლებად ხერხდებოდა და სახეზე იყო ჯანმრთელობის მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესება.* ***გასული წლის ოქტომბრის შემდეგ, პაციენტი უარს აცხადებს შეთავაზებულ მკურნალობაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ესა თუ ის პრეპარატი ან პროცედურა დადებითად აისახება მის სუბიექტურ ან ობიექტურ მონაცემებზე“.***

მიაქციეთ ყურადღება: **სააკაშვილი როგორც კი შეატყობს, რომ ამა თუ იმ პრეპარატის მიღების ან რომელიმე სამედიცინო პროცედურის ჩატარების შემდეგ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უმჯობესდება, მაშინვე წყვეტს მკურნალობას, რათა თავის მომკვდარუნების სცენარი არ ჩაეფუშოს.**

როგორც „ვივამედის“ განცხადებაშია ნათქვამი, **სააკაშვილი მხოლოდ სიმპტომურ მკურნალობას თანხმდება, ანუ იღებს მედიკამენტებს დაავადების სიმპტომთა ჩასაქრობად, მაგრამ ექიმებს არ აძლევს უფლებას, ებრძოლონ დაავადების გამომწვევ მიზეზებს.**

შედეგად, როგორც „ვივამედის“ განცხადებაშია აღნიშნული, **სამედიცინო ცენტრი დაუმსახურებლად იღებს უზარმაზარ რეპუტაციულ ზიანს, რადგან სააკაშვილის ოჯახის წევრები, ადვოკატები და პოლიტიკური მიმდევრები კლინიკის მედპერსონალსა და ადმინისტრაციას მუდმივად ადანაშაულებენ იმაში, რომ პაციენტს ვერ მკურნალობენ ან, კიდევ უარესი, შეგნებულად არ ზრუნავენ მის გამოჯანმრთელებაზე.**

„ვივამედის“ ადმინისტრაციის განცხადებაში ვკითხულობთ:

***„სავარაუდოდ, იძულებული ვხდებით, მივმართოთ პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო სამსახურს, შეაფასოს პაციენტ მ. სააკაშვილის კლინიკა „ვივამედში“ შემდგომი დაყოვნების მიზანშეწონილობა, ვინაიდან ის სიმპტომური მკურნალობა, რაზეც თანხმობას აცხადებს პაციენტი, შესაძლებელია ნებისმიერ სხვა დაწესებულებაში“.***

ასე და ამრიგად, შესაძლოა, სააკაშვილი „ვივამედიდან“ **გლდანის ციხის სამკურნალო დაწესებულებაში** გადაიყვანონ ან, სულაც, **რუსთავის ციხეში** დააბრუნონ, სადაც, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თავისი უკრაინელი საყვარელი **ლიზა იასკო** დააფეხმძიმა.

**ჰოდა, ატეხეს ერთი ვაიუშველებელი სააკაშვილის დედამ, სააკაშვილის დედასთან დაახლოებულმა კაცმა ბიორგი ჩალაძემ, სააკაშვილის ადვოკატებმა და სააკაშვილის პარტიის წარმომადგენლებმა** — არიქა, მიშას ციხეში დაბრუნებას უპირებენ, კლინიკა მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე პასუხისმგებლობას იხსნის, „რუსული ოცნება“ კი პუტინის ოცნების ასასრულებლად მესამე პრეზიდენტს საბოლოოდ კლავსო!

ე.ი. საქართველოს ხელისუფლებამ პუტინის დავალების შესრულება ჯერ რუსთავის ციხეში დაიწყო და სააკაშვილს იქ კლავტალში მოკლა და ვერც „ვივამედში“ მოკლა, ახლა ეს საზიზღარი პუტინისტები მეორე წრეზე მიდიან — სააკაშვილს ციხეში ან ციხის საავადმყოფოში აბრუნებენ, რომ თავიდან დაიწყონ მისი კვლა!

**მოკ-**



და; მერე კლავდა გლდანის ციხის საავადმყოფოში; მერე კლავდა გორის სამხედრო ჰოსპიტალში; მერე კლავდა კლინიკა „ვივამედში“... და რადგან საქართველოს ხელისუფლება ისეთი უნიათო გამოდგა, რომ წელიწად-ნახევრის განმავლობაში პატიმარი სააკაშვილი ვერც რუსთავის ციხეში მოკლა, ვერც გლდანის ციხის საავადმყოფოში მოკლა, ვერც გორის სამხედრო ჰოსპიტალში მოკლა და ვერც... **ლედ რომ მოვჭრათ, საქართველოს ხელისუფლებას სააკაშვილი სულ კვლაში ჰყავს!**

**პუტინისტური რეჟიმი ცდილობს, ქართული სახელმწიფოს შემქმნელსა და ქვეყნის აღმშენებელს კვლა-კვლით ამოხადოს სული!**

**ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს ბიული! ასე ამბობს ბიულისთან დაახლოებული კაცი ჩალაძე! ასე ამბობს ბიულისთან და ჩალაძესთან დაახლოებული ადვოკატი ხაჭაპურიძე!**

ხოლო ზარატუსტრა იტყოდა ასე: **„არა გსურთ ჰკლავდეთ, თქვენ მსაჯულნო და შემწირველნო, ვიდრე ცხოველი არ წაიჩოქებს? შეხედეთ, ფერწასულმა ბოროტმოქმედმა წაიჩოქა: მისი თვალებით დიდი მძულვარება გამოკრთის“.**

## საავადმყოფოდან გასაგდები და ციხეში მიშაგდები

### სააკაშვილისათვის, როგორც ფერწასული ბოროტმოქმედისათვის, ციხეში დაბრუნება საუკეთესო წამალი და მკურნალობა იქნება!

როგორც კი ციხეში დააბრუნებენ და საკნის კარს მიუხურავენ, ნაცბელადი მაშინვე გააცნობიერებს, რომ წარმოდგენა დასრულდა, შოუ აღარ გრძელდება და **10-თვიანი კვდომის ქრონიკა,** რაც მართლმსაჯულებისაგან თავის დაძვრენას ემსახურებოდა, კრახით დასრულდა! მიხვდება, რომ **„კამოს კერძის“ ჭამა, რითიც „ვივამედში“ თითქმის ერთწლიანი კოტრიალისას იყო დაკავებული,** უშედეგო გამოდგა და ძველებურად დაიწყებს ჭამას ნოყიერი კერძებისას, მაგალითად, **შეჭამს საცივს სოფო ნიჟარაძის დედისა, ხოლო ცივ მჭადსა და შავ პურს დედამისისა აღარ შეჭამს!**

შედეგად, მაშინვე მოვა ფერზე ფერწასული ბოროტმოქმედი, რომელმაც ისე იცხოვრა და ისაქმიანა, რომ მარტო ხელისუფლებიდან გასაგდები კი არა, საავადმყოფოდან გასაგდებიც შეიქნა!

წარმოიდგინეთ, ნაპრეზიდენტალი კაცი **საავადმყოფოდან გასაგდებად** რომ გაიხდის საქმეს!

**საავადმყოფოდან გასაგდები და ციხეში მიშაგდები კაცი!**

ჰოდა, ხელისუფლებავ, დააბრუნე სააკაშვილი ციხეში!

ჰოდა, მიშა, გეყო, რაც ჭამე, ახლა კი ჭამე!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



მიზანი **სააკაშვილის** შემოსვლისა იყო ნიადაგისა და ფონის მომზადება, რომ **საქართველოშიც დაწყებულიყო ომი.** რა თქმა უნდა, ეს გეგმა ჩაუვარდათ, ჩვენი ქვეყნის შიდა და გარე მტრებმა წააგეს.

„იმედინიუსი“

**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



**მიხეილ სააკაშვილი** კონტეინერში ჩასვეს და სიტუაციის ასარევად გამოგვიგზავნეს, გამოგვიგზავნეს იმისთვის, რომ **საქართველოს უკრაინიზაცია** მომხდარიყო.

„იმედინიუსი“

**ანრი ოხანაშვილი**
*პარლამენტარი*



ნაციონალურ მოძრაობაში არც მალავენ, რომ **მათთვის მისაღები არ არის, ქვეყანამ კანდიდატის სტატუსი მიიღოს,** რადგან შემდეგ საფუძველს დაკარგავენ, ვიღაცას ეძახონ „პრორუსი“.

„პირველი არხი“

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ნაცმოძრაობის მიერ მართულ არხებზე გამოჩნდა ასეთი სათაურებიც — **„ქართული გაზაფხული“, „თბილისური გაზაფხული“,** ამის სუნი იგრძნეს ევროპელებმა... **ბივი თარბამაძემ** გამოაქვეყნა პარიზის ფოტოები, პოლიციის დამწვარი მანქანები, განადგურებული ქუჩები და დაწერა, რომ ეს არის ნამდვილი ევროპა, ასეთი უნდა იყოს ევროპელი და ქართველი ახალგაზრდობა. **ეს ძალიან საშიში ტენდენციაა.**

„TV იმედი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



პოლიტიკას არაფერი ესაქმება აუდიტორიაში როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მხრიდან, **ახალგაზრდობა არავისთვის არ არის გასამართლებელი საბუთი,** ყველა სრულწლოვანია და აქვს პასუხისმგებლობა.

„პირველი არხი“



# როგორ მოვაპარვინოთ თავი 100 ათასს

## რატომ შემეცოდა გუბაზ სანიკიძე

***საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი გუბაზ სანიკიძე ცხოვრებაში პირველად 2023 წლის 24 მარტს შემეცოდა, როცა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტის უმაღლესი ტრიბუნიდან ხელი დაადო — მილიონი ვერ იშოვე, მაგრამ, სამაგიეროდ, სააკაშვილს 100 ათას დოლარად მიეყიდე!***

ამ ბრალდებას სანიკიძემ გინებით უპასუხა, რაც პარლამენტის კიბეზე მისი დაგორებით და ქუჩაში გაპანღურებით დასრულდა...

**ხომ გეუბნებით — აქამდე მასზე ვბრაზობდი, მაგრამ ახლა გუბაზ სანიკიძე საცოდავია და მხოლოდ მეცოდება!**

პირველად გუბაზზე მაშინ გავბრაზდი, როცა ე.წ. „კარვების აქციის" დროს მთელი თავისუფლების მოედანი, სადაც მისი „ეროვნული ფორუმი" იყო დაბანაკებული, ერთ მშვენიერ დღეს მთლიანად აიხვეტა და პროტესტიც საეჭვოდ შეწყდა... **მაშინ ერთმა უცნობ-ნაცნობმა, რომელიც ასეთ საქმეებში იშვიათი ყნოსვით გამოირჩევა, მითხრა:** თავისუფლების მოედნიდან კარვების აღებაში გუბაზ სანიკიძეს ფული აქვს აღებული, ვანო მერაბიშვილი თვეში 25 ათას დოლარს უხდისო!

ვერაფრით დავიჯერე ეს ამბავი და ჩემს თავს ვეკითხებოდი — **როგორ, კაცმა სააკაშვილს უზარმაზარ მიტინგზე „ჯალალედინი" უწოდა, ხოლო მერაბიშვილს — „მაწანწალა ძაღლი" და ამ გაფუჭებულებს როგორ შეეკვრება-მეთქი?**

გამოხდა ხანი და გულმა რეჩხი მიყო, რადგან **„ეროვნული ფორუმიდან" ჟიული შარტავას ვაჟი კახა შარტავა** წავიდა, სამაგიეროდ, პარტიაში დარჩა **გელა ხვედელიძე — ვანო მერაბიშვილის ფარული ხელისბიჭი და თვითგამოცხადებული ჟურნალისტის ელისტრატე ქილაძის ბინძური კომპრომატებით მომმარაგებელი,** რისთვისაც ერთ მშვენიერ დღეს ბატონი გელა დაამამაპაპურეს.

გულმა მეორედ რეჩხი მაშინ მიყო, როცა იმავე უცნობ-ნაცნობმა ისე, საყველპურო საუბარში ახსენა — **გუბაზმა ვანოს მიერ მიცემული ფულებით საბურთალოზე ბინა იყიდაო!**

ქვეყანამ იცის, რომ გუბაზს ბინის საყიდელი კი არა, სიგარეტის ფულიც უჭირდა და მეგობრები ინახავდნენ... **რამდენჯერაც მასთან ვაკეში, აბაშიძის ქუჩაზე, საგაზეთო ინტერვიუს ჩასაწერად მივსულვარ, ზაფხულის ცხელ დღეებში გუბაზი უზარმაზარი ფოხანით კომპიუტერთან იჯდა და მთელი დღე კართაგენელებსა და რომაელებს ერთმანეთში ახმალავებდა...**

საბოლოოდ გუბაზზე მაშინ ჩავიქნიე ხელი, როცა სააკაშვილის ინაუგურაციის ვითომდა ჩასაშლელად ხალხი სასტუმრო „აჭარის" წინ შეკრიბა და სანამ რუსთაველამდე მოაღწია, მანამდე **ამერიკელებმა და ევროპოზებმა** სააკაშვილი პრეზიდენტად კი არა, ლამის იმპერატორადაც აკურთხეს!

**იმის შემდეგ გუბაზი დადის უკუღმა... მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილის ოჯახის შესახებ ბინძურ და არაკაცურ ჭორაობაშიც გამოიჭირეს და ე.წ. „მილიონის შოვნის" სკანდალშიც ამხილეს, გუბაზი 2012 წლის პარლამენტში მაინც შეაგორეს, რაც, ჩემი აზრით, მისთვის ყველაზე დიდი სასჯელი იყო. მაგრამ ლევან სანიკიძის შვილი თავად ასე არ თვლიდა...**

თუმცა, ყველაზე დიდი სასჯელი მას წინ ელოდა... ეს მოხდა მაშინ, როცა **გუბაზ სანიკიძემ ვალერი გელბახიანთან** ერთად სააკაშვილს კიევში ჩააკითხა და თან თავისი ვაჟი **ლევან სანიკიძეც** იახლა. როცა გალოთებულ ნაპრეზიდენტალს შამპანურით სავსე ფუჟერი ფუჟერზე მიუჭახუნა, **მაშინ გუბაზმა ჩაიდინა ყველაზე საშინელი ღალატი — შვილს აყურებინა, თუ როგორი არ უნდა იყოს მამა!** დიახ, გუბაზმა შვილს — **უმცროს ლევან სანიკიძეს** ღალატში მასტერკლასი ჩაუტარა და 310-ე ქართული სირცხვილი ანახა!

**ზემოთ მოგახსენეთ, გუბაზ სანიკიძე 2023 წლის 24 მარტს ცხოვრებაში პირველად შემეცოდა-მეთქი!** იმიტომ კი არ შემცოდებია, როგორც **ირაკლი ღარიბაშვილმა** თქვა, სააკაშვილისგან 100 ათასი დოლარი აიღო ქრთამად და მოღალატე გახდა! არა... ეს გუბაზს არ ანაღვლებს და მაგაზე არც ფიქრობს!

**ლევან სანიკიძის შვილი საცოდავი იმიტომ არის, პარლამენტის კიბეზე ვიგინდარა „ჭუტლექსასავით" რომ ჩაათრიეს, კარი გაუღეს, უკანალში ჭიტლაყი ამოსცხეს და გარეთ გააგდეს!**

**ეს რომ ლევან სანიკიძეს ენახა, ალბათ, გული გაუსკდებოდა... სამწუხაროდ, გუბაზი აწ განსვენებულ ლევან სანიკიძეს ყოველდღე კლავს, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ თავისი საქციელით მომავალს შვილსაც უკლავს და ლევან სანიკიძე უმცროსსაც მძიმე ტვირთს ჰკიდებს!**

**„ვინძლო ქვეყანა არ გააციწო!"** — დაარიგა ხევისბერმა გოჩამ ერთადერთი შვილი, რომელმაც მამის შეგონება არ შეისმინა...

კიბეზე ავეტიკას ბიჭივით რომ დაგაგორეს და გარეთ კინწისკვრით გაგაგდეს, ამაზე ხალხი არათუ იცინის, არამედ ხარხარებს, გუბაზ!

ჰოდა, მოიფიქრე რამე, თორემ შენ და სააკაშვილს ძაღლიც მიგკვდომიათ!

***დიტო ჩუბინიძე***





## გუ-ბოზ-ის გაპან-ჩურ-ება



## მაშინ გუბაზმა ჩაიდინა ყველაზე საშინელი ღალატი – შვილს აყურებინა, თუ როგორი არ უნდა იყოს მამა!

## კვირგვინოსნები

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



ფაშისტური მეთოდებით მებრძოლი ადამიანები პოლიტიკურ ველზე არ უნდა იყვნენ. **ვანო მერაბიშვილი,** რომლის კისერზეც ათეული ადამიანის ცოდვაა, **რომლის უშუალო ბრძანებითაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა დაზარალდა,** რომელმაც მიტინგზე ორი ადამიანი არათუ მოკლა, მათ ოჯახებს კუბოს სახურავის ახდაც აუკრძალა, გამოდის და **9 აპრილს აპირებს აქციის ჩატარებას,** ანუ უნდა, რომ ეროვნული მოძრაობის ნიშნით შარავანდედი მოისხას.

„საერთო გაზეთი"

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის" ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი*



ნაცები **„ქართულ ოცნებასთან" შეთანხმებით** არ შემოდიან პარლამენტში.

9 აპრილს აქციის გამართვა მცდელობაა, თქვან, რომ **ეროვნული მოძრაობის გამგრძელებელი არიან,** მე ვერ გავბედავდი, ამ დღეს დამეგეგმა აქცია, ნაცმოძრაობაში გამბედავი ხალხია.

„პირველი არხი"

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



მეორდება ის, რაც წლების წინ ხდებოდა, როცა **ნაცმოძრაობა ევროსტრუქტურების დერეფნებში დადიოდა და პარტნიორებს ემუდარებოდა,** ჩვენთვის სავიზო რეჟიმის გამარტივება არ დაეშვათ.

„ინტერპრესნიუსი"

**ალექსანდრე რაქვიაშვილი**
*„გირჩის" წევრი, პარლამენტარი*



რატომ ეხმარებიან **ნაციონალური მოძრაობა და „სტრატეგია აღმაშენებელი" „ოცნებას"?** თავად უნდა ახსნან, ეს სისულელის შედეგია, მოსყიდული არიან, თუ ვერ ხვდებიან, რა აკეთონ. „პირველი არხი"

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*



**მიხეილ სააკაშვილი** პოლიტიკიდან გასვლას არ აპირებს. სავარაუდოდ, მას **7-8 მარტის მოვლენების შემდეგ იმედი გაუჩნდა,** რომ სათავეში ჩაუდგება ოპოზიციას, როგორც ლიდერი. „რეზონანსი"

***ბატონო ირაკლი, მოგეხსენებათ, მარტში საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის პოპულარობის რეიტინგმა ანტირეკორდი დაამყარა და 28 პროცენტამდე დაეცა, მაგრამ ეს უკეთესია, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის პოპულარობის რეიტინგი, რომელიც ყოველთვის ნულის ქვემოთ იყო.*** *პარიზელ კოლეგებს მიაჩნიათ, რომ მეხუთე რესპუბლიკა რევოლუციის ზღვარზეა, რომელიც საყოველთაო ევროპულში გადაიზრდება, რადგან უზრუნველყოფილმა ევროპელმა გადამხდელმა დღეს თვალებში ჩახედა სიღარიბეს, რომელიც მან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გადალახა და მეტი აღარ სურს სხვისი ინტერესებისთვის ხარკის გაღება.*

*წარმომიდგენია, რამდენად რთულია თქვენთვის, „პარიზი 1-ის პანთეონ-სორბონის“ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულისთვის, მართოთ ქვეყანა, სადაც პრეზიდენტი, პოლიტიკური ოპოზიცია, მედია და „სამოქალაქო სექტორი“ უცხოური გავლენის აგენტები ან უცხოეთის სპეცსამსახურების რეზიდენტები არიან, თანაც, დაბალი IQ-ით. ამ წერილის სათაურის წაკითხვისას მათ, ალბათ, იფიქრეს, რომ* ***მსუბუქი ყოფაქცევის ქალებზე*** *გწერთ, მაგრამ შეცდნენ — საუბარი შეეხება საქართველოში* ***დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს*** *საქმიანობას. ამასთან დაკავშირებით მინდა მოგაწოდოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, თუმცა, ზოგიერთი ფაქტი, რა თქმა უნდა, თქვენთვის ცნობილია.*



## თქვენს ყურადღებას მივაპყრობ მხოლოდ ფაქტებს, ციფრებსა და სქემებს...

## პოლიტოლოგი ხიდირბეგიშვილი პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილს მიმართავს

**ბატონო პრემიერო,**

რასაკვირველია, თქვენ იცით, რომ **„პეპლის ეფექტს“** არავითარი კავშირი არა აქვს ეგრეთ წოდებულ **„ღამის პეპლებთან“**, ეს ამერიკელი მათემატიკოსის **ედვარდ ლორენცის** ტერმინია, რომელიც ფრანგ მათემატიკოს **ანრი პუანკარესთან** ერთად, **ქაოსის თეორიის** დამფუძნებელია, რომლის მიხედვითაც **პეპელას,** რომელიც ფრთებს აიქნევს, შეუძლია გამოიწვიოს ეფექტების ზვავი, რაც გამოიღებს არაპროგნოზირებად შედეგებს დედამიწის სხვა ნაწილშიც კი — მაგალითად, წყალდიდობას ან ტორნადოს. **„პეპლის ეფექტის“** კლასიკურ ილუსტრაციად მიიჩნევა ამერიკელი მწერლის **რეი ბრედბერის** სამეცნიერო-ფანტასტიკური მოთხრობა **„ჭექა-ქუხილის ხმა“,** მაგრამ მკითხველს არ შევაწუხებ **„ლორენცის პეპლის“** სქემის განმარტებით, რომელიც ასახავს არაწრფივი დიფერენციალური განტოლებების სისტემის ამოხსნის ბინარულობას სხვადასხვა პარამეტრებისას, რომლებიც მიისწრაფვიან ერთ-ერთი ფრთა — ატრაქტორისკენ **(იხ. სქემა №1).**

რაკიღა ქვემოთ დიდ ბრიტანეთზე ვისაუბრებთ, ძველ ინგლისურ ანდაზაზე დაფუძნებულ ელემენტარულ მაგალითს მოვიყვან, რომლის არსიც მდგომარეობს შემდეგში: **სამჭედლოში, სადაც ცხენს ნალებს აკრავდნენ, ერთი ლურსმანი დააკლდათ, რის გამოც ბრძოლისას მან ნალი დაკარგა და წაიფორხილა; ცხენოსანი — კავალერიის მეთაური — უნაგირიდან გადმოვარდა და დაიღუპა, რის შედეგადაც ბრძოლა, შემდეგ კი — მთელი კამპანიაც მარცხით დასრულდა; დაიღუპა ბევრი ადამიანი და მსოფლიოს მართვა გამარჯვებულმა ქვეყანამ დაიწყო და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ოდესღაც სამჭედლოში ცხენის დასაჭედად ერთი ლურსმანი დააკლდათ...**

**ბატონო პრემიერო,**

ქვემოთ თქვენს ყურადღებას მივაპყრობ მხოლოდ ფაქტებს, ციფრებსა და სქემებს, რომლებიც ირიბად ადასტურებენ, რომ დღეს **სამხრეთ კავკასიის და თვით შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ბედი დამოკიდებულია პეპელასავით პატარა, ლამაზ და უსუსურ საქართველოზე. „სასწორის რომელ პინაზეც დაეშვება პეპელა, ის გადაწონის“ — საქართველოს მთავრობის, რომელსაც თქვენ მეთაურობთ, საშინაო და საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებები, უდავოდ მოახდენს გავლენას ჩვენს კავკასიელ მეზობლებზე — სომხეთსა და აზერბაიჯანზე, შესაბამისად, გარკვეულწილად ძალთა ბალანსზე რუსეთსა და აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, ისრაელს, ირანსა და თურქეთს შორის.**

გაუძლებს თუ ვერა საქართველო დასავლური ალიანსის — ნატოს წევრი ქვეყნების პოლიტიკური ხელმძღვანელობის წნეხს, რომლის დირიჟორიც გაერთიანებული სამეფო, ხოლო პირველი ვიოლინო — გაერთიანებული შტატები არიან? ეს დიდწილად განსაზღვრავს, თუ რა გზას დაადგებიან ამიერკავკასიის ქვეყნები, რაც უდავოდ მოახდენს გავლენას „დასავლეთ-აღმოსავლეთის“ გლობალურ დაპირისპირებაზე მრავალპოლარული სამყაროს ჩამოყალიბების პროცესში.

ამაში დავრწმუნდი კომპეტენტურ სომეხ, აზერბაიჯანელ და ისრაელელ ექსპერტებთან საუბრის შემდეგ, რომლებიც სერიოზულად

# «პეპლის ეფექტი»




1



# ვინ ახდენს უცხოეთის აგენტების

## კვირგვინოსნები



**კელი დეგნანი**
*საქართველოში აშშ-ის ელჩი*

პრეზიდენტი **ზურაბიშვილი** საქართველოს ფანტასტიკური წარმომადგენელია.

„ახალი თაობა“



**სებასტიან მოლინეუსი**
*სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი*

მსოფლიო ბანკი **საქართველოს გვერდით დგას როგორც სანდო პარტნიორი** და განაგრძობს ქვეყნის მხარდაჭერას, რათა ის გახდეს **მაღალშემოსავლიანი სახელმწიფო** და ევროკავშირის წევრი ქვეყანა.

„ინტერპრესნიუსი“



**ანალენა ბერბოკი**
*გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი*

გერმანელებისთვის **ხინკალი და ხაჭაპური** აღარ არის უცხო სიტყვები, მიუხედავად იმისა, რომ მათი წარმოთქმა არ არის მარტივი, მათ შორის ჩემთვის.

„იმედინიუსი“



**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი*

დღეისათვის მე რესპუბლიკური პარტიის ყველაზე პოპულარული კანდიდატი ვარ! **ბაიდენსა და მის ბანდას ჩემი ეშინიათ, ჰოდა, მდევნიან!** ჩემს მომხრეებს მოვუწოდებ, გამოვიდნენ ქუჩაში!

„ახალი თაობა“



**დიტო სამხარაძე**
*პარლამენტარი*

საქართველოს **უსამართლოდ არ მიანიჭეს ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსი** და დღეს **კანდიდატობამინიჭებულმა მოლდოვამ** რუსეთიდან გაზის შესყიდვა დაიწყო.

„აიპრესი“



**რომან გოცირიძე**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრი, პარლამენტარი*

ნაციონალურ მოძრაობას: პარლამენტი ხაჭაპური არ არის, ყველი რომ გიყვარდეს და ქერქი — არა. **ან შემოდი, ან გადი, ეს ზღურბლზე დგომა რა ხილია, ვერ გავიგე.** გამჭოლმა ქარმა გაციება იცის.

„აიპრესი“

არიან შეშფოთებულნი არსებული პოლიტიკური ვითარებით, მათ შორის — საქართველოში, რომელსაც ისინი დამსახურებულად მიიჩნევენ მეორე სამშობლოდ. დიდ ბრიტანეთში ქართველმა ემიგრანტებმა კი ძალიან მართებულად შემახსენეს 2016 წლის 5 და 19 დეკემბრის პროგნოზები:

2016 წლის 5 დეკემბერი — **„აშშ კავკასიაში ჩაანაცვლებს დიდ ბრიტანეთს — CSSF გეგმები საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და მოლდოვაში“ — საქინფორმი**

2016 წლის 19 დეკემბერი — **„არნო ხიდირბეგიშვილი — რუსული პროპაგანდისა და საქართველოში შემოსული მილიონობით გირვანქა სტერლინგის შესახებ“**

ზემოხსენებულ ანალიტიკურ პუბლიკაციებში დეტალურად არის განხილული კონფლიქტების აღკვეთის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების მხარდამჭერის ფონდის (CSSF, დიდი ბრიტანეთი) პროგრამა საქართველოში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და მოლდოვაში 2016-2017 წლებში.

**კონფლიქტების აღკვეთის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების მხარდამჭერის ფონდი** (CSSF) შეიქმნა 2015 წელს **დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო განვითარების სამინისტროსა და დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს** მხარდაჭერით. ფონდის სტრუქტურა მოიცავდა ზემოაღნიშნულ სამინისტროებთან არსებულ უწინ მოქმედ ფონდებს. CSSF-სა და მასთან შერწყმულ წინა ფონდებს შორის მთავარი განსხვავებაა მისი მუშაობის კოორდინაცია უშუალოდ **დიდი ბრიტანეთის ეროვნული უშიშროების საბჭოსთან,** რომელსაც თავმჯდომარეობს **პრემიერ-მინისტრი.** ფონდის წლიური ბიუჯეტი 2016 წლის დეკემბრის მონაცემებით, 1 მილიარდ გირვანქა სტერლინგზე მეტი იყო, დღეს, 6 წლის შემდეგ, ის, სავარაუდოდ, გაიზარდა.

2016 წლის მდგომარეობით შეიქმნა CSSF ფონდის 3 წარმომადგენლობა: **ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში** (ოფისით თბილისში), **ცენტრალურ აზიაში** (ოფისით ბიშკეკში), ხოლო **დიდი ბრიტანეთის საელჩო კიევში** კოორდინაციას უწევს ფონდის მუშაობას აღმოსავლეთ ევროპაში.




## ბატონო პრემიერო,

როგორც მოგახსენეთ, ზემოაღნიშნულ ორ პუბლიკაციაში პუნქტობრივად განხილულია **კონფლიქტების აღკვეთის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების მხარდამჭერის ფონდის** (CSSF) პროგრამა საქართველოში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და მოლდოვაში 2016-2017 წლებში, რომელიც კოორდინირებულია **ეფექტიანი მმართველობის ფონდის** (GGF) უკვე არსებულ პროექტებთან **„ამ ქვეყნებში დიდი ბრიტანეთის გავლენის შემდგომი გაზრდის მიზნით“.** 2016 წელს ხელში ჩამივარდა CSSF პროგრამა ინგლისურ ენაზე (თან ახლავს ზემოხსენებულ პუბლიკაციებს) და დღეს შეგვიძლია იმის კონსტატაცია, რომ **პროგრამაში დასახული მიზნები სომხეთსა და მოლდოვაში თითქმის სრულად განხორციელდა. რაც შეეხება საქართველოს, აქ, CSSF-ის მიერ ამოქმედებული ფინანსური რესურსებისა და მინისტრთა კაბინეტის ყოფილ ხელმძღვანელ გიორგი კვირიკაშვილთან შეთანხმების წყალობით, დიდი ბრიტანეთის გეგმები საკმაოდ წარმატებით ხორციელდებოდა, სანამ 2021 წელს არ წააწყდნენ მთავრობის სათავეში ხელახლა მოსული ირაკლი ღარიბაშვილისა და „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობის პრინციპულობას, რომლებმაც ეროვნული ინტერესები წინა პლანზე დააყენა.** ამიტომ, 16 მარტს უკვე პრემიერ ღარიბაშვილთან „უორდროპის სტრატეგიული დიალოგის“ განსახილველად თბილისში ვიზიტად ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მისი უდიდებულესობა, სახელმწიფო მდივანი საგარეო, თანამეგობრობის საქმეთა და საერთაშორისო განვითარების საქმეებში, სერ **ჯეიმს სპენსერ კლევერლი** (მაპატიეთ, ბატონო ირაკლი, თუ ცოტა უტრირებას ვახდენ).




## ბატონო პრემიერო,

პატივცემულ **ჯეიმს კლევერლისთან** შეხვედრის შემდეგ, შეგიძლიათ თუ არა უპასუხოთ კითხვას — **რატომ სურს დიდ ბრიტანეთს, რომელმაც დატოვა ევროკავშირი, როგორც მისთვის პოლიტიკურად და ეკონომიკურად არაპერსპექტიული ორგანიზაცია, იყოს საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი, რომელიც ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვებას ცდილობს?** თუ დიდი ბრიტანეთი ევროკავშირში თავს ცუდად გრძნობდა, მაშინ რა მოსაზრებით უჭერს მხარს ლონდონი საქართველოს მისწრაფებებს იქით, საიდანაც თავად გამოBREXITდა? **რაში მდგომარეობს დიდი ბრიტანეთის დაინტერესება, როდესაც ლონდონი, როგორც ჯეიმს კლევერლიმ განაცხადა, აპირებს საქართველოსთვის 500 ათასი გირვანქა სტერლინგის გადმორიცხვას „2024 წელს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის გარემოს შესაქმნელად, მათ გარე ჩარევისგან დასაცავად“?**

**რატომ არის დიდი ბრიტანეთი ბოლო 6 წლის განმავლობაში საქართველოს ყველაზე მსხვილი ინვესტორი?** (სწორედ 6 წელი გავიდა ზემოაღნიშნული პუბლიკაციებიდან დიდი ბრიტანეთის ახალი გეგმების ანალიზით — ვგულისხმობ კონფლიქტების აღკვეთის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების მხარდამჭერის ფონდის (CSSF) პროგრამას საქართველოში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში და მოლდოვაში 2016-2017 წლებისთვის). **საქონლისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტი, ტრანსპორტი, ტურიზმი, ფულადი გზავნილები, ბიზნესი: საქართველოში, თუ არ ვცდები, ყველა მუხლის მიხედვით ლიდერობს** Russian Federation, **ხოლო** The United Kingdom — **მხოლოდ ინვესტიციების მოცულობით. ჩვენთვის უცნობ რომელ დარგებში ახდენს ინვესტირებას ნისლიანი ალბიონი?**

## ბატონო პრემიერო,

თქვენს წინაშეა დიაგრამა №2 **„მთავარი ინვესტორი ქვეყნები“** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) ანგარიშიდან **„პირდა-**

*გაგრძელება 26-ე გვერდზე*

# ინვესტირებას საქართველოში

## კვირგვინოსნები

**გიორგი მარგველაშვილი**
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*



როგორც **ვანო მერაბიშვილთან** არ დავჯდები სასაუბროდ, ასევე არ დავჯდები **გახარიასთან.**

„ფორმულა“

**ელენე ხოშტარია**
*„დროას“ ლიდერი*



არცერთ ეტაპზე არ დაგვიმალავს, რომ არსებობს **მოძრაობა „დროა“** და არსებობს **პარტია „დროა“** — ეს არის სამართლებრივად გამართული მექანიზმი.

„იმედინიუსი“

**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



„დროა“ **ათიათასობით დოლარის ეკვივალენტის რუბლებს იღებს** რუსეთიდან და **ანა ფოტიაძის** ორგანიზაციიდანაც იღებს დაფინანსებას — სწორედ ამ უცნაურობაზე ვლაპარაკობდით, **რუსული კანონი** რომ დაარქვეს და მერე **ამერიკული** აღმოჩნდა.

„იმედინიუსი“

**მაკა ბოჭორიშვილი**
*ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე*



ევროკავშირი საბჭოთა კავშირი არ არის, ჩვენ **ევროკავშირში წევრობა ქართული იდენტობის, ღირსების, სუვერენიტეტის, მომავალი თაობის თავისუფლების დასაცავად გვინდა** და არა ცალ ფეხზე დგომა კუთხეში.

„ინტერპრესნიუსი“

**ხათია დეკანოიძე**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრი*



**ჩემი და ნაციონალური მოძრაობის თანამშრომლობა არის დასრულებული.**

„იმედინიუსი“

*მიცვალებულს შეუძლია სამი დღე ფეხზე დგომა და შეიძლება, თევზიც დაიჭიროს...*

***ხევსური ქადაგი***



**კობა არაბული**

# ბატონო პრემიერო, დააბრუნეთ მწერლობა, რომელიც სააკაშვილმა განდევნა ქართველი ერის საარსებო სივრციდან!

***ბატონო პრემიერო! ვადასტურებ რა თქვენდამი ღრმა პატივისცემას, მოგმართავთ ამ წერილით ჩვენი ერისათვის მეტად სახიფათო, კატაკლიზმურ დროში. ვვარაუდობ, რომ დღევანდელი პოლიტიკით ინფიცირებულ სივრცეში, სადაც ლიბერალური ფაშიზმისა და ველური დემოკრატიის ჭაობი იხარშება, სადაც უზნეობის, უმადურობისა და ღალატის ბალღამი გადმოდულს, თქვენ ხართ ერთ-ერთი იმ პიროვნებათაგანი, ვისაც რაღაცის მოსმენა და გადარჩენა შეუძლია!***

## მცირე ეპისტოლე ბატონ

ამ დროს გამაოგნებელია ევროპის პოლიტიკურ ფასადზე სრულიად **„უსახეო და კლინიკური ფიგურების“** გამოჩენა...ხოლო კაცობრიობის ბედი ჰკიდია **„ადამიანის ფიტულზე“ (როგორც ქადაგი იტყვის: — „მოძრავ გვამზე“)**, რომელსაც რამდენიმე ხანს ფეხზე დგომა და თევზის ჭერაც შეუძლია... **ეს „გვამი“ ახლა მსოფლიო ოკეანეში „თევზაობს“ და ღილაკზე თითის დაჭერით გადაადგილდება წინ და უკან... და არავინ იცის, რას მოიმოქმედებს.**

ქართველ მწერლებს და პირადად ამ წერილის ავტორს გვჭირდება იმის ცოდნა და გაგება, თუ როგორ ხედავს ხელისუფლება **და პირადად თქვენ** ამ ურთულეს დროში ქართველი მწერლის ფენომენს, მის ფუნქციასა და მისიას, როგორც ერის (სახელმწიფოს) არსებობისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს.

მოვლენები სწრაფად და მოულოდნელად იცვლება — ახლა ომია ირგვლივ: **ენობრივი, ზნეობროვი, ფსიქოლოგიური, ფსიქოტრონული, ეთნოგენური, ეკოლოგიური, ეკონომიკური, ვირუსული, მაზომბირებელი... და მთლიანობაში — გლობალურ-სატანისტური!**

შესაძლოა, მყისიერად ჩამოდგეს ის წამი, როცა არაფრის მოსასწრებად აღარ დარჩება დრო და მოვლენათა ეს ჯაჭვი ატომურ აპოკალიფსად იქცევა!

●

ბატონო პრემიერო, როდესაც **ჩერჩილს** 1943 წელს **„ომის ბიუჯეტი“** შეუტანეს დასამტკიცებლად, მან იკითხა:

— კულტურა და მწერლობა სად არის!?

— რა მაგის დროა, ახლა ომია! — უპასუხეს.

— აბა, რისთვის ვომობთ!? — იყო ჩერჩილის პასუხი.

კაცობრიული კულტურის ფასადზე დარჩა დიდი სახელმწიფო მოღვაწის ეს ლოგოსური ფრაზა!

— აბა, ჩვენ რისთვისღა ვომობთ!? — ბატონო პრემიერო, თუ არა კულტურის, ქართველთა დიადი მწიგნობრული მისიისა და ქართული სიტყვის „გენ-კოდის“ გადარჩენისათვის?!

**განა ჩვენ ინგლისზე ნაკლებ კულტურული რასა ვართ? ქართველნი ხომ „ფარნავაზის უწინარეს დროშიც სწერდნენ უხუცესთა წერილითა...“ ან განა — თუ თქვენ ბრძანდებით ვინმეზე ნაკლებ პატრიოტი სახელმწიფო მოღვაწე, ქომაგი საკუთარი კულტურისა და მწერლობისა?! — არა მგონია!**

**მაშ, რა გვჭირს? რა ხდება ჩვენს პარლამენტში, ჩვენს სახელმწიფოში, ბატონო პრემიერო?!**

●

მე გულდასმით ვადევნებდი თვალს **„გაზრდილი“ ბიუჯეტის დამტკიცების პროცედურებს** და არცერთ სახელმწიფო მოხელეს არ დასცდენია **ჩერჩილისებური სიტყვა** და არც კითხვა გასჩენია მწერლობასა და მწერლის ბედზე! ყველას ყველაფერი ერგო: აქაურსა თუ იქაურს, მქონებელსა თუ არას მქონებელს... კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურებს: **მეძალლეებს, მეძავებს, ენჯეოებს...** ათასი ჯურის, ქვეყნის დამაქცევარ პარტიებსაც ხომ მილიონები ხვდათ...

**მწერლობას კი — ქართველი ერისა და ისტორიის სინდისს, ერის სულიერი სამყაროს არქიტექტორს, ერგო მხოლოდ: ორი „კაზმული სიტყვა!..“ ანუ ორსიტყვიანი სკაბრეზული კომპოზიტი (.. .. .. .. ..) !!!**

ნუთუ ქართულ სახელმწიფოს აღარ სჭირდება მწერლობა? ისევე, როგორც არ სჭირდებათ ამ უზნეო არასამთავრობო არსებებს, შავი ხვრელიდან გამომსხდარ **ასოებს,** უწიგნურ პარტიათა ხროვას... იმ საუკუნეში ილია ჭავჭავაძე ხომ მოგვიკლეს და ახლა **„საქართველოს მოკვდინებასაც“** ლამობენ?!

●

ქართველი ერი დღემდე პოეზიითა და ქრისტიანული კულტურით არის დაცული — რუსთაველისა და ვაჟას პერსონაჟები, როგორც ცოცხალი არსებანი, ისე სდარაჯობენ ერის საარსებო სივრცეს... ხოლო ჩვენი ქვეყნის სულიერი გარსის მთლიანობას ტაძართა სინერგია იცავს და არა რომელიმე წყალქვეშა ხომალდი და ზებგერითი იარაღი...

მე-19 საუკუნის საქართველო, ქართველი ერის ზნეობრივი სახე და კულტურული არსებობა **ილია ჭავჭავაძემ და მისმა დასმა** (სულ ხუთიოდე ქართველმა მწერალმა და მწიგნობარმა) და **„ივერიამ“** იხსნა სრული კოლაფსისგან! სწორედ ილიას გენიამ გამოიყვანა ქართველი ერი მე-19 საუკუნის ჯოჯოხეთიდან და მოიყვანა ამ საუკუნემდე!

**მათი იარაღი იყო მხოლოდ „სიტყუა იგი, რომელიც იყო ღმერთი!“...**

**ბატონო პრემიერო, თქვენ იცით, საით მიმყავს სათქმელი — განა დღეს, ათასნაირი კარმული დარტყმების ველში მოქცეულ ქვეყანას არ სჭირდება მწერლობა და „სიტყუა იგი!“, როდესაც ღიად მიმდინარეობს ქართველ ერზე, მის დამოუკიდებლობასა და უშიშროებაზე მსოფლიო ფაშისტური ლიბერალიზმის იერიში „ჩვენი შინაური ხუნვეიბინების“ მონაწილეობით...**

განა ახლა ნაკლებ მწვავედ დგას მამულის, ენის, სარწმუნოების დაცვის პრობლემა, ვიდრე მაშინ — ილიას დროს იდგა? დიახ, ახლა, როცა ეროვნებასა და მამის სახელსაც კი გვართმევენ, როცა, ფაქტობრივად, მკვდარია ენის პალატა?!

კარგია, მაგრამ არ არის საკმარისი ნიჭიერი **ზაზა შათირიშვილის** პოსტები ივანიშვილის დასაცავად. არც **„ხალხის ხმაა“** საკმარისი, სახიფათო პოლიტიკური სივრცის გასარღვევად, არც რამდენიმე პარლამენტარისა და მინისტრის აქტივობაა საკმარისი...

**ვერც ჩემი წერილები და ოდენ „ასავალ-დასავალის“ სინერგია ავსებს უმწერლო ვაკუუმს...**

●

ბატონო პრემიერო, თქვენ მხარს გიჭერთ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ თქვენ კიდევ უფრო უნდა მიუახლოვდეთ ერს და გააძლიეროთ ხალხის ეს სიყვარული...

**ახლოს უნდა მიხვიდეთ შემოქმედებით, ინტელექტუალურ ელიტასთან და დააბრუნოთ მწერლობა, რომელიც სააკაშვილმა განდევნა ერის საარსებო სივრციდან!**

გახსოვდეთ: მწერლობა მეტად სახიფათოა გლობალური „სფინქსისთვის“, რადგანაც მისთვის დაუძლეველია კვაზარული იდეა, ანუ **სიტყუა იგი, რომელიც არის უფალი!**

თქვენ უეჭველად გჭირდებათ ამ სიტყვის დამცავი ჯავშანი და გამჭოლი ენერგია, რომელსაც მხოლოდ მწერლობა ფლობს და ხმარობს! სხვანაირად ვერ დაუპირისპირდებით „მსოფლიო ძალადობას“!

●

სულ ბოლოდროინდელი, **ვანდალურ-ხუნვეიბინური მიტინგების** დროსაც ნათლად გამოჩნდა, რომ მართალი სიტყვის მთქმელი, დეკლამატორიორაკული აკლია ქვეყანას, რათა **„ერში გადაგდებულმა სიტყვამ“** შოკური გავლენა იქონიოს საზოგადოებაზე და მკვეთრად შეცვალოს მოვლენები! მით უფრო, თუკი ახალგაზრდობისა და საზოგადოების გარკვეული ნაწილი ცდუნებული და მოწამლულია ლიბერასტი, ფსევდოევროპეიდების „შხამიანი თაფლუჭით“... მათ შორის, **„შიგნიდან ციხის გამტეხი“ ჩვენივე „შილაფლავი“ პრეზიდენტის მიერ!..**

## ეს არის ბედისწერული შეცდომა და ტრაგიკული დრამა ხელისუფლებისა... რის გამოც ერი „ჯაშუში არასამთავრობოების“ ბნელ გვირაბში აღმოჩნდა!

## კვირგვინოსნები

**მეუფე სტეფანე**

*ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტი*



დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში შევალიეთ ზოგმა სისხლი და ზოგმა — ჯანმრთელობა. **„მოლოტოვის კოქტეილები“ რომ გვესროლა, ბდღვნა არ დარჩებოდა საქართველოდან.** ვიღაცა გარედან რომ გეუბნება — მიდი, მიაწექი, შენს ქვეყანას უნდა მიაწვე? დაიწყეს მასწავლებლების გამოყრა აუდიტორიებიდან ვიღაცების აქნეული თითებით. **კომკავშირელები ნუ ვიქნებით, ვიყოთ ქართველი ახალგაზრდები.** რასაც თავს გვახვევენ, ეს ევროპა არ არის, **ეს არის ევროპის დეგრადაცია.**

„ახალი თაობა“

**იგორ კვესელავა**

*პოლიტოლოგი*



ჩემი ინფორმაციით, **15 კაცი აპირებს, დატოვოს „ოცნება“** და იგი უმრავლესობას კარგავს. ამიტომ მიდის მოლაპარაკება, რომ ეს ხალხი დაამშვიდონ. **12 წელია, ხელისუფლებაში ხარ და გინდა, კიდევ 16 წელი იყო.** ასე არ ხდება, თანაც, როცა კადრებიც არ გყავს.

ერთი **ირაკლი ღარიბაშვილი,** რომელიც მართლაც იბრძვის, ვერაფერს გააკეთებს.

„რეზონანსი“

**ნინო წილოსანი**

*პარლამენტარი*



პარლამენტის შენობის **„შტურმისტები“,** პოლიციელების დამამცირებლები და მოძალადეები, **GEN Z-ის თაობის სახელით** ვერ ისაუბრებენ.

„ინტერპრესნიუსი“

**რატი იონათამიშვილი**

*პარლამენტარი*



9 აპრილს აქციას მართავს **ყველაზე არაევროპული ძალა,** რაც ჩვენი ქვეყნის შეურაცხყოფაა.

„ინტერპრესნიუსი“

**თამარ ჩიბურდანიძე**

*„ხალხის ძალის“ წევრი*



მგონი, მსოფლიოში პირველი შემთხვევაა, როცა **კანონპროექტმა უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე თავად ამ კანონს შეეძლო,** გაეკეთებინა მიღების შემთხვევაში.

„იმედინიუსი“

# ირაკლი ღარიბაშვილს

## ეს იქნება ახალი ომი „დიდგორისათვის“... და თქვენ მოიგებთ ამ ომს!!!

### თქვენ გეძლევათ ამ დიადი მისიის აღსრულების შანსი!



●

**ბატონო პრემიერო,** ჩვენ ათასნაირი სახიფათო ხრიკებითა და ავანტიურით ვართ მიბმული იგივე უკრაინის ომზე და სხვა „ჰიბრიდულ“ მოვლენებზე. განა თქვენ არ მიგაჩნიათ, რომ ერს ამ პირობებში სჭირდება ზნეობრივი დაცვის მტკიცე ბარიერი, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტი პატრიოტი მწერლობა ქმნის... **თქვენ და თქვენი ხელისუფლება კი მწერლობისგან სრულიად იზოლირებულ, „სტერილურ“ სივრცეში აღმოჩნდით მტრების მიერ!..**

თქვენ ვერ იცავთ ქართველ მწერლებს და მწერლობას, ულტრალიბერასტული შხამისაგან, რის გამოც **ჩვენ ვერ ვბრუნდებით საკუთარ სახლში, საიდანაც ნაცისტურმა სპეცრაზმებმა გაგვდევნეს და ვრჩებით „ოცნების“ 10-წლიანი ორჭოფობის „ბუნდოვან ბურუსში“...**

მარტო ჩემს მიერ100-მდე წერილია დაწერილი ხელისუფლების, სახელმწიფოსა და ზნეობის გადასარჩენად, პასუხად კი არცერთი ნაბიჯი არ გადმოდგმულა ხელისუფლების მხრიდან ჩვენს დასაცავად!

დიდხანს ვფიქრობდი ამ სათქმელის თქმაზე — **ეს ან ზღვარია და საბედისწერო გამყოფი, ან ახალი კავშირი მწერლობასა და ხელისუფლებას შორის!** — ეს უკვე თქვენი გადასაწყვეტია, ბატონო პრემიერო!

●

ჩვენ გვსურდა (და გვსურს) ერის ზნეობრივი სივრცისა და კულტურის დამცავი „პირამიდის შექმნა“ **„მწერალთა ეროვნული აკადემიის“** სახით, ტრადიციათა ცოდნისა და ეთნოკულტურათა დამცავი რეგიონული ცენტრებით, მაგრამ...

**სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ვერ გაიაზრა „მწერალთა ეროვნული აკადემიის“ მნიშვნელობა, ვერ გარისკა მწერლობის ძლიერი ინსტიტუტის დაცვა, ვერ შეძლო აკადემიისთვის (რომელიც 70 რჩეული მწერლისაგან დაფუძნდა) და მისი უნიკალური ჟურნალისთვის, თუნდაც ერთი საშუალო ჩინოვნიკის „ხელფასის“ მიცემა!** ვაგლახ, არ აღმოაჩნდა ხელისუფლებას ამისი ნებელობა...

ეს არის ბედისწერული შეცდომა და ტრაგიკული დრამა ხელისუფლებისა... რის გამოც ერი **„ჯაშუში არასამთავრობოების“** ბნელ გვირაბში აღმოჩნდა!

პრინციპული ქალია **თეა წულუკიანი,** მაგრამ ამ სფეროში ვერც ის წყვეტს ვერაფერს! პრობლემა უფრო ზეპოლიტიკური და ღრმად ეროვნულია... **ამას სახელმწიფოს ერთიანი ძალისხმევა სჭირდება.** ამავე დროს არსებობს კომუნიკაციის პრობლემა ერსა და ხელისუფლებას შორის: **კულტურის მინისტრისთვის სამჯერ შეგზავნილი წერილი და მნიშვნელოვანი მასალები გაქრა კანცელარიიდან მინისტრამდე მიმავალ გზაში. ფაქტობრივად, წულუკიანმა კი იცის, რას ვითხოვთ... დიახ, ქართველ მოქალაქეს არ შეუძლია რომელიმე მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელესთან შეღწევა, თუნდაც კანცელარიის მოადგილის მოადგილესთან...** ასეთი რამ რუსეთის გუბერნიაში ყოფნის დროსაც კი არ იყო შეუძლებელი: **არსებობს იმპერატორ ნიკოლოზ I-ის პირადი წერილი, რომელიც პირადად პასუხობს მეზრელი ქალის თხოვნაზე და პენსიას და სხვა დახმარებასაც აძლევს მას!**

●

ბატონო პრემიერო, პირადად თქვენ და თქვენმა გუნდმა გამოავლინა სამშობლოს იდენტობისა და სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვის მტკიცე უნარი და გამბედაობა, მაგრამ **თქვენ არ გყავთ სახელისუფლო სივრცეში მწერლობა, რომელმაც უნდა გააძლიეროს ერის სულიერი იმუნიტეტი და მკვეთრად დაუპირისპირდეს ვულგარული „ჰომო ნოვუსების“ იდეოლოგიას, 21-ე საუკუნიდან აღა-მაჰმადხანივით რომ უტევენ მეფე ერეკლეს...და ერის ისტორიას!** მთლიანობაში — სამშობლოს ფენომენს, ეკლესიასა და წინაპრებს...

**პირადად თქვენს ირგვლივ, თქვენს ზურგს უკან ჩასაფრებულია მოღალატეთა ხროვა: ყველაფერი გადაფარულია მათი ხმებით, მათი ყაყანით, მათი „ღალატის ფსიქოლოგიითა“ და ცინიზმით.**

რამდენ ხანს უნდა უსმინოს და უყუროს საზოგადოებამ სააკაშვილის ტვინის გამონაყონ ამ „მოძრავ ჭაობს“ — **ბერძენიშვილების, პენ-კლუბების, დეისაძე-ბუღაძე-ბურჭულაძეების, ხოშტარია-უსუფაშვილების, დეკანოიძე-სამნიძე-კორძაიას ტიპის “კლონირებულ კლასტერს“,** საკუთარ მიცვალებულთა ძვლებზე როკვა და ერის უბედურებაზე „პარაკლისების“ გადახდა რომ შეუძლიათ!? **პარლამენტი, ტელევიზიები, მწერალთა ისტორიული სახლები, სახელმწიფო ინსტიტუტები ამ მოღალატე არამზადების მუდმივ თავშესაფრად და სათარეშოდ იქცა!**

ცინიზმია, როცა ამერიკის ელჩი — **ნატაშა ლომოურის კუთვნილი „დეიდა კელი დეგნანი“** — მწერალთა სახლში ხსნის დახვრეტილი მწერლების მემორიალურ მუზეუმს, რათა იქ ცოცხალმა მწერლებმა არ შეაღწიონ!.. **ის ბრჭყალებით იცავს მედროვე, ჯაშუშ „პროლეტკულტელებს“, ხოლო „ქართული ოცნება“ ვერ იცავს 80-იანელთა უნიჭიერეს და უმამაცეს თაობას, რომელმაც მე-20 საუკუნის ქართული კულტურის რენესანსი შექმნა!**

●

სამწუხაროდ, ბატონო პრემიერო, თქვენ ჭეშმარიტი მწერლობა ვერ დაიყენეთ გვერდზე და ვერც მისი დაცვა შეძელით! **„ქართულმა ოცნებამ“ მწერლობას ვერ აღუდგინა ღირსება!!! ვერ მოხსნა იმ ავაზაკის შექმნილი „სტატუს კვო“, სააკაშვილად რომ იწოდება.** და ეს „მაოხრებელი მკვდარი“ ახლა საპყრობილიდან აშანტაჟებს საზოგადოებას! მწერლობა კი 17 წელია, საკუთარი შემოქმედებითი სივრცის, ისტორიული სახლისა და სამართლის გარეთ არის დარჩენილი!

ხაზგასმით ვიტყვი: **რამდენადაც „ოცნება“ ვერ იცავს ჭეშმარიტი მწერლისა და მწიგნობრის ღირსებას ამ სატანურ დროში, ამდენადვე ვერ იცავს საკუთარი სახელმწიფოს სულიერ და ზნეობრივ სუვერენიტეტს ამავე მოძალადეებისაგან!**

●

ბატონო პრემიერო, **ამ ეტაპზე თქვენ აარიდეთ მეორე ფრონტი და „უკრაინული აპოკალიფსი“ სამშობლოს, მაგრამ თუ ევროპა ატომური ომის ნისლით დაიფარა, თქვენ ამ მოვლენას ვერ შეარბილებთ, თუ არ გეყოლებათ მწერალ-მისტიკოსთა და ნათელმხილველ-ეზოთერიკოსთა ძლიერი იდეოლოგიური ჯგუფი, რომელთაც შეეძლება, შექმნას „გადარჩენის საკრალური მოდელი“,** გადაიყვანოს ერი სულიერი და ფიზიკური დაცვის სხვა განზომილებაში... ბიბლიელი და ფხოველი ნათელმხილველნი ახდენდნენ ასეთ სასწაულებს და ამის მაგალითები არსებობს!

დადგა დრო, სწორედ მწერლობამ „გაფილტროს“ ინფიცირებული, მოწამლული აურა სახელმწიფოს საარსებო სივრცეზე, ნიადაგი შეუქმნას ჭეშმარიტი სუვერენიტეტის გაძლიერებას და ეთნოფსიქოლოგიური გარემოს გაჯანსაღებას; **ასობით მწერალი და ხელოვანი უნდა გავიდეს ერში და გაფანტოს „ბედისწერული ღრუბელი“. „გვერდიდან ელვის დარტყმა“ რომ შეუძლია!..**

... მანამდე კი: თქვენ უნდა მოძებნოთ და მოიხმოთ ისინი — მოაბრუნოთ ექსორიიდან და **ერის სულიერ მოღვაწეთა, მწიგნობართა, მწერალთა და ხელოვანთა დიდი ფორუმი მოიწვიოთ!** — ეს იქნება დიდი საქმე — „საკარგყმოდ მისარქმელი“!

თუმცა, ეს არ მოეწონება ბევრ ვინმეს, ჩვენი ერისა და სახელმწიფოს შიგნით და გარეთ მომჯდარ ურიცხვ მტერს, მაგრამ თქვენ არ უნდა შეგეშინდეთ! ეს იქნება ახალი ომი „დიდგორისათვის“... და თქვენ მოიგებთ ამ ომს!!!

საჭიროა თუ არა ქართველი მწერლისა და მწერლობის დაცვა-გადარჩენა რუსთაველისა და ილია მართლის სამშობლოში?! გვჭირდება თუ არა რაიმე სამართლებრივი სტატუსი საამისოდ? **თუ ჩავთვალოთ, რომ ქართველი მწერალი, მაინცა და მაინც, სარდაფში ან კიბის ქვეშ, მუდმივ სიდუხჭირეში უნდა კვდებოდეს?!**

იქნებ ქართველმა ერმა **სააკაშვილის შექმნილ „სტატუს კვოს“** მარადიულ ჭაობში უნდა ვიცხოვროთ — სიბრძნე დაკარგული ერის ბედისწერით?

— გადარჩენის არსი კი სიტყვის გადარჩენაშია, რათა შემდგომ ისევ და ისევ სიტყვამ გადაარჩინოს სამშობლო და სული!

მაშ, დააბრუნეთ ბატონო პრემიერო, მწერლობა და მწერლის სიტყვა „ერის ინფიცირებული სივრცის“ განსაწმენდად, მიეცით მას საკუთარი წილი, რომელიც წაართვეს!

დააბრუნეთ ერში **„სიტყუა იგი“,** რომელიც იყო პირველთაგან და სიტყუა იგი იყო ღმერთი!

**თქვენ გეძლევათ ამ დიადი მისიის აღსრულების შანსი! გამოიყენეთ ეს იარაღი ერის და სახელმწიფოს გადასარჩენად!!!**

**თუ თქვენ იზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ მე-19 საუკუნის საქართველოს გადარჩენა ილია ჭავჭავაძემ, მისმა „ივერიამ“ და კიდევ ხუთიოდე მწერალმა შეძლო, მაშინ თქვენ მწერლობის დაცვის ამ იდეის განხორციელებასაც შეძლებთ!**

**ქართველი ერი დღემდე პოეზიითა და ქრისტიანული კულტურით არის დაცული – რუსთაველისა და ვაჟას პერსონაჟები, როგორც ცოცხალი არსებანი, ისე სდარაჯობენ ერის საარსებო სივრცეს...**
**ხოლო ჩვენი ქვეყნის სულიერი გარსის მთლიანობას ტაძართა სინერგია იცავს და არა რომელიმე ნჭყალქვეშა ხომალდი და ზებგერითი იარაღი...**

**კობა არაბული**
*საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი*

## კვირგვინოსნები

**ნიკოლოზ ჩხეტიანი**
*ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარე*



ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი, **ფონდი „ქართუსთვის“ ეს არის წმინდა წყლის საქველმოქმედო პროექტი,** ბუნებრივია, იქიდან არანაირ შემოსავალს არ ვიღებთ, პირიქით — **პროექტს გიგანტურ თანხებს ვახარჯავთ.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ეკატერინე ტიკარაძე**
*ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი*



**რესპუბლიკური საავადმყოფო** საუკეთესო ადგილზეა. 2013-2015 წლებში იყო საუბარი დემონტაჟზე, თუმცა, მაშინაც არასაკმარისი საფუძვლებისა და მტკიცებულებების გამო შეჩერდა ამაზე საუბარი. მჯერა, რომ ახლაც მიღებული იქნება გონივრული გადაწყვეტილება. **რესპუბლიკური საავადმყოფოს როლი ქართულ მედიცინაში ძალიან დიდია** — ის ქართული სამედიცინო საზოგადოების ე.წ. აკვანია.

„ფორმულა“

**ვაჟა მეზალიშვილი**
*უძრავი ქონების სააგენტო „სიგმას“ დირექტორი*



საქართველოში დარჩენილი მიგრანტები **„ქირიდან გამოდიან“ და ბინებს ყიდულობენ.** მეტიც, ისინი **რამდენიმე ბინას ყიდულობენ, რომლებსაც შემდგომში აქირავებენ** და შემოსავლის წყაროს იჩენენ. ამის არაერთი შემთხვევაა თბილისში.

„რეზონანსი“

**ხვიჩა კვარაცხელია**
*ფეხბურთელი*



ცხოვრებაში ის ვისწავლე, რომ ადამიანს შეუძლია, ოცნება აიხდინოს. ბავშვებს მინდა, მივმართო — **ყველაფერი გააკეთონ არამხოლოდ სპორტში, არამედ სხვა საქმეშიც, რომ გახდნენ ისეთები, როგორი ოცნებაც აქვთ.** ჩემი აზრით, ყველაფერი მიღწევადია, მთავარია, შრომა არაფერს დააკლონ.

„რეზონანსი“

## „დღეს რუსული და ქართული სახელმწიფოების ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა და ოკუპანტი რუსეთი საქართველოს სიტუაციური მოკავშირეა!“



*2023 წლის 24 მარტს საქართველოს პარლამენტში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის სტუმრობისა და ნაცრადიკალებთან მისი პოლიტიკური ხმალთაკვეთების კვალდაკვალ, ექსპერტსა და ანალიტიკოსს, სააკაშვილის რეჟიმის ყოფილ პოლიტპატიმარ* ***მაია ნიკოლეიშვილს*** *ვესაუბრებით:*

— პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილს** პარლამენტში ძალიან გულწრფელი და მართალი გამოსვლა ჰქონდა. მან ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა, შინაურ და გარეულ მტრებს ნიღბები ჩამოხსნა და ნათლად დაგვანახა ის დიდი საფრთხე, რაც ქვეყანას ემუქრება.

**— ე.წ. მეორე ფრონტისა და საქართველოს ომში ჩათრევის საფრთხეს გულისხმობთ?**

— დიახ, დღეს ეს საფრთხე კიდევ უფრო რეალურია. ჩინეთის პრეზიდენტ **სი ძინპინისა** და **ვლადიმერ პუტინის** შეხვედრამ პირდაპირ აჩვენა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს ერთპიროვნული ჰეგემონი ვეღარ იქნება და მისი გავლენები შესუსტდება. ამ ფონზე ანგლოსაქსური სამყარო კიდევ უფრო გააძლიერებს ძალისხმევას, რათა რუსეთის გარშემო ახალ-ახალი ცხელი წერტილები გააჩინოს, უპირველესი სამიზნე კი სამხრეთ კავკასია, მათ შორის, საქართველო იქნება!

**— საგულისხმოა, რომ პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას პრემიერმა ღარიბაშვილმა ახალი ტერმინი — „უკრაინიზაცია“ გამოიყენა და განაცხადა, რომ არსებობს საქართველოს უკრაინიზაციის გეგმა, რამაც ნაცოპოზიციის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია!**

— **საქართველოს უკრაინიზაციის გეგმა** სწორედ მეორე ფრონტის გახსნასა და ჩვენი ქვეყნის ისეთივე საომარ პოლიგონად გადაქცევას გულისხმობს, როგორადაც ანგლოსაქსებმა უკრაინა გახადეს. ისინი უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში ამზადებდნენ უკრაინას „საზარბაზნე ხორცად“ რუსეთისა და ჩინეთის წინააღმდეგ, რასაც მიაღწიეს კიდეც ზელენსკის მარიონეტული ხელისუფლების მეშვეობით. დიახ, **ზელენსკი ანგლოსაქსების ტყვეა, იგი გახლავთ არა უკრაინის მმართველი, არამედ უკრაინის მესაფლავე!**

საინტერესო რუსმა პოლიტოლოგმა **დიმიტრი ესტაფიევმა** თქვა, რომ ომი უკრაინაში — ეს არის ომი არა ტერიტორიისთვის, არამედ დერეფნებისთვის! აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ე.წ. შუა დერეფანი, რომელიც სამხრეთ კავკასიაზე, მათ შორის, საქართველოზე გაივლის და იქნება ყველაზე უსაფრთხო სატრანსპორტო მარშრუტი აზიასა და ევროპას შორის. სწორედ შუა დერეფნის თემის გააქტიურებისა და რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობის გაუმჯობესების გამო დღეს ყველაზე მეტად რეალურია საფრთხე, რომ ანგლოსაქსურმა სამყარომ, რომლის ინტერესებსაც ბაიდენის მთავრობა ახორციელებს, საქართველო ომში ჩაითრიოს, რაც ავტომატურად ნიშნავს მთელი სამხრეთ კავკასიის გახვევას ცეცხლის ალში. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საქართველო ახლა ყოფნა-არყოფნის საფრთხის წინაშე დგას!

**— მაგრამ რა ვუყოთ ქართველ ნაცლიბერალებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საქართველოს საფრთხე მხოლოდ რუსეთიდან ემუქრება, მეორე ფრონტის თემა კი მხოლოდ ხელისუფლების პროპაგანდისტული ხრიკია?**

— მოდით, გახსნილად ვთქვათ — **დღეს საქართველოსათვის**

# მაია ნიკოლეიშვილი:

# დღეს საქართველოსათვის ყველაზე დიდი საფრთხე რუსეთი კი არა, ანგლოსაქსების გეგმებია!



**ყველაზე დიდი საფრთხე რუსეთი კი არა, ანგლოსაქსების გეგმებია!** მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს ჩვენი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებული აქვს, დღეს რუსული და ქართული სახელმწიფოების ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა სტრატეგიულ საკითხში, რასაც სამხრეთ კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება ჰქვია. სხვანაირად რომ ვთქვათ, **დღეს ოკუპანტი რუსეთი საქართველოს სიტუაციური მოკავშირეა** და ეს კარგად უნდა გავიაზროთ. არ შეიძლება პრიმიტიული კატეგორიებით აზროვნება, თითქოს რუსეთი ცუდია და ამერიკა — კარგი. ეს მხოლოდ იდიოტი ლიბერალებისა და ნაცების წარმოდგენაშია ასე, რეალურად კი, სიტუაცია ისე დალაგდა, რომ

**ამერიკას დღეს დასაკლავ ქათმად ვუყავართ გამზადებული, ხოლო რუსეთი საქართველოში მშვიდობით არის დაინტერესებული.**

კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვაცხადებ — **ანგლოსაქსური გავლენის აგენტებს საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა და სამხრეთ კავკასიის ომში ჩართვა დღეს ისე ძლიერ სურთ, როგორც არასდროს!**

**— ასეთ ვითარებაში ვის წისქვილზე დაასხამს წყალს საქართველოში შიდა პოლიტიკური არეულობა, რის გამოსაწვევადაც ნაცები და მათი მოკავშირე პარტიები თუ არასამთავრობო ორგანიზაციები ძალისხმევას არ იშურებენ?**

— **დღეს ქვეყნის შიგნით ნებისმიერი ზედმეტი მოძრაობა ომისაკენ ნაბიჯის გადადგმას ნიშნავს, ხელისუფლებისათვის ნასროლი ნებისმიერი ქვა კი ჩვენსავე ეზოში ჩამოვარდება და ჩვენვე დაგვეცემა თავზე!** მეტსაც გეტყვით — ყველა პასუხისმგებლიანმა და პატრიოტმა ოპოზიციურმა ძალამ თუ ოპოზიციურად განწყობილმა ადამიანმა, ვინც ნაციონალურ მოძრაობასთან არ არის დაკავშირებული და „მეხუთე კოლონას“ არ წარმოადგენს, ხელისუფლების კრიტიკაზე დროებითი მორატორიუმი უნდა გამოაცხადოს, რადგან დღეს, ქვეყნის წინაშე არსებული სამკვდრო-სასიცოცხლო საფრთხეების ფონზე, ანტისახელისუფლო განწყობების გაღვივება ქვეყნის დაღუპვის ტოლფასია. კარგად გავიაზროთ, რომ ყველანი ერთ ნავში ვსხედვართ, რომელსაც საქართველო ჰქვია და თუ ეს ნავი ჩაიძირა, ვერავინ გადავრჩებით!

შეხედეთ, რა ხდება დასავლეთში — პარიზს, ლიონს, საფრანგეთის სხვა ქალაქებს პირდაპირი მნიშვნელობით ცეცხლი უკიდია და ისეთი განცდა მაქვს, რომ ევროპა თავის ბარბაროსულ და ინკვიზიციურ წარსულს უბრუნდება, არადა, ჩვენ ბარბაროსული და ინკვიზიციური ევროპა არაფერში გვჭირდება, ჩვენ მოაზროვნე ევროპა გვინდა! **ჩვენ გვინდა ევროპა, რომლის ბიუროკრატიაც კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს ანალოგი და ლეონიდ ილიას ძე ბაიდენის მძევალი არ იქნება!**

**— ნაცები მომიტინგეების მიერ გადაბუგული პარიზის ფოტოებს სოციალურ ქსელებში დააფრიალებენ და წერენ, რომ სწორედ ეს არის ნამდვილი ევროპა!**

— ცხადია, ნაციონალებს მოსწონთ ის, რაც ახლა საფრანგეთ-

## „ჩვენ გვინდა ევროპა, რომლის ბიუროკრატიაც კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს ანალოგი და ლეონიდ ილიას ძე ბაიდენის მძევალი არ იქნება!“

### კვირგვინოსნები

**კოტე ჯანდიერი**
*მწერალი*



ჩვენ უკვე ვნახეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში **„რუსო, რუსოს!“** ძახილით პროფესორს მისეული ახალგაზრდების ჯგუფი. მინდა, ვკითხო ამ ახალგაზრდების წამქეზებელ-დამფინანსებლებს: **რომელი ლიბერალური ფასეულობაა ადამიანის პიროვნული დევნა და მისი ოჯახის დაწიოკება განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრების გამო?**

„კვირის პალიტრა“

**გია გაბრიჩიძე**
*ჟურნალისტი*



ლიბერასტმა ჟან-ჟუანებმა **საქართველოში მანქურთების ახალი, თანამედროვე სახეობა გამოიყვანეს.** ისინი უარყოფენ სამშობლოს, რწმენას, ოჯახს, ქალს, მოხუცს, ბავშვს. მათი გონება ტვინში ჩაზრდილი თმების ნაცვლად ამაზრზენი იდეებით არის გამოტენილი. მათ სიტყვა **„რუსული“ და „მონობა“** თავდასხმის იარაღად აქციეს და ყველაფერს კარგს ამ სიტყვებით ებრძვიან. მათთვის სამშობლოს დაცვა **„რუსულია“**, კაცურად ცხოვრება **„მონობა“.**

„იმედინიუსი“

**ალექსანდრე ჭაჭია**
*ანალიტიკოსი*



თუ სწორ პოლიტიკას წარვმართავთ, ათ წელიწადში შევძლებთ, **რეგიონის შვეიცარია** გავხდეთ!

„კვირის პალიტრა“

**დავით კაჭარავა**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ნუ შეხვალთ იმ ილუზიაში, რომ **პროქართულობა** დასავლური კურსიდან გადახვევას ნიშნავს.

„აჭარის ტელევიზია“



# „კიდევ უფრო მძიმე დღეებისათვის მოვემზადოთ!“



## დემურ გიორხელიძე:

**„პარიზს, ლიონს, საფრანგეთის სხვა ქალაქებს პირდაპირი მნიშვნელობით ცეცხლი უკიდია და ისეთი განცდა მაქვს, რომ ევროპა თავის ბარბაროსულ და ინკვიზიციურ წარსულს უბრუნდება, არადა, ჩვენ ბარბაროსული და ინკვიზიციური ევროპა არაფერში გვჭირდება, ჩვენ მოაზროვნე ევროპა გვინდა!“**

# ევროკავშირი სრული პოლიტიკური არარაობაა!

*ცნობილი ანალიტიკოსი* ***დემურ გიორხელიძე*** *ჩვენთან ინტერვიუში შემაშფოთებელ პროგნოზებს აკეთებს და აცხადებს, რომ სულ უფრო მზარდი საერთაშორისო დაძაბულობის ფონზე, საქართველოს წინ რთული დღეები ელის:*

— იმის მაგივრად, რომ დიდმა პოლიტიკურმა მოთამაშეებმა სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებაზე იფიქრონ, უკრაინისათვის იარაღის მიწოდებას აგრძელებენ და უკვე ურანის ჭურვებითაც კი ამარაგებენ. ამდენად, საერთაშორისო დონეზე დაპირისპირება უკიდურესად ღრმავდება და სულ უფრო დიდი საფრთხეების წინაშე აყენებს ისეთ არამყარ და ჩამოუყალიბებელ სახელმწიფოებს, როგორიც, მაგალითად, საქართველოა.

**— ჰააგის სასამართლოს მიერ რუსეთის პრეზიდენტის დაპატიმრებაზე სანქციის გაცემაც ვითარების კიდევ უფრო დაძაბვასა და სამშვიდობო მოლაპარაკებების საბოლოოდ გამორიცხვას ხომ არ ემსახურება?**

— ჰააგის სანქციას სერიოზულად არავინ აღიქვამს, რადგან მას არანაირი იურიდიული ძალა არ გააჩნია! დღეს რუსეთის ფინანსურ-ეკონომიკურ სექტორს ნეოლიბერალური ელიტა განაგებს, რომელიც მუდამ მზად არის, საკუთარი კეთილდღეობისათვის ქვეყნის ინტერესები გაყიდოს. პუტინის დაპატიმრებაზე სანქციის გამოწერით ამერიკელებმა სწორედ ამ რუსულ ნეოლიბერალურ ელიტას მისცეს ნიშანი — შეგიძლიათ, 1917 წლის ბურჟუაზიული რევოლუცია გაიმეოროთ და საკუთარ ხელისუფლებას გაუსწორდეთო, მაგრამ დღეს ეს

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

...ში ხდება, რადგან შინაგანად ბარბაროსები და ინკვიზიტორები არიან, რომლებიც თავიანთ ქვეყანასა და დედაქალაქს სიამოვნებით გადაბუგავენ, თუ ეს ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად დასჭირდებათ. აკი, ვნახეთ კიდეც ორიოდე კვირის წინათ „მოლოტოვის კოქტეილებით“ გადამწვარი რუსთაველის გამზირი, ცეცხლმოკიდებული ავტომანქანები, შენობების ჩამსხვრეული ფანჯრები... გაბრუებული ბავშვებიც ვნახეთ, რომლებიც, ზუსტად ვიცი, დიდი რაოდენობით ფსიქოაქტიური ნივთიერებებითა და ძვირადღირებული ალკოჰოლური საშუალებებით მოამარაგეს!

ისე, ძალიან მაინტერესებს — **ადამიანები, რომლებიც ევროპული ორიენტაციის სახელით „რუსულ კანონპროექტს“ დაუპირისპირდნენ,**



**„ზელენსკი არის არა უკრაინის მმართველი, არამედ უკრაინის მესაფლავე!“**

**გრძნობენ თუ არა თავს აბსოლუტურ იდიოტებად ახლა, როცა გაირკვა, რომ ევროპა ზუსტად იმავე კანონის მიღებას აპირებს?!**

**— როგორ ფიქრობთ, იქნება თუ არა გამოყენებული სააკაშვილის ფაქტორი საქართველოში პოლიტიკური დესტაბილიზაციისა და რევოლუციური პროცესებისათვის?**

— გაძონძილი, მტირალა და დემენციით შეპყრობილი სააკაშვილი საქართველოში ვერანაირ პოლიტიკურ ფაქტორად ველარ გამოდგება, რადგან მისი პოლიტიკური წონა თვით ანეკდოტური ხაზეიშვილის პოლიტიკურ წონაზეც კი ნაკლებია. ასე რომ, მნიშვნელობა არა აქვს, სად იქნება პოლიტიკურად კასტრირებული სააკაშვილი — კლინიკაში თუ ციხეში! **თუ უნდათ, სულაც გაათავისუფლონ, ჯანდაბამდე გზა ჰქონია!**

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

**„საქართველოს დღეს უფრო დიდი საფრთხე ემუქრება, ვიდრე ერთი წლის წინათ, როცა უკრაინაში ომი დაიწყო!“**

## კვირგვინოსნები

**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



არსად, ლიბერალურ დემოკრატიაზე გამოცემულ სახელმძღვანელოში არ წერია, რომ **მამაკაცი უნდა გააუპატიურო, მოკლა, მოაბა ბეტონის ფილა და ზღვაში გადააგდო. ეს არ არის ლიბერალიზმი. ეს არის კაცის კვლა.** და აი, ამის სიმბოლოა **ივანე მერაბიშვილი,** რომელიც სადღაც უკრაინიდან მერთვება პირდაპირ ეთერში და დემოკრატიულ წესწყობილებას მასწავლის.

„TV იმედი“

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*



რატომ ჰგონიათ, რომ **ვადამდელი არჩევნები** მომგებიანი იქნება? ოპოზიცია ისედაც დაშლილი და ფრაგმენტირებული იყო და ასპარეზზე **კეზერაშვილ-მერაბიშვილის** გამოჩენამ თუ **ხაზეიშვილის** თავმჯდომარეობამ თავად ნაცმოძრაობაც დაანაწევრა. ასეთ ვითარებაში **რა შანსია, რომ „ოცნება“ ისევ დიდ უმრავლესობას არ აიღებს?**

„კვირის პალიტრა“

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



დღეს **სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე ვართ,** ძალიან გააქტიურებულია რადიკალური ფრთა. **დღემდე ვერ მიპატიება ჩემი თავისთვის 1991-1992 წლების მოვლენებში მონაწილეობა.** იმ ახალგაზრდებს მინდა ვუთხრა, რომლებიც ამ მოვლენების შემდეგ დაიბადნენ, **ჩვენზე მეტი გონიერება გამოიჩინონ, თორემ მერე ძალიან დაიტანჯებიან.** მე დღემდე თვალწინ მიდგას დანგრეული თბილისი.

„კვირის პალიტრა“

**გიორგი ბადრიძე**
*საერთაშორისო საკითხთა სპეციალისტი*



**სტატუსი ჯერ კიდევ გასულ წელს უნდა მოეცათ,** რადგან, რომ შევადაროთ ის კრიტერიუმები, რომლებითაც ფასდება ევროკავშირისკენ მიმავალი ქვეყნის მდგომარეობა, **ჩვენ გაცილებით წინ ვიყავით სხვადასხვა სფეროს გათვალისწინებით, ვიდრე მოლდოვა და უკრაინა,** მიუხედავად ჩვენი ყველა პრობლემისა.

„კვირის პალიტრა“

# დემურ გიორხელიძე:

# მეორე ფრონტის გახსნისა და ქვეყნის ომში ჩართვის მიზნით, უახლოეს თვეებში საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა არნახულად გაიზრდება!

*დასაწყისი მე-9 გვერდზე*

შეუძლებელია, რადგან **რუსეთის დამარცხება არანაირად არ შედის ჩინეთის, ასევე დიდი რეგიონული მოთამაშეების — ინდოეთის, ირანის, თურქეთის, საუდის არაბეთის ინტერესებში.**

**— სწორედ ჰააგის სასამართლოს მიერ რუსეთის პრეზიდენტის დაპატიმრებაზე სანქციის გაცემის კვალდაკვალ ჩავიდა მოსკოვში ჩინეთის პრეზიდენტი სი ძინპინი, რომელმაც პუტინთან „ყოვლისმომცველ თანამშრომლობასა და სტრატეგიულ პარტნიორობაზე“ ისაუბრა. ეს რას უნდა ნიშნავდეს?**

— მოსკოვში **სი ძინპინის** სამდღიანი ვიზიტი უზარმაზარი მასშტაბის მოვლენაა, რომელიც საერთაშორისო ვითარებას კარდინალურად ცვლის. ჩინეთმა, ფაქტობრივად, ღიად მიანიშნა აშშ-ს, რომ რუსეთის მარტო დატოვებას არ აპირებს და, საჭიროების შემთხვევაში, ყველანაირ დახმარებას აღმოუჩენს. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთს დასავლეთის წინააღმდეგ მოქმედებებისათვის ხელ-ფეხი გაეხსნა.




საერთოდ, როცა დასავლეთზე ვსაუბრობთ, მხოლოდ აშშ უნდა ვიგულისხმოთ, რადგან ევროკავშირი სრული პოლიტიკური არარაობაა, რომლის წევრ სახელმწიფოებსაც ამერიკის მარიონეტი ხელისუფლებები უთხრიან ძირს. თუმცა, დღეს თავად ამერიკას აქვს დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები, რის გამოც მსოფლიოში მისი დომინაცია და ჰეგემონია დასასრულს უახლოვდება.

**— უკრაინაში მიმდინარე ომმა რუსეთიც ხომ სერიოზულად დაასუსტა?**

— **ამერიკის მიერ რუსეთის დასუსტების ყველა მცდელობა, უკრაინის სამოქალაქო... — უკრაინის საომარ პოლიგონად გადაქცევით დაწყებული და ეკონომიკური სანქციებით დამთავრებული, არამხოლოდ უშედეგო გამოდგა, არამედ ამ ყველაფერმა რუსეთი კიდევ უფრო გააძლიერა.** პირადად მე ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ვპროგნოზირებდი, რომ ამ სანქციებით დასავლეთი მხოლოდ საკუთარ თავს დააზარალებდა, ხოლო რუსეთს, პირიქით, გააძლიერებდა.

## როცა უკრაინაში ომი დამთავრდება, რუსებმა ამერიკას მოსკოვის ცენტრში სიმბოლური მონუმენტი უნდა დაუდგან, რადგან დიდ გეოპოლიტიკურ სარგებელს, რომელსაც ამ ომით მიიღებენ, ომის გარეშე ვერ ეღირსებოდნენ.

**— თუმცა, ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ უკრაინის ომი მალე არ დასრულდება... რა საფრთხეები ელის საქართველოს სულ უფრო მზარდი საერთაშორისო დაძაბულობის ფონზე?**

— პირდაპირ გეტყვით — საქართველოს დღეს უფრო დიდი საფრთხე ემუქრება, ვიდრე ერთი წლის წინათ, როცა უკრაინაში ომი დაიწყო! მეორე ფრონტის გახსნისა და ქვეყნის ომში ჩართვის მიზნით, უახლოეს თვეებში, საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა არნახულად გაიზრდება! **რაც უფრო მეტად დამძიმდება ვითარება უკრაინაში, მით უფრო მეტად დაძაბავენ სიტუაციას საქართველოში და უფრო დიდი მასშტაბით განმეორდება ის, რაც 8-9 მარტს რუსთაველის გამზირზე ვიხილეთ!**

**— მაინც რა გაძლევთ ასეთი არასახარბიელო პროგნოზის გაკეთების საფუძველს?**

— დიდ გეოპოლიტიკურ თამაშში საქართველო უკრაინას იმიტომ მიაბეს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ზუსტად ისე გამოიყენონ პოლიგონად, როგორც ახლა უკრაინას იყენებენ. ვინმეს ჰგონია, რომ მარტის დასაწყისში თბილისში განვითარებული მოვლენები საქართველოს შიდა პოლიტიკას უკავშირდება და ამერიკულ-რუსული დაპირისპირების კონტექსტიდან არის ამოგლეჯილი? არავითარ შემთხვევაში! ე.წ. უცხოეთის გავლენის აგენტთა შესახებ კანონიც გამიზნულად იყო შემოგდებული და მის წინააღმდეგ ქუჩაში გამოსული, იდეოლოგიური შიზოფრენიის დონემდე მიყვანილი ახალგაზრდების ნაწილიც წინასწარ ჰყავდათ დაინსტრუქტაჟებული ქვეყნის გარედან მოქმედ მძლავრ სამსახურებს, რომლებმაც პირველ ეტაპზე დაგეგმილი ამოცანა წარმატებით შეასრულეს.

**— კერძოდ?**

— ე.წ. საპარლამენტო უმრავლესობა, რომელსაც შემოგდებული კანონისათვის ხმა მიაცემინეს, მეორე დღეს კი იგივე კანონი კენჭისყრაზე ჩააგდებინეს, პოლიტიკურად განეიტრალებულია — **დეპუტატებს პირდაპირ მიანიშნეს, რომ მათ ხმასა და სიტყვას გახვრეტილი შაურიანის ფასი აქვს!** პირდაპირი მინიშნება გაკეთდა ასევე პოლიციისა და სპეცრაზმის მისამართით — **თუ თავს გამოიდებთ, არამხოლოდ „მოლოტოვის კოქტეილით“ დაიწვებით, არამედ მორალურადაც დამცირებულ-მიფურთხებულები იქნებითო!** სწორედ ამის სადემონსტრაციოდ გაათავისუფლეს პასუხისმგებლობისაგან აშკარა სისხლის სამართლის დამნაშავეები, რომლებმაც 8-9 მარტს პოლიციელებსა და სპეცრაზმელებზე იძალადეს!



**— რა არის იმ გარე თუ შიდა ძალების საბოლოო მიზანი, რომლებიც საქართველოში მსგავს პროვოკაციებს გეგმავენ და ახორციელებენ?**

— საქმე ის არის, რომ საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც დიდი ვაჟკაცობითა და პროფესიონალიზმით ნამდვილად არ გამოირჩევა, თვითგადარჩენის ინსტინქტმა უკარნახა, **სულელური ნაბიჯი** არ გადაედგა და ქვეყანა ომში არ ჩაერთო, არადა, ამერიკას საქართველოს ხელისუფლებისაგან სწორედ ასეთი **სულელური ნაბიჯის** გადადგმა სჭირდებოდა.

ამერიკელებმა კარგად დაინახეს ისიც, რომ ქართველები მთლად მორჩილი ხალხი არ ყოფილან, რადგან მეორე ფრონტის გახსნასა და საზარბაზნე ხორცად ქცევას ეწინააღმდეგებიან! მაშ, როგორ უნდა მოხდეს ურჩი ქართველების დასჯა, გატეხვა და განადგურება? **ვარაუდობენ, რომ ეს სამოქალაქო ომის გაჩაღებით იქნება შესაძლებელი და მიდის კიდევაც გარე ძალების მხრიდან ინტენსიური მუშაობა ამ მიმართულებით.** 8-9 მარტის მოვლენებიც ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ და კიდევ უფრო მძიმე დღეებისათვის მოვემზადოთ!

*ესაუბრა*
**ჯაბა ხუბუა**





# თამაზ მოლაშვილი: სააკაშვილი ციხეში უნდა დააბრუნონ!

***სააკაშვილის რეჟიმის მიერ ნაწამები, დაავადმყოფებული და ციხიდან გამოსვლის შემდეგ 47 წლის ასაკში გარდაცვლილი ყოფილი პოლიტპატიმრის სულხან მოლაშვილის მამა, მხცოვანი პედაგოგი თამაზ მოლაშვილი ამა წლის 24 მარტს საქართველოს პარლამენტში განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება და მიიჩნევს, რომ საკანონმდებლო ორგანოში ე.წ. ინტერპელაციის წესით დაბარებულმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ნაცოპოზიციას პოლიტიკური განკითხვის დღე მოუწყო:***

— 24 მარტს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ნაციონალების სახით ოპოზიციასთან კი არა, **საქართველოს მტრების ხროვასთან** გვაქვს საქმე! ვენაცვალე ირაკლი ღარიბაშვილს, რომელიც მაგ გარეწრებს ვაჟკაცურად დაუდგა და საკადრისი პასუხი გასცა, გაყიდულს გაყიდული დაარქვა და მტერს — მტერი, მაგრამ მაინც ვფიქრობ, ჩვენი ხელისუფლება საჭირო სიმკაცრეს არ იჩენს და ქვეყნის ამომგდებ ნაცებს ლმობიერად ექცევა!

**— რას გულისხმობთ?**

— ძალიან აღშფოთებული ვარ იმის გამო, რომ პასუხი არ აგებინეს, ვინც 8-9 მარტს რუსთაველის გამზირი დაარბია, პოლიციელებს ფიზიკურად გაუსწორდა, „მოლოტოვები“ ისროლა და მანქანები დაწვა. ახალგაზრდა ბიჭებისა და გოგონების დასჯას კი არა, **ვაშაძის, ხაბეიშვილისა და მსგავსი ნაძირალების პასუხისგებაში მიცემას ვითხოვ,** რადგან სწორედ მათ წააქეზეს ის ბავშ-



## კვირგვინოსნები



**კახა ქემოკლიძე**
*პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი*

ის, ვინც **ვადამდელ არჩევნებს** ითხოვს, „ქართული ოცნების“ თამაშს თამაშობს.

„ახალი თაობა“



**გედევან ფოფხაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*

ამ ხელისუფლებას **განაჩენი ისტორიამ გამოუტანა.** ისეთი განაჩენი, რომელსაც ვერაფერი უკან ვერ მოაბრუნებს. ეს მთავრობა **კადაფის, მუბარაქის** გზას დაადგა.

„ახალი თაობა“



# „ასავალ-დასავალში“ ჩემი ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ სააკაშვილის ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ დამირეკა... ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჩემ წინაშე თავი დამნაშავედ იგრძნო!“



## „რომ შემეძლოს, სააკაშვილის რეჟიმის მიერ შვილმოკლული მამა სათითაოდ ჩავხედავდი თვალებში ყველას, ვინც ამ გარეწრის გათავისუფლებას ითხოვს და ვკითხავდი —

# დოქსოპულო, შენ შვილი გყავს?!“

ვები — პარლამენტის შენობას ალყა შემოარტყითო! დარწმუნებული ვარ, ნაცებს უნდოდათ, იმ ღამით ერთი ახალგაზრდა მაინც დაღუპულიყო პოლიციასთან და სპეცრაზმთან შეტაკებაში, რასაც მერე ხელისუფლების დასამხობად გამოიყენებდნენ. მახსოვს 5-6 წლის წინათ გამოქვეყნებული ფარული ჩანაწერი, გარეწარი სააკაშვილი გვარამიას რომ ეუბნებოდა — **კარგი იქნება, ჭყლეტა მოხდეს და ორსული ქალი დაიღუპოსო...** ესენი ხელისუფლებაში დაბრუნებისათვის ყველაფერზე არიან წამსვლელი!

**— ვანო მერაბიშვილი პირდაპირ იმუქრება — უახლოეს მომავალში საპროტესტო აქციებს დავიწყებთ და ხელისუფლებას შევცვლითო!**

— ჩვენი ხელისუფლების ბრალია, რომ მერაბიშვილისნაირი სისხლიანი კაცი ისევ პოლიტიკაშია და ხმის ამოღებას ბედავს! ასეთი ჯალათისთვის 7-წლიანი სასჯელი უნდა ეკმარებინათ?! **მარტო ორი გვამის შეკვეთისა და გია კრიალაშვილის მკვლელობისთვის ეკუთვნის სამუდამო პატიმრობა და ციხეში დალპობა!**

ვიცი, რომ ესენი არ გაჩერდებიან და ქვეყნის თავზე დამხობას კიდევ ბევრჯერ შეეცდებიან, ამიტომ ჩვენს ახალგაზრდობას მინდა, ვთხოვო — **შვილებო, ამ მკვლელებსა და მწამებლებს თავს ნუ გამოაყენებინებთ! ფრთხილად იყავით, ნაცები ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ყველაფერს იკადრებენ და იმაზეც არ დაიხევენ უკან, რომ რამდენიმე თქვენგანი ბატკანივით შეწირონ თავიანთ ავადმყოფურ მიზნებს!** საერთოდ, მიმაჩნია, რომ **დროა, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში შევიტანოთ და ბავშვებს სკოლებსა და უნივერსიტეტებში ვასწავლოთ, თუ რამხელა ბოროტება მართავდა ქვეყანას 2004-2012 წლებში, რა უბედურება დაატრიალა და როგორი სისხლის მდინარეები დააყენა სააკაშვილმა...**

ბავშვები, რომლებიც მაშინ 3-4 წლისანი იყვნენ, დღეს უკვე სკოლას ამთავრებენ ან სტუდენტები არიან და უნდა იცოდნენ, რა გამოიარა საქართველომ უახლეს წარსულში. როცა ახალგაზრდებს ეს ყველაფერი ეცოდინებათ, დამპალი ნაციონალები ვეღარ მოატყუებენ და ვეღარ გამოიყენებენ.

**— რას ეტყოდით იმ უცხოელ პოლიტიკოსებს, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას პირდაპირ აშანტაჟებენ — თუ სააკაშვილს არ გაათავისუფლებთ, ევროკავშირის წევრობის კანდიდატობას არ გაღირსებთო?**

— კახური პირდაპირობით ვიტყვი და თქვენც ასე დაწერეთ — **მიმიფურთხებია იმ ევროპისათვის, რომელიც მაიძულებს, დამნაშავე სააკაშვილი გავათავისუფლო!**

„მონანიებაში“ არის ასეთი ფრაზა — **„დოქსოპულო, შენ დედა გყავს?!“** რომ შემეძლოს, სააკაშვილის რეჟიმის მიერ შვილმოკლული მამა სათითაოდ ჩავხედავდი თვალებში ყველას, ვინც ამ გარეწრის გათავისუფლებას ითხოვს და ვკითხავდი — **დოქსოპულო, შენ შვილი გყავს?!**

ერთ ამბავს მოგიყვებით: როცა **მალხაზ მაჩალიკაშვილს** პარლამენტის შენობის წინ კარავი ჰქონდა გაშლილი, მივედი და ვუთხარი — სულხან მოლაშვილის მამა ვარ და შემიძლია, შენი ტკივილი გავიზიარო, მაგრამ ჩემი შვილის მკვლელებთან რომ დგახარ, ამას ვერ მოგიწონებ, მე რომ შენი შვილის მკვლელს ტაში დავუკრა და ვაქო, გაგიხარდება-მეთქი?! თვალები დახარა და ვერაფერი მიპასუხა. შემეცოდა, მხარზე ხელი დავადე და წამოვედი, მეგონა, რამეს მიხვდებოდა, მაგრამ მეტი არაა ჩემი მტერი, დღესაც ნაცების გვერდით დგას!

**— ახლა სააკაშვილის დედას, ადვოკატებსა და მხარდამჭერებს განგაში აქვთ ატეხილი — არიქა, ხელისუფლება მიშას კლინიკიდან ციხეში უპირებს დაბრუნებასო! როგორ ფიქრობთ, უნდა დააბრუნონ?**

— დიახ, **სააკაშვილი ციხეში უნდა დააბრუნონ!** როდემდე უნდა იწვეს საავადმყოფოში ეს აფერისტი, რომელიც საჭმელს გამიზნულად არ ჭამს, ექიმებს არ უჯერებს და თავს ძალით იავადმყოფებს იმის იმედით, რომ გაათავისუფლებენ. როცა ციხეში დააბრუნებენ და მიხვდება, რომ თავის მომკვდარუნებით არაფერი გამოუვიდა, ჭამასაც დაიწყებს და ისევ კიტრივით იქნება. სააკაშვილს, პირველ რიგში, სწორედ დედამისმა, ადვოკატებმა და მომხრეებმა უნდა უთხრან, რომ წყნარად დაჯდეს ციხეში და შეირგოს ის ძალიან მცირე სასჯელი, რომელიც მისჯილი აქვს!

სხვათაშორის, რამდენიმე თვის წინათ, „ასავალ-დასავალში“ ჩემი ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ, სააკაშვილის ადვოკატმა **შალვა ხაჭაპურიძემ** დამირეკა, რომელიც, თავის დროზე, ჩემი შვილის — სულხანის ადვოკატი იყო!

**— რატომ დაგირეკათ და რა გითხრათ ხაჭაპურიძემ?**

— თქვენთან ინტერვიუში ვამბობდი, რომ ხაჭაპურიძეზე ნაწყენი და გაბრაზებული ვიყავი, რადგან ჩემი შვილის მკვლელს დაუდგა ადვოკატად. როგორც ჩანს, ეს სიტყვები გულზე მოხვდა და დამირეკა, თბილად მესაუბრა, მომეფერა... ბოდიში არ მოუხდია, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჩემ წინაშე თავი დამნაშავედ იგრძნო! მართლაც დამნაშავეა ჩემთანაც და სულხანის სულთანაც!

**— დაბოლოს: როგორ ფიქრობთ, რა უნდა დაუპირისპიროს სახელმწიფომ და საზოგადოებამ ნაცების მიერ მერაბიშვილის პირით დაანონსებულ რევოლუციას?**

— ერთადერთი, რაც ხალხს შეგვიძლია, ის არის, რომ გამოვიდეთ ქუჩაში, გავავსოთ მთელი რუსთაველის გამზირი და **ამ შობელძაღლ ნაცებსა და მათ პატრონებს** ჩვენი სიმრავლე და ძალა დავანახოთ, ვუთხრათ და ვაგრძნობინოთ, რომ ქვეყანას არ ავარევინებთ და ხელისუფლებაში მათ დაბრუნებას არ დავუშვებთ!

რაც შეეხება ხელისუფლებას, მეტი სიმკაცრე უნდა გამოიჩინოს და ძალის წინააღმდეგ ძალა გამოიყენოს! თუ ამას არ გააკეთებენ, 2003 წელს როგორც შევარდნაძე გაიქცა პარლამენტის დარბაზიდან, ამათაც ისე გააქცევენ!

*ესაუბრა*
***ჟაბა ხუბუა***



ფონ-კრამონ-კუბილიუს-ფოტიგა-იუკნევიჩიენე

## „მიმიფურთხებია იმ ევროპისათვის, რომელიც მაიძულებს, დამნაშავე სააკაშვილი გავათავისუფლო!“

## კვირგვინოსნები

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



**მიხეილ სააკაშვილის,** როგორც პატიმრის, არცერთი უფლება დარღვეული არ ყოფილა. მას უკვე დაახლოებით, **2 ათას ვიზიტორამდე ჰყავდა,** შესაბამის კლინიკაში მკურნალობს და ფიზიკურად რთულია, წარმოვიდგინოთ, დაინტერესებული მხარე რომელი უფლების დარღვევაზე შეიძლება საუბრობდეს.

„ახალი თაობა“

**დავით ქალანდია**
*POSTV-ის პოლიტიკურ-სატირული გადაცემა „გვერდიდან“ წამყვანი*



**სააკაშვილი** აღარ არის პირველი ვიოლინო ამ ორკესტრში, ვიღაც სხვა უნდა იყოს. **არც ვანო და კეზერაშვილი არიან დიდი ჭკუისა და ინტელექტის პატრონები,** ვიღაც სხვა უნდა ჰყავდეთ, ვისი გამოჩენაც ჯერ არ უნდათ.

„საერთო გაზეთი“

**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების“ ლიდერი, პარლამენტარი*



**ნაციონალების აქციაზე მისვლას არ ვაპირებ** და მითუმეტეს, **მერაბიშვილის** გამოცხადებულზე. თუ ვინმეს ჭკუა მოეკითხება ნაცმოძრაობაში, ერთი მარტივი რამ უნდა გააკეთოს — **ვანო მერაბიშვილს პირზე სკოჩიააკრას.**

„კვირის პალიტრა“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*



ჰააგამ ამ დრომდე გაასამართლა მხოლოდ მილოშევიჩი და ესეც მას შემდეგ მოხდა, რაც სერბეთი ომში დამარცხდა და **მილოშევიჩის** რეჟიმიც დაეცა. **ჯერ უნდა დამარცხდეს პუტინი ომში, რეჟიმი უნდა დამარცხდეს და ჩამოიშალოს** და მერე, კი ბატონო. მანამდე, როგორ წარმოგიდგენიათ, ვინ დააპატიმრებს **პუტინს** მოსკოვში?!

„ახალი თაობა“

# ქალბატონმა ანალენამ ანალიდან ენა გამოგვიყო!

***წინა კვირას გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრაუ ანელენა ბერბოკი საქართველოს ეწვია. არადა, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების ფეხი ქართველებს ცუდად გვაქვს დაცდილი!***



**ის ფაქტი, რომ ანალენა ბერბოკი ჯერ ენჯეო-აგენტურას შეხვდა, იმის პირდაპირი მტკიცებულებაა, რომ ევროპისთვის პრიორიტეტს არა ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, არამედ კოლექტიური დასავლეთის მიერ მართული და დაპურებული აგენტურა წარმოადგენს!**

**ასე უსინდისოდ იქცეოდნენ ევროპელები საქართველოში ნოე ჟორდანიას დროსაც, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა „ერთა ლიგაში“ არ მიიღეს...**

**გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ანალენა ბერბოკი**

ასე, მაგალითად, იმ სისხლიან და, როგორც გალაკტიონი იტყოდა, უპირქუბო დროს, 1992 წლის გაზაფხულზე, საქართველოს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი **ჰანს-დიტრიხ გენშერი** რომ ესტუმრა და შევარდნაძესა და დანარჩენ გადამტრიალებლებს ხოტბა აღუვლინა, გულმოცემულმა და გაქეზებულმა ქართველმა მანქურთებმა საქართველოს უფრო გაშმაგებით შეუტიეს და სამეგრელოს კიდევ ერთხელ მოთარეშების შემდეგ აფხაზეთშიც დურთეს თავი, სადაც საშინელი ომი გააჩაღეს და ქვეყანას დიდი ხნით დასცეს დამბლა!

ცოტა ხნით ადრე, ვიდრე სააკაშვილი პუტინის ოცნებას აასრულებდა და ცხინვალში აწყვეტილი ბურვაკივით შეშლიგინდებოდა, საქართველოში ჩამოვიდა გერმანიის დღევანდელი პრეზიდენტი და მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი **ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი,** რომელმაც გაგვაფრთხილა — **დიდია საფრთხე, ქვეყანა რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაებას და საქართველომ ტერიტორიები დაკარგოსო!**

ისე აგიხდათ ყოველივე კარგი, როგორც შტაინმაიერის სიტყვები ახდა და სულ მალე სააკაშვილმა საქართველო რუსის ჯარს გადააჯეგინა...

ახლაც ფეხმრუდი და ნავსიანი გამოდგა გერმანიის აუსენმინისტერინის **ფრაუ ანალენა ბერბოკის** ჩამოსვლა თბილისში... საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოში ვიზიტამდე ერთი დღით ადრე ქალბატონ **ანალ**ენას ენამ წაუსწრო, თავისი ევროპული **ანალიდან** მართლაცდა **ენა** გამოგვიყო და განაცხადა — **რაღაც საქართველოში საქმე კარგად ვერ მიდის, ქვეყნის ევროპულ გზაზე აცდენებს ვხედავ, რომელიც შიდა და გარე ზეწოლით არის განპირობებულიო!**

ჩვენ არ ვიცით, სინამდვილეში რა **„ფრითენზიები აქვს“ ფრაუ ანალენას,** მაგრამ დანამდვილებით ვიცით, რომ **გერმანიაში მოღვაწე ქართველმა მეცნიერმა, ჰალე-ვიტენბერგის უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის მეცნიერ-თანამშრომელმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ლევან ჭოტორლიშვილმა** ფრაუ ბერბოკი კრეტინად გამოაცხადა და სოციალურ ქსელებში ასეთი რამ დაწერა:

***„ორიოდე შტრიხი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრზე: წარმოიდგინეთ გერმანელი ლევან ხაბეიშვილი კაბაში. ქურქუმულზე უარესები აქვს ნათქვამი. გაუნათლებლობის გარდა უტვინოა და აქვს ხასიათის ის თვისებები, რაც ხაბეიშვილს ამსგავსებს. სწორედ მაგ თვისებების გამო შეარჩიეს ოკეანის გაღმა და ამუშავებენ გერმანიისა და ევროპის ინტერესების საზიანოდ.*** *გერმანელებს, ვისაც ვიცნობ და ტვინი ვისაც მოეკითხება, ყველას რცხვენია მინისტრის გამო.* ***ლევან ხაბეიშვილი*** *რომ იყოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი და საზღვარგარეთ თავს გვჭრიდეს, არ შეგრცხვებოდათ?* ***ამერიკა და ინგლისი ევროპის ინტერესების საწინააღმდეგოდ რომ მოქმედებს, მაგას, ალბათ, მიხვდით მას შემდეგ, რაც ბრიტანეთმა ევროკავშირი დატოვა. ბრიტანეთი, რომელმაც თვითონ დატოვა ევროკავშირი, ჩვენ რატომ გვპირდება ევროკავშირში შესასვლელად დახმარებას, მაგას მიხვდებით მალე!“***

მოკლედ, როგორც გერმანიაში მოღვაწე ქართველი პროფესორი ირწმუნება, **ფრაუ ანალენა ბერბოკს,** თურმე, მთელ გერმანიაში შტერისა და **კაბაში გამოწყობილი ლევან ხაბეიშვილის** სახელი ჰქონია გავარდნილი, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ამ შტერსაც არ ავიწყდება, საქართველოში ვიზიტის დროს პირველად ვის უნდა შეხვდეს, ვის უნდა გადაესკვნას და ვისი ამბავი მოიკითხოს!

მართლაც, **აუსენმინისტერინ** ანალ**ენას** თვითმფრინავი მეორე მცდელობის შემდეგ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაეშვა თუ არა, იგი მაშინვე „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ბუნაგისკენ გაემართა და იქ შეკრებილ **ენჯეო-აგენტურას** ისე გადაესკვნა, **როგორც ელისტრაკო ქილაძე თემურ ალასანიას...**

მხოლოდ ამ შეხვედრის შემდეგ ეწვია **ანალ**ენა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ **ილია დარჩიაშვილს,** რომელსაც განუცხადა — **გული სიხარულით მევსებოდა, ამ ორიოდე კვირის წინათ, თბილისში საპროტესტო აქციაზე აფრიალებულ ევროკავშირის დროშებს რომ ვუყურებდი და საბოლოოდ დავრწმუნდი, საქართველო ევროპააო!** დარჩიაშვილმა კოლეგას ამაზე მორიდებით უპასუხა — **ევროკავშირის დროშა მხოლოდ საპროტესტო აქციაზე კი არა, თითოეული ქართველის გულში ფრიალებსო!** ცხადია, **ანალენა ბერბოკს** ის აღარ უთქვამს — **მთლად გავიხარეთ და ზედმეტი ჟრიამულისგან სულ ანალები გვიცახცახებდა, როცა რუსთაველის პროსპექტზე ჩვენი აგენტურის ღირსეული ცვლა — ახალგაზრდა მასონები, „ფრანკლინელები“ და ანარქისტები ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილებით“ თბილისის გადაბუგვას ცდილობდნენო!**

ის ფაქტი, რომ **ანალენა ბერბოკი** ჯერ ენჯეო-აგენტურას შეხვდა, მერე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს და ბოლოს პრეზიდენტ-რეზიდენტ **სალომე ზურაბიშვილს,** იმის პირდაპირი მტკიცებულებაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაგებულ კაკანათში გაბმული და აფართხალებული ევროპისთვის პრიორიტეტს არა ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, არამედ კოლექტიური დასავლეთის მიერ მართული და დაპურებული აგენტურა წარმოადგენს!

ასე უსინდისოდ იქცეოდნენ ევროპელები საქართველოში **ნოე ჟორდანიას** დროსაც, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა „ერთა ლიგაში“ არ მიიღეს, ხოლო ბოლოს, კერძოდ, 1920 წლის დეკემბერში, ჩვენი ხელისუფლების ხვეწნა-მუდარის მიუხედავად — აქაოდა, არ მიგვატოვოთ, საუკეთესო მიწის ნაკვეთს გამოგიყოფთ სამხედრო ბაზის მოსაწყობადო! — ბოლშევიკური რუსეთის შიშით ბათუმიდან სამარცხვინოდ გაიპარნენ!

**ვშიშობ, საქართველოში იგივე ისტორია გათამაშდება!**

**არც ის დაგვავიწყდეს, რაც ნიკოლოზ ბარათაშვილმა 184 წლის წინათ, 1839 წელს „ბედი ქართლისაში“ დაწერა — „რომ დღეს იქნება თუ ხვალ იქნება, ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება!“**

*დიტო ჩუბინიძე*

## რა „ფრითენზიები“ აქვს გერმანიის აუსენმინისტერინს?





## ლევან ჭოტორლიშვილი: წარმოიდგინეთ გერმანელი ლევან ხაბეიშვილი კაბაში!



# გენერალისიმუსი

№17-18 (185-186) ★ 2023 წლის 27 მარტი ★ გამოდის 2003 წლიდან

## რა უთხრა სი ძინპინმა ვლადიმერ პუტინს გამომშვიდობებისას?



სი ძინპინი და ვლადიმერ პუტინი

## სწორედ მაშინ სთხოვა მაო ძედუნმა სტალინს – კომუნისტური ჩინეთი საბჭოთა კავშირის მეჩვიდმეტე რესპუბლიკად მიიღეო, რაზეც ბელადმა ცივი უარი განაცხადა!

სახიფათო პარალელები ★

***ალბათ, სიმბოლურია ის ფაქტი, რომ თანამედროვე ჩინეთის ლიდერი სი ძინპინი, რომელიც ამ ერთი კვირის წინათ მოსკოვში პუტინს შეხვდა, სწორედ სტალინის მკვლელობის წელს, 1953-შია დაბადებული...***

**მაო ძედუნისგან** განსხვავებით, რომელიც 1949 წლის 16 დეკემბერს სტალინთან შესახვედრად მატარებლით ჩავიდა და **კუნცევოს აგარაკის მეორე სართულზე** 65 დღე გაატარა, **სი ძინპინი პუტინს,** სულ რაღაც, ორ დღეში გამოემშვიდობა და მოსკოვიდან იმაზე ბევრად მეტი წამოიღო, ვიდრე რუსეთის იმპერატორებმა ჩინეთიდან გამოზიდეს.

სხვათაშორის, **მოსკოვში ვიზიტის დროს, სტალინის ბრძანებით,** მაო ძედუნი **ლენინგრადშიც წაიყვანეს და ერმიტაჟი საგანგებოდ დაათვალიერებინეს, თუმცა, ჩინური დარბაზი დაკეტილი დაახვედრეს — რემონტიაო!** ეშმაკი მაო მაშინვე ყველაფერს მიხვდა და ჩაილაპარაკა — **ეტყობა, სტალინს შერცხვა, ჩემთვის ეჩვენებინა ის ნაძარცვი, რაც რუსეთის იმპერატორებმა ჩინეთიდან გამოზიდესო!**

დრო იცვლება და იმპერიები ერთმანეთის ჩასაძირად თუ გადასარჩენად ერთმანეთს უსირცხვილოდ ეხეთქებიან... ასე, მაგალითად, 1949 წლის დეკემბერში, როცა **მაო ძედუნი** სტალინთან ჩამოვიდა, მაშინ 700-მილიონიანი ჩინეთი ამერიკისა და მისი სატელიტებისგან ხსნას საბჭოთა კავშირისგან ელოდა, ხოლო **დღეს იზოლაციაში მოქცეული და უკრაინის ომში ყელამდე ჩაფლული პუტინი შველას სწორედ იმ ჩინეთისგან ელის, რომელიც, ნებისმიერი საექსპერტო გათვლით, უახლოეს ხუთ წელიწადში მსოფლიოს ნომერ პირველ ეკონომიკას შექმნის და კაცობრიობას ცხოვრების წესს დოლარი კი არა, იუანი უკარნახებს!**

მაშინ, იმ შორეულ 1949 წლის დეკემბერში, **მაო ძედუნი** დღედაღამ იმაზე ფიქრობდა, რატომ აყოვნებდა სტალინი ამდენი ხნის განმავლობაში სასტუმრო „პეკინსა“ თუ კუნცევოს აგარაკზე და რად არ ჩქარობდა მსოფლიოს მპყრობელ ჩინეთთან დასკვნით ხელშეკრულებაზე ხელმოწერას, რომელსაც ორი უდიდესი სამყაროს ერთიანი მიზნები და ამოცანები უნდა გამოეკვეთა. — ძილის მეტს არაფერს ვაკეთებო! — ჩიოდა მოსკოვში მყოფი მაო. როგორც იქნა, დადგა ნანატრი დღეც და 1950 წლის 14 თებერვალს ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის კავშირის, მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება გაფორმდა. გადმოცემის თანახმად, სწორედ მაშინ სთხოვა **მაო ძედუნმა** სტალინს — კომუნისტური ჩინეთი საბჭოთა კავშირის მეჩვიდმეტე რესპუბლიკად მიიღეო, რაზეც ბელადმა ცივი უარი განაცხადა! როცა უახლოესი თანამებრძოლებისგან სტალინმა სხვა აზრი მოისმინა და პოლიტბიუროს მაღალჩინოსნები საბჭოთა კავშირში ჩინეთის შესაძლო გაწევრიანების პერსპექტივით აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ, იმავე გადმოცემის თანახმად,

### სტალინმა გაკვირვებისგან მხრები აიჩეჩა და იკითხა – ჩინელებს საბჭოთა კავშირის პასპორტი მივცეთ?! ნუთუ ვერ ხვდებით, რომ, როგორც კი ამას ვიზამთ, ერთ წელიწადში მთელი პოლიტბიურო და ცენტრალური კომიტეტი ჩინურად დაიწყებენ ლაპარაკს?!

ასე ამოიწურა ეს საკითხი, რომელსაც ერთხელ და სამუდამოდ ტაბუ დაედო...

ომის შემდეგ ორი იმპერიის ცხოვრებაში უდიდესი ღალატისა და იმედგაცრუების წლები ჩამოდგა, როცა სულელმა **ნიკიტა ხრუშჩოვმა** დიდი სტალინის მიერ წლობით ნაშენები და ნალოლიავები რუსულ-ჩინური მეგობრობა წყალს გაატანა და საქმე იქამდეც კი მიიყვანა, რომ 1969 წელს, გაგანია ბრეჟნევის ეპოქაში, კუნძულ დამანსკზე საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის სასაზღვრო შეტაკება მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, მაშინ კრემლმა ჩინეთის წინააღმდეგ უძლიერესი ლაზერული იარაღი გამოიყენა, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა.

როგორც ჩასაფრებული კატა თაგვის ყოველ მოძრაობას, სწორედ ისე ამერიკის შეერთებული შტატები გაფაციცებული ადევნებდა თვალს ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის გაფუჭებას. დამანსკში კონფლიქტი მოხდა თუ არა, ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველმა უშიშროების საკითხებში **ჰენრი კისინჯერმა,** რომელიც 1973 წელს სახელმწიფო მდივანიც გახდა, მსოფლიო პოლიტიკაში შემოაგდო „სამკუთხა დიპლომატიის“ ცნება, რომლის თანახმადაც საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ბალანსის შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო მსოფლიოში ჩინეთის, როგორც უდიდესი სახელმწიფოს, ფუნქციის გაზრდა. ამერიკელებს ჩინეთის გააქტიურება მაშინ აწყობდათ, რადგან კომუნისტური ჩინეთი კომუნისტურ საბჭოთა კავშირს მტრობდა.

მოკლედ, **თეთრ სახლში დაფაცურდნენ და 1971 წელს სასწრაფოდ გააუქმეს ის 21-წლიანი ემბარგო, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩინეთს სწორედ იმის გამო დაუწესა, რომ 1950 წლის 14 თებერვალს მაო ძედუნი სტალინს შეეკრა.** უფრო მეტიც, 1972 წელს პრეზიდენტი **რიჩარდ ნიქსონი** ჩინეთში ჩავიდა, ხოლო 1979 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის სრული დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა. ამერიკის მომდევნო პრეზიდენტებმა — **ჯერალდ ფორდმა** და **ჯიმი კარტერმა** მაო ძედუნსა და დენ სიაოპინს იმ-



მაო ძედუნი და იოსებ სტალინი

როცა მაო ძედუნი სტალინთან ჩამოვიდა, მაშინ 700-მილიონიანი ჩინეთი ამერიკისა და მისი სატელიტებისგან ხსნას საბჭოთა კავშირისგან ელოდა...

გაგრძელება მე-6 გვერდზე

*პროფესორი სიმონ მასხარაშვილი იმ ურთულესი და დრამატული პერიოდის ანალიზს გვთავაზობს, რომელიც საბჭოთა საქართველოს უმაღლეს პარტიულ ელიტასა და რესპუბლიკის სამეურნეო ხელმძღვანელობაში ცეკას მდივნის პოსტიდან კანდიდ ჩარკვიანის გათავისუფლების შემდეგ დადგა:*

# სიმონ მასხარაშვილი: თბილისში გამართულ ცეკას იმ პლენუმზე ლავრენტი ბერია ე.წ. „რამკიანი ქუდით“ იჯდა!



ისტორიკოსის თვალით

— სტალინის გარდაცვალების მომენტში საქართველოში შიდაპოლიტიკური ვითარება უკიდურესად გამწვავდა. ე.წ. **„მეგრელთა საქმის“** გამო, რომელიც **გიორგი მალენკოვმა** 1951 წელს ააგორა, რეპრესიები, ფაქტობრივად, შეეხო მთელ იმ გუნდს, რომელიც 1938-1953 წლებში საქართველოს მართავდა. 1951 წლის 10 ნოემბერს უკვე დააპატიმრეს საქართველოს ცეკას მეორე მდივანი **მიხეილ ბარამია,** რომელსაც მალევე მიაყოლეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე **ავქსენტი რაფავა...** სულ 500-მდე მეგრული წარმოშობის ქართველი მაღალჩინოსანი, მეცნიერი, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწე დააპატიმრეს. „მეგრელთა საქმეს“ საგანგებოდ იძიებდა საქართველოს მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი **ნიკოლოზ რუხაძე,** რომელიც 1952 წლის 11 ივლისს თავადაც დააპატიმრეს და **ავქსენტი რაფავასთან** და **შალვა წერეთელთან** ერთად 1955 წელს დახვრიტეს.

სტალინი, რომელიც 1951 წელს საქართველოში დასასვენებლად ჩამოვიდა, ფაქტობრივად, ფარულად აკონტროლებდა ე.წ. „მეგრელთა საქმის“ გამოძიებას... 1952 წლის 2 აპრილს საქართველოს ცეკას მდივანი **კანდიდ ჩარკვიანი** სწორედ „მეგრელთა საქმეს“ შეეწირა, როცა ის სტალინმა გაათავისუფლა. ჩარკვიანის ადგილი უმალ დაიჭირა **აკაკი მგელაძემ,** რომელსაც, **კლიმენტი ვოროშილოვის** წყალობით, სტალინი დიდი ხანია, იცნობდა. მანამდე აკაკი მგელაძე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შეფი იყო და სწორედ აფხაზეთიდან მოხდა მისი სტალინთან დაახლოება, რადგან ბელადს აფხაზეთში დასვენება ძალიან უყვარდა.

თავიდან **აკაკი მგელაძეს** ბერიასთან ცუდი ურთიერთობა არ ჰქონია, მაგრამ სტალინის მკვლელობის შემდეგ, როგორც ჩანს, მან **გიორგი მალენკოვის** მხარე დაიჭირა, რაც ლავრენტი ბერიამ არ აპატია და 1953 წლის 14 აპრილს ცეკას მდივნობიდან გაათავისუფლა. მის ნაცვლად საბჭოთა საქართველოს ცეკას მდივნად დაინიშნა **ალექსანდრე მირცხულავა,** რომელიც ე.წ. „მეგრელთა საქმის“ გამო დაპატიმრებული გახლდათ და ციხიდან ბერიამ გამოუშვა...

**— ე.წ. „მეგრელთა საქმემ“ ისეთი მანიაკალური სახე შეიძინა, რომ მთელი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება არია...**

— მოხდა ასეთი ინციდენტი — თბილისში ვერის ბაზარში დადგა ერთი მეგრელი კაცი და გამოკვეთილად მეგრული აქცენტით ყვირილი დაიწყო — **„ნამდვილი კახური სულგუნი!“** საშინელება ტრიალებდა საქართველოში, მეგრულად ლაპარაკის ეშინოდათ... ვიცნობ ადამიანებს, რომელთა წინაპრებმაც დაპატიმრების შიშით მეგრულად დაწერილი ლექსები დაწვეს. უფრო მეტიც, ხალხი მალავდა, რომ მეგრული იცოდა... ეს იყო ნამდვილი ისტერია და საგიჟეთი.

პარალელურად ძალიან საინტერესო პროცესები დაიწყო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და ცეკაში. კერძოდ, 1952 წლიდან თბილისში, ფაქტობრივად, დაიწყო მეტროპოლიტენის მშენებლობა, ხოლო ცეკაში დაწინაურდა ახალგაზრდა და უაღრესად ღირსეული კადრი **გიორგი გეგეშიძე,** რომელმაც თბილისს უამრავი სიკეთე აჩუქა. მადლიერმა ქართველმა ხალხმა ბაღს, სადაც გიორგი გეგეშიძე ცხოვრობდა, სიყვარულით „გეგეშიძის ბაღი“ დაარქვა. მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძემ მისი სახელის გადასაფარად ბაღში კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლი დადგა, ბაღს სახელი დღემდე შემორჩა.

ე.წ. „მეგრელთა საქმის“ გარშემო ატეხილ საგიჟეთს დაემატა **აკაკი მგელაძის** მიერ აკვიატებული ახალი სიგიჟე — საქართველომ თავისი თავი ხორბლით უნდა დაიკმაყოფილოსო! დასავლეთ საქართველო ისტორიულად მარცვლოვან მცენარეს — ღომს მოიხმარდა და ხორბლისგან გამომცხვარ პურს იქ უფრო საკრალური დატვირთვა ჰქონდა. ღომი მოგვიანებით ჩაანაცვლა სიმინდმა, რომელიც უფრო ნოყიერია... საინგილო, რომელიც ისტორიულად გახლდათ პურის ბეღელი, **აკაკი მგელაძის** დროს უკვე აღარ ეკუთვნოდა საქართველოს და აზერბაიჯანის საზღვრებში იყო მოქცეული. აკაკი მგელაძის მითითებით, სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ საქართველოს მოსახლეობის ხორბლით გამოსაკვებად დამატებით საჭირო იყო ე.წ. **ნეიტრალური მიწების** მოხვნა.

**— „ნეიტრალური მიწა“ რას ნიშნავს?**

— ეს იყო ტერიტორია, რომელსაც ცხვარი იყენებდა საძოვრად. მოგეხსენებათ, საქართველოში ოდითგანვე არსებობდა ზაფხულისა და ზამთრის საძოვრები, ხოლო ცხვარი ზამთარში მიჰყავთ ბარში, ზაფხულში — მთაში. ცხვრის გადარეკვა მთელი პროცესია, რომელიც დიდი ხნის მანძილზე გრძელდება. **თუ ე.წ. ნეიტრალური მიწები გადახნავი და იქ ხორბალი დათესე, ცხვარი გადარეკვის დროს ბალახს ვერ მოძოვს და შიმშილისგან დავარდება...** სწორედ ეს მოხდა საქართველოში **აკაკი მგელაძის** ცეკას მდივნობის დროს, რაც ასე კარგად და მხატვრულად არის აღწერილი შესანიშნავ ქართულ მხატვრულ ფილმში — **„ჩრდილი გზაზე“,** რომელშიც ქართული კინოს ლეგენდები თამაშობენ. ქართული ცხვარი თავისი თვისებებით მსოფლიოში უნიკალურია... აი, მაგალითად, ზესტაფონის რაიონის სოფელ საზანოში ისეთი მიკროზონაა, იქაური ცხვრის ხორცს სუნი არა აქვს!

**— კი, საზანო ჩემი ოდაბადეა და ვიცი, რომ ნამდვილად ასეა...**

— გემური თვისებებით ქართული ცხვრის ხორცს მსოფლიოში ბადალი მართლაც არ ჰყავს. **მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტები და მეურნეობის დირექტორები აფრთხილებდნენ, აკაკი მგელაძემ არავის დაუჯერა და 1952 წელს აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში ე.წ. „ნეიტრალური მიწები“ მოიხნა...** უფრო მეტიც, ის სპეციალისტები, რომლებიც 1952 წლის ოქტომბერში დაგეგმილი საკავშირო ყრილობის დელეგატები უნდა ყოფილიყვნენ და მიწების გადახვნას ეწინააღმდეგებოდნენ, **მგელაძემ** მოსკოვში აღარ წაიყვანა. იმ წელს ადრე დაზამთრდა და გადარეკვის დროს ათეულათასობით უნიკალური ჯიშის ქართული ცხვარი დაეცა... ზარალი კოლოსალური იყო. სწორედ 1952 წლის ოქტომბერში მოხდა ეს ამბავი —

## მოსკოვში ყრილობა მიდიოდა და საქართველოში აკაკი მგელაძის სისულელით ქართული ცხვარი მასობრივად განადგურდა!

ცხადია, ეს ყველაფერი აკაკი მგელაძეს დაბრალდა და სავსებით სამართლიანადაც... მოკლედ, 1953 წლის 14 აპრილს აკაკი მგელაძე ბერიამ გაუშვა და მის ნაცვლად **ალექსანდრე მირცხულავა** დანიშნა... უმძიმესი სიტუაცია იყო ინტელიგენციაშიც...

**— ინტელიგენციას რა აწუხებდა?**

— ინტელიგენციას ის აწუხებდა, რომ ქართული სამეცნიერო და კულტურული ელიტა საშინლად დაიბნა... საქმე ის გახლავთ, რომ მიზეზთა და მიზეზ-



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 89 (9557) | ოთხშაბათი, 15 აპრილი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

### საინფორმაციო ცნობა
### საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

მიმდინარე წლის 14 აპრილს გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

განხილული საკითხების გამო ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად **აირჩია ამხ. ა. ი. მირცხულავა** და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ა. ი. მგელაძე.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად აირჩია ამხ. **დ. ზ. რომელაშვილი** და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. **ვ. გ. ცხოვრებაშვილი** სხვა სამუშაოზე მისი გადასვლის გამო.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე მდივნად აირჩია ამხ. **ვ. მ. ჩხიკვაძე** და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ვ. დ. ბუჯიაშვილი.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებად დაამტკიცა ამხანაგები: **ვ. მ. ბაქრაძე, მ. ი. ბარამია, ვ. გ. დეკანოზოვი, გ. დ. ჯავახიშვილი, ი. ს. ზოდელავა, ს. ს. მამულოვი, ა. ი. მირცხულავა, დ. ზ. რომელაშვილი, გ. თ. სტურუა, ვ. გ. ცხოვრებაშვილი, ვ. მ. ჩხიკვაძე.**

ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად დამტკიცებული არიან ამხანაგები: **ი. დ. კოჭლამაზაშვილი, ნ. ი. სტურუა.**

პლენუმმა დაადგინა 1953 წლის 25 მაისს მოწვეულ იქნას საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი XVI ყრილობა.

პლენუმმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს.





**„მადლიერმა ქართველმა ხალხმა ბაღს, სადაც გიორგი გეგეშიძე ცხოვრობდა, სიყვარულით „გეგეშიძის ბაღი“ დაარქვა. მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძემ მისი სახელის გადასაფარად ბაღში კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლი დადგა, ბაღს სახელი დღემდე შემორჩა!“**

# ბერიას საგანგებო ვიზიტი თბილისში სტალინის სიკვდილის შემდეგ, რომელიც მაშინდელ პრესაში არ გაშუქებულა



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 94 (9562) | შაბათი, 21 აპრილი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

## საინფორმაციო ცნობა

### საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმის შესახებ

ამა წლის 17-18 აპრილს შედგა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

პარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმმა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან გარიცხა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი ამხ. ა. ი. მგელაძე.

მუშაობის მანკიერი სტილისათვის, პარტიული მასისაგან მოწყვეტისათვის, კრიტიკის ჩახშობისათვის, მუშაობაში უხეშობისა და ადმინისტრირებისათვის პლენუმმა ამხ. ვ. კ. ბალავაძე მოხსნა თბილისის კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან, გარიცხა თბილისის კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან და გამოიყვანა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის ბიუროდან.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა დაამტკიცა ამხ. ნ. ი. სტურუა, მეორე მდივნად — ამხ. კ. ი. ბარიგიანი, საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. შ. მ. თათარაშვილი.

პლენუმმა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის ბიუროს წევრებად დაამტკიცა ამხ. ნ. ი. სტურუა და ამხ. კ. ი. ბარიგიანი.

თა გამო საქართველოს ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი ომის დროს და შემდეგაც, აფხაზეთში იქნა გადასროლილი, სადაც პედაგოგიური ინსტიტუტი და სუბტროპიკული ინსტიტუტი გაიხსნა. ეს ინტელიგენცია **აკაკი მგელაძესთან,** როგორც ავტონომიური აფხაზეთის ყოფილ შეფთან, მჭიდროდ იყო დაკავშირებული. რაკი მგელაძე მოხსნეს, ინტელიგენცია შეშინდა...

**— ვისი და რისი ეშინოდათ, ლავრენტი ბერიასი?**

— ცხადია! ხალხს ყველაფერი ახსოვდა და ლავრენტი ბერია ქართველების თვალში სტალინი არ იყო! **მართალია, 1953 წლის 26-27 მარტს გამოცხადებული დიდი ამნისტიით ბერიამ ხალხში გააჩინა ძალიან დადებითი მოლოდინი, მაგრამ მის მიმართ გაორებული დამოკიდებულება სჭარბობდა.** მიუხედავად ამისა, ბერიასთან ძალიან ახლოს იყვნენ ქართველი მწერლები, პოეტები, სპორტსმენები, განსაკუთრებით — ფეხბურთელები. ბერიაც ყოფილი ფეხბურთელი იყო და თბილისის „დინამოს" თამაშს არ ტოვებდა. თანაც, ქართული სპორტისთვის ძალიან ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული... მოკლედ, **1953 წლის აპრილში ლავრენტი ბერია საქართველოში ჩამოვიდა, ცეკას პლენუმი ჩაატარა და ერთი კაცი, რომლის გვარსაც არ ვიტყვი, ტრიბუნიდან სულ დედის გინებით ჩამოაგდო!**

**— რატომ, რას ერჩოდა?**

— ეს პიროვნება ისტორიული ფიგურა არ ყოფილა, მაგრამ ცეკას წევრი და ერთი ამაგდარი პარტიული ფუნქციონერი ნამდვილად გახლდათ. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ბერიამ პლენუმზე გამოაცხადა — **აწი, არათუ უმაღლესი საბჭოს სესია, არამედ თვით პარტიის ცეკას თათბირი, ანუ პლენუმიც კი ქართულ ენაზე უნდა წარიმართოს!**



# ვის და რატომ შეაგინა დედა 1953 წლის აპრილში პარტიის ცეკას პლენუმზე ლავრენტი პავლეს ძემ?

მოკლედ, ბერია პრეზიდიუმში იჯდა და ამ დროს გამოვიდა ერთი პიროვნება, რომელიც პლენუმს ქართულად მიესალმა და შემდეგ რუსულად დაიწყო ლაპარაკი. ლავრენტი ბერიამ გამომსვლელს შენიშვნა მისცა და მიკროფონში ჩაილაპარაკა — **„ქართულად!"** გამომსვლელი შეყოვნდა, ერთი-ორი წინადადება დამტვრეული ქართულით წარმოთქვა და შემდეგ ისევ რუსულს მიუბრუნდა. ლავრენტი ბერიამ გამომსვლელის მისამართით მიკროფონში ისევ გაიმეორა — **„ბითხარი მე შენ, ილაპარაკე მხოლოდ ქართულად!"** დაბნეულმა და ნირწამხდარმა გამომსვლელმა ხელები გაასავსა და ბერიას საწყლად უთხრა — **ამხანაგო ლავრენტი პავლოვიჩ, მე ქართულ ენას ისე კარგად არ ვფლობ, რომ ქართულად ვილაპარაკო!** ამის თქმა იყო და, ბერიამ მიკროფონში დაიღრიალა — **„მე შენი გარუსებული დედა მოვ...ან** *(ცენზურა ჩვენია. რედ.),* **თუ ქართულად ვერ ლაპარაკობ, მაშინ ჩამოეთრიე ტრიბუნიდან!"** ის საცოდავი კაცი მაშინვე ჩამოვიდა ტრიბუნიდან და პლენუმი ასე სკანდალურად დასრულდა. ნახევარ საათში მთელმა თბილისმა იცოდა, რაც პლენუმზე მოხდა და ყველამ მასობრივად ქართულის სწავლა დაიწყო!

**— ცეკას იმ წევრს რა ბედი ეწია?**

— ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ბერიას ის კაცი არც დაუქვეითებია და არც რეპრესიებში მოუყოლებია, სწორედ ეს ფაქტი მაფიქრებინებს, რომ პლენუმზე მომხდარი ინციდენტი ბერიასა და იმ კაცს შორის, რომლის გვარ-სახელსაც არ გავთქვამ, შესაძლოა, გათამაშებული და წინასწარ შეთანხმებული იყო! ამით ბერიამ ყველას დაანახა — **„ასე მოუვა იმას, ვინც ქართულად არ ილაპარაკებს!"** ამის შემდეგ, ვიდრე ბერიას დახვრეტამდე, საქართველოს ცეკაში რუსულად ლაპარაკი, ფაქტობრივად, აიკრძალა!

**— თქვენ ამ ინციდენტის შესახებ საიდან იცით?**

— ეს ყველაფერი ბაბუაჩემმა **სვიმონ მასხარაშვილმა** მიამბო, რომელიც მაშინდელ წითელწყაროში ერთ-ერთი საბჭოთა მეურნეობის წარმატებული დირექტორი იყო და ცეკას იმ პლენუმს ესწრებოდა! დიახ, ბაბუაჩემმა თავისი თვალით ნახა და თავისი ყურით გაიგონა ყოველივე...

**— თქვენ მიერ ხსენებული პლენუმი, სადაც სკანდალი მოხდა, თბილისში 1953 წლის 14 აპრილს ჩატარდა. მაშინდელ ქართულ პრესაში პლენუმის მსვლელობა დეტალურად არის გაშუქებული, მაგრამ არსად კრინტი არ არის დაძრული იმის თაობაზე, რომ თბილისში ლავრენტი ბერია იყო ჩამოსული და პლენუმს ესწრებოდა!**

— ეს ბუნებრივიც არის, რადგან **ბერია საქართველოში სპეცმისიით** ჩამოვიდა, რათა ყველგან თავისი კადრები დაენიშნა და სიტუაცია თავის სასარგებლოდ დაელაგებინა. ცხადია, ამის საქვეყნოდ აფიშირება და ყველაფრის გაზეთში გამოქვეყნება საჭირო არ იყო. **სხვათაშორის, ბერია მაშინ მხოლოდ საქართველოში არ ყოფილა, ანალოგიური მისიით მან ყველა მოკავშირე რესპუბლიკა ჩამოია-**

გაგრძელება მე-4 გვერდზე



**„სწორედ ეს მოხდა საქართველოში აკაკი მგელაძის ცეკას მდივნობის დროს, რაც ასე კარგად და მხატვრულად არის აღწერილი შესანიშნავ ქართულ მხატვრულ ფილმში – „ჩრდილი გზაზე!"**



# 1953 წლის 15 აპრილს

საქართველოს დედაქალაქ თბილისში შეიკრიბა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია. სესიამ მიიღო ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდებიან სესიის ამ გადაწყვეტილებებს, გააძლიერებენ მუშაობას ახალი წარმატებების მოპოვებისათვის.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 90 (9558) | ხუთშაბათი, 16 აპრილი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.


## ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ც ნ ო ბ ა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 15 აპრილის სხდომის შესახებ

15 აპრილს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს სსრ მთავრობის სახლში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომების დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. დ. ჯავახიშვილმა.

დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის წინადადებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ ფეხზე ადგომით პატივი სცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხსოვნას.

თავმჯდომარე დეპუტატი გ. დ. ჯავახიშვილი აცხადებს, რომ სესიის განსახილველად შემოტანილია შემდეგი სა-

...ნეობისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროდ.

უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. მ. ბაქრაძის მიერ შეტანილ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემდეგ შემადგენლობას:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — ივლიანე სამსონის-ძე ზოდელავა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი — ვლადიმერ გიორგის-ძე დეკანოზოვი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადე-

## საინფორმაციო ცნობიდან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 15 აპრილის სხდომის შესახებ

15 აპრილს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს სსრ მთავრობის სახლში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომების დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა გ.დ. ჯავახიშვილმა.

დეპუტატ გ.დ. ჯავახიშვილის წინადადებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ ფეხზე ადგომით პატივი სცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ხსოვნას.

თავმჯდომარე დეპუტატი გ.დ. ჯავახიშვილი აცხადებს, რომ სესიის განსახილველად შემოტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის არჩევა.
2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნა.
3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა და საქართველოს სსრ სამინისტროების გარდაქმნა.
4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის არჩევა.
5. ცვლილებების და დამატებების შეტანა საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე, 55-ე და 56-ე მუხლებში.

სესიას ერთხმად შეაქვს ეს საკითხები თავისი მუშაობის დღის წესრიგში.

## საინფორმაციო ცნობიდან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 15 აპრილის სხდომის შესახებ

სესია ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას: გაუქმდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1952 წლის 6 აპრილის დადგენილება **ამხ. მ.ი. ბარამიას გარიცხვის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობიდან** და ჩაითვალოს, რომ ამხ. **მ.ი. ბარამია** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობიდან განთავისუფლებულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრის თანამდებობაზე მისი დანიშვნის გამო.

## კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს სსრ სამინისტროების გარდაქმნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. გაერთიანდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთ სამინისტროდ — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროდ.

2. გაერთიანდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ ტექნიკურ კულტურათა სამინისტრო, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროდ.

3. გაერთიანდეს საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი ერთ სამინისტროდ — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროდ.

4. გაერთიანდეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო და საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროდ.

5. გაერთიანდეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს სსრ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი. 1953 წ. 15 აპრილი.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მთავრობა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ბაქრაძე ვალერიან მინას-ძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — ჯავახიშვილი გივი დიმიტრის-ძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — ზოდელავა ივლიანე სამსონის-ძე.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი — დეკანოზოვი ვლადიმერ გიორგის-ძე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრი — ბარამია მიხეილ ივანეს-ძე.

საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის მინისტრი — კეცხოველი ზაქარია ნიკოლოზის-ძე.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი — ჰიაურელი ვლადიმერ ივანეს-ძე.

საქართველოს სსრ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მინისტრი — ჩხუბიანიშვილი ზაქარია ნიკოლოზის-ძე.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი — მინდიაშვილი შოთა სპირიდონის-ძე.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი — კოჭლამაზაშვილი იოსებ დიმიტრის-ძე.

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი — ციმაკურიძე კონდრატი სოკრატის-ძე.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — ხელიძე ალექსანდრე თადეოზის-ძე.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი — გოჩაშვილი გიორგი ალექსანდრეს-ძე.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის მინისტრი — ჯაბუა გიორგი ანდრიას-ძე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი — წულუკიძე როსტომ კონსტანტინეს-ძე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრი — რაფავა ავქსენტი ნარიკის-ძე.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი — მამალაძე ვასილ ქიშვარდის-ძე.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი — მელაძე ალექსანდრე ერასტის-ძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე — ხოშტარია სიმონ გიორგის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი. 1953 წ. 15 აპრილი.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, დეპუტატ ვ.მ. ბაქრაძეს** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად შეაქვს წინადადებანი საქართველოს სსრ სამინისტროების გარდაქმნისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ერთსულოვნად ამტკიცებს **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ.მ. ბაქრაძის** მიერ შეტანილ შემდეგ წინადადებებს საქართველოს სსრ სამინისტროების გარდაქმნის შესახებ.

### ამხ. ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი. 1953 წ. 15 აპრილი.

### ამხ. ვ. გ. ცხოვრებაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. არჩეულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ამხ. ვლადიმერ გედევანის-ძე ცხოვრებაშვილი.

2. განთავისუფლდეს ამხ. ვლადიმერ გედევანის-ძე ცხოვრებაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე დ. დავითაძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი. 1953 წ. 15 აპრილი.

### ამხ. ზ. ნ. კეცხოველის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე კეცხოველი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი. 1953 წ. 15 აპრილი.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. ვ. მ. ბაქრაძის დანიშვნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დაინიშნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. ვალერიან მინას-ძე ბაქრაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი. 1953 წ. 15 აპრილი.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ამხანაგ ვ.მ. ბაქრაძის სიტყვიდან:

ორიოდე სიტყვით მინდა განმარტება მოგცეთ ჩემ მიერ აქ წარმოდგენილ საქართველოს მთავრობის წევრობის კანდიდატების ამხანაგების **ბარამიას, ზოდელავას** და **რაფავას** შესახებ.

როგორც ახლა სავსებით გამორკვეული და დადასტურებულია სათანადო ორგანოების მიერ, ამხანაგების ბარამიას, ზოდელავას, რაფავას და პარტიისა და საბჭოთა ხალხისთვის თავდადებული ზოგიერთი სხვა მუშაკის წინააღმდეგ, **ხალხისა და პარტიის მტრის — საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის რუხაძის** მიერ შეთითხნილ იქნა თავიდან ბოლომდე ფალსიფიცირებული პროვოკაციული „საქმე" არარსებული ნაციონალიზმის შესახებ, რომლის მსხვერპლი გახდა საქართველოს ზოგიერთი გამოჩენილი მუშაკი.

**ავანტიურისტი რუხაძე და მისი დამქაშები,** გამომდინარეობდნენ რა მტრული კარიერისტული ინტერესებიდან, **განზრახ იგონებდნენ და თხზავდნენ საზიზღარ „მასალებს" საქართველოს კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების აქტიურ მუშაკთა წინააღმდეგ,** რათა ისინი გამოეყვანათ მწყობრიდან და ამ გზით ზიანი მიეყენებინათ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისთვის. საბჭოთა სოციალისტური კანონებით უხეშად დარღვევით, საბჭოთა მოქალაქის უფლებათა შებღალვით და სხვა ხრიკებით **რუხაძე და მისი დამქაშები** ცდილობდნენ, უკმაყოფილება გამოეწვიათ საბჭოთა ხალხში, ცდილობდნენ, გაეღვივებინათ ეროვნული მტრობის გრძნობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა მდივნებმა **ჩარკვიანმა** და **მგელაძემ** არა თუ არ გამოიჩინეს ელემენტარული კრიტიკული შემოწმების უნარი **რუხაძის მიერ შეთითხნილი პროვოკაციული მასალების მიმართ,** არამედ პირიქით, ხელს უწყობდნენ **რუხაძის** საზიზღარ მოქმედებას. კიდევ მეტი, მგელაძე თვითონ აქტიურ მონაწილეობას იღებდა სრულიად უდანაშაულო მუშაკთა დაპატიმრებაში.

**ავანტიურისტი რუხაძე და მისი დამქაშები** დაპატიმრებული არიან და სასტიკ პასუხს აგებენ, ხოლო მათ მიერ ჩადენილი შავბნელი საქმეები სავსებით გამომჟღავნებულია და ახლა ხორციელდება ღონისძიებანი ამ მტრული მოქმედების შედეგების ლიკვიდაციისათვის. სათანადო საკავშირო სადირექტივო ორგანოების მიერ ყველა ისინი, რომელნიც პატიმრობაში იყვნენ **ხალხის მტრის რუხაძის მიერ გამოგონილი და შეთითხნილი „მასალების" საფუძველზე,** განთავისუფლებული არიან, მთლიანად რეაბილიტირებული და აღდგენილი არიან თავიანთ უფლებებში. დამტკიცებულია, რომ ამხანაგები **ბარამია, ზოდელავა** და **რაფავა** ყოველთვის თავდადებულნი იყვნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების საქმისათვის.

# „თუ ქართულად ვერ ლაპარაკობ, მაშინ ჩამოეთრიე ტრიბუნიდან! – მიმართა ბერიამ ორატორს“

*დასაწყისი მე-2 გვერდზე*

**რა და ბელორუსიის გარდა ყველგან თავისი კადრები დანიშნა.** არ არსებობს არავითარი დოკუმენტური მასალა არც იმის შესახებ, რომ 1953 წლის მაისში **ბერია** სიტუაციის დასაწყნარებლად გერმანიაში ჩავიდა, მაგრამ ამ დროს ყველამ იცის, რომ **ბერია** გერმანიაში ნამდვილად იყო! ის ფაქტი, რომ 1953 წლის გაზაფხულზე ბერიას გერმანიაში ყოფნის შესახებ დოკუმენტური მტკიცებულებები ბუნებაში არ არსებობს, თანამედროვე რუს ისტორიკოსებს — **მუხინსა და სპიცინს** აიძულებს, იმსჯელონ იმის თაობაზე, იყო თუ არა **ბერია** ნამდვილად ჩასული გერმანიაში? ერთსაც დავამატებ — თბილისში გამართულ იმ პლენუმზე ლავრენტი ბერია ე.წ. „რამკიანი ქურდივით“ იჯდა. ზუსტად ტრიბუნის გვერდით, განცალკევებით და საგანგებოდ ერთი სავარძელი იდგა, რომელშიც ბერია იყო მოკალათებული და ყველაფერს აკონტროლებდა. როგორც პაპაჩემმა მითხრა, პლენუმს **მიხაკო ორაგველიძე** და **არსენა კობაიძეც** ესწრებოდნენ...

დიდ ფეხბურთელს — **გრიგოლ გაგუას** პირადად აქვს ჩემთვის ნათქვამი — 4:1 ვაგებდით მოსკოვის „ცდკ“-სთან, როცა პირველი ტაიმის შემდეგ გასახდელში შემოვიდა **ლავრენტი ბერია** და ერთი გამომწვევად იკითხა — **„ეჰ, ბიჭებო, როგორც ჩანს, არ გინდათ თქვენ სახლში დაბრუნება ხომ?!“** მეორე ტაიმი რომ დაიწყო, მგლებივით გავედით სტადიონზე და თამაში 5:4 მოვიგეთო! მოგეხსენებათ, 1953 წელს, ლავრენტი ბერიას დახვრეტის შემდეგ, ხრუშჩოვმა და მალენკოვმა „დინამო თბილისს“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა წაართვეს და ნაქეიფარ ქართველებს თამაში გადაათამაშებინეს. მაშინ **ბორის პაიჭაძის** თაობა „დინამოდან“ უკვე წასული იყო, მაგრამ გუნდი ბრწყინავდა... მაგალითად, ფეხბურთის ისეთი უდიდესი სპეციალისტი, როგორიც იყო **ვალერი ლობანოვსკი,** მიიჩნევდა, ომს რომ ხელი არ შეეშალა და საქართველოს ნაკრებს ცალკე მიეღო მონაწილეობა მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატში 1940-1950 წლებში, ბორის პაიჭაძე ორჯერ მაინც გახდებოდა მსოფლიო ჩემპიონი. ლობანოვსკი პაიჭაძეს პელეზე ნაკლებ ფეხბურთელად არ მიიჩნევდა. ქართული ფეხბურთის ასეთი ტრიუმფი და წარმატება დიდწილად სწორედ ბერიას დამსახურება იყო.



## ისტორიკოსის თვალით

საერთოდ, ლავრენტი ბერია ქართველების ნაციონალური სულისკვეთების ამაღლებას ხელს უწყობდა.

**ფაქტია, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან ბერიას მკვლელობამდე საქართველოში პატრიოტული სულისკვეთება საოცრად ამაღლდა!**

მეტსაც გეტყვით — **სოლჟენიცინი** რომ ბოდავს — სტალინი მოკვდა და ვიღაცამ ამოისუნთქაო! — ტყუილია! არავის არ ამოუსუნთქავს...

**სტალინის სიკვდილი იმდენად დიდი შოკი იყო მთელი საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოსთვის, რომ ბელადს დახვრეტილი ხალხის ჭირისუფალიც კი დასტიროდა.**

აი, მაგალითად, ჩემი დიდი ბებია, რომელსაც ქმარი ჰყავდა რეპრესირებული, სტალინს დასტიროდა... რომ ჰკითხეს — ქალო, ვის დასტირი, ქმარი დაგიხვრიტაო?! — მაინც დიდი კაცი იყოო! — უპასუხა ბებიაჩემმა.

*ესაუბრა* ***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## კანონები და დადგენილებანი, მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1953 წლის 15 აპრილს

### ამხ. ვ. ი. ეგნატაშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ვასილ იაკობის-ძე ეგნატაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი. 1953 წ. 15 აპრილი.

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად ამხ. ნ. ა. ჯავახიშვილის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად ამხ. ნინო ალექსანდრეს ასული ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი. 1953 წ. 15 აპრილი.

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობიდან მ. ი. ბარამიას გარიცხვის თაობაზე მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილების გაუქმების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. გაუქმდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1952 წლის 6 აპრილის დადგენილება „მ. ი. ბარამიას გარიცხვის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობიდან“.

2. განთავისუფლდეს ამხ. მიხეილ ივანეს-ძე ბარამია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან მისი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრად დანიშვნის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი. 1953 წ. 15 აპრილი.

### ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი. 1953 წ. 15 აპრილი.

### ამხ. ა. დ. გიორგაძის არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნას ამხ. არჩილ დიმიტრის-ძე გიორგაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი. 1953 წ. 15 აპრილი.






## „ზუსტად ტრიბუნის გვერდით, განცალკევებით და საგანგებოდ ერთი სავარძელი იდგა, რომელშიც ბერია იყო მოკალათებული და ყველაფერს აკონტროლებდა!“

# სი ძინპინმა მოსკოვიდან იმაზე ბევრად მეტი წამოიღო, ვიდრე რუსეთის იმპერატორებმა ჩინეთიდან გამოზიდეს!

*დასაწყისი პირველ გვერდზე*

დენი ეკურკურეს და იმდენჯერ „უჯიკეს", რომ 1979 წელს ჩინეთმა 1950 წლის 14 თებერვალს სტალინთან გაფორმებული **ხელშეკრულება მეგობრობის, დახმარებისა და კავშირის შესახებ** გააუქმა და ამერიკას გაურიგდა. ეს შეერთებული შტატების დიპლომატიის ტრიუმფი და კრემლის პოლიტიკის კრახი იყო.

ახლა, როცა შეერთებული შტატები ცდილობს, მთელ მსოფლიოს თავისი დიქტატი მოახვიოს და ჩინეთის ეკონომიკურ აღმაფრენას ფრთები შეაჭრას, პეკინი ხათაბალაში გახვეული კრემლის ბუნებრივ მოკავშირედ იქცა. **იმპერიის მუდმივობის სტრატეგია ჩინეთსა და რუსეთს აიძულებს, საფრთხის შემთხვევაში ერთმანეთს მხარი დაუჭირონ და ერთმანეთის ინტერესები დაიცვან.** არადა, ისინი ერთმანეთის ბუნებრივი კონკურენტები არიან და მსოფლიომ იცის, რომ, მაგალითად, მთელი ხაბაროვსკის მხარე, ფაქტობრივად, ჩინეთის მიერ არის ოკუპირებული. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ, სხვადასხვა მონაცემებით, **რუსეთის ტერიტორიაზე 40-დან 70 მილიონამდე ჩინელი მაინც ცხოვრობს.** ცხადია, როცა მილიარდნახევრიანი და მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკის პატრონი ჩინეთი შენი პარტნიორია, უკვე იზოლირებული ვერ იქნები, მაგრამ **რა დაუჯდება რუსეთს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩინური იუანების მხარდაჭერა, რის შესახებაც პუტინმა კრემლში გამართულ შეხვედრაზე უკვე ხმამაღლა ისაუბრა, ძნელი სათქმელია!**

**შევარდნაძემ** საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს **დენ სიაოპინთან** გამართული შეხვედრა რომ გაიხსენა, თქვა — მაშინ კუნძულ დამანსკის გამო ჩვენ შორის დიდი უთანხმოება იყო და იმ ბრძენ მოხუცს, **დენ სიაოპინს** რომ შევხვდი, მითხრა — **ერთი პატარა კუნძული რა არის, ჩინეთს ნორმალური განვითარებისათვის რაც აქვს, ერთი იმდენი ტერიტორია კიდევ ესაჭიროებაო!**

ტერიტორია და წიაღისეული რუსეთზე მეტი მზისქვეშეთში არავის აქვს, ხოლო ჩინური ეკონომიკა, ტექნოლოგიები და შრომისმოყვარეობა მსოფლიოში საარაკოა. ბუნებრივია, ასეთ კავშირში იხეირებს ის, რომელი იმპერიის ეკონომიკაც უფრო განვითარებული და მობილურია. ცხადია, ასეთი ეკონომიკა აქვს ჩინეთს და არა — რუსეთს. უკრაინის ომის ფონზე კრემლის ჩინეთთან კავშირი მომგებიანი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ჩინეთისგან შეიარაღების მოწოდების პირობას მიიღებდა, თუმცა, პუტინი, რომელსაც ახლა რუსეთის ეკონომიკა აქვს გადასარჩენი, ყველაფერზე თანახმაა... თავის მხრივ, **სი ძინპინიც** ფრთხილობს, დასავლეთთან მისასვლელ გზებს არ კეტავს და როგორც ევროპელი ბორელები ამბობენ, „წითელ ხაზებს" არ კვეთს! რაც შეეხებათ ევროპელებს, ისინი უკვე ცდილობენ, ჩინეთს მხარი მოუქციონ ზუსტად ისე, როგორც ეს 1979 წელს მოახერხეს და რუსეთ-ჩინეთის ერთობას წყალი შეუყენონ. **უკვე გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ სულ მალე პეკინს საფრანგეთის პრეზიდენტი და ურსულა ფონ დერ ლაიენი ესტუმრებიან...** პარალელურად, სი ძინპინთან ესპანეთის პრემიერ-მინისტრის **პედრო სანჩესის** სტუმრობაც იგეგმება...

მოკლედ, უკრაინაში მეომარმა პუტინმა **სი ძინპინისგან** იარაღის მიწოდების პირობა ვერ მიიღო, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩინეთმა კრემლიდან წამოიღო რუსეთის მძიმე, იძულებითი და ფაქტობრივი აღიარება იმის შესახებ, რომ მოსკოვისა და ვაშინგტონის გვერდით **პეკინი მესამე უდიდესი იმპერიის დედაქალაქია.** უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთს ამის აღიარება დღემდე ძალიან უჭირდა.

მეორე და ყველაზე მთავარი — **მსოფლიოს ისტორიაში დაფიქსირდა დღემდე უჩვეულო და უპრეცედენტო მოვლენა — რუსეთმა, ფაქტობრივად, აღიარა ჩინური ეკონომიკის პირველობა და დაადასტურა, რომ საერთაშორისო არენაზე ჩინეთი კი არ ივაჭრებს რუბლით, არამედ რუსეთი ივაჭრებს იუანით!** ეს რუსეთისთვის დამამცირებელი პირობაა, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ კრემლს უჭირს!

თუმცა, როგორც რუსეთს, ისე ჩინეთს აერთიანებთ ნიშანთვისებათა სპეციფიკური სისტემა, რომელიც არცერთი სხვა იმპერიისთვის დამახასიათებელი არ არის! მაგალითად, **ჩინური კულტურა იმდენად ღრმა, თავისთავადი და ყოვლისმომცველია, ყველა დამპყრობელი, რომელმაც ჩინეთი დაიმონა, საბოლოო ჯამში, თავადაც გაჩინელდა და ჩინელების მიერ იქნა დაპყრობილი.** მაგალითად, ასე დაემართათ **მონღოლებსაც** და **მანჯურიელებსაც.** რაც შეეხება რუსეთს, იგი, როგორც წესი, ომში ძლიერდება... **მსოფლიო თანხმდება იმაში, რომ რუსები ომს ყოველთვის ცუდად იწყებენ და ბრწყინვალედ ამთავრებენ!** გარდა ამისა, მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ ისიც დაამტკიცა, რომ **რუსეთმა ყველა ძლიერი დამპყრობლისა თუ მოწინააღმდეგის გავლენა, საბოლოო ჯამში, მაინც თავის სასარგებლოდ გამოიყენა და ისტორიული მტრებიც კი თავის სამსახურში ჩააბა!** ამის უტყუარი მტკიცებულებაა მეორე მსოფლიო ომის დროს **მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის** მიერ საბჭოთა კავშირისთვის გაწეული დახმარება. კერძოდ, მონღოლებმა „წითელ არმიას" ნახევარი მილიონი ცხენი, აურაცხელი მატყლი და საკვები პროდუქტები გამოუგზავნეს, ხოლო მანჯურიის ოპერაციაში მონღოლი მეომრები უშუალოდ მონაწილეობდნენ, ანუ **მონღოლები, რომლებმაც მიწასთან გაასწორეს და მთელი 250 წლის განმავლობაში ტანჯეს რუსეთი, ისტორიის კონკრეტულ ეტაპზე, სტალინის ბრძნული პოლიტიკის წყალობით, დადგნენ რუსეთის მხარეს და ფაშისტების განდევნაში სერიოზული მონაწილეობა მიიღეს!**

სამაგიეროდ,

**სტალინის იდეური მტრების, მკვლელებისა და უტვინო მემკვიდრეების უნიჭო და გაუაზრებელმა პოლიტიკამ ის შედეგი გამოიღო, რომ ნიკარაგუას, ნაურუს, სირიისა და ერთი-ორი წყალწაღებული ქვეყნის გარდა რუსეთს ერთგული მეგობარი, ფაქტობრივად, აღარ შემორჩა!**

ამ ფონზე **სი ძინპინის** მოსკოვში ჩასვლა და რუსულ-ჩინური სიყვარულის ისტორია მართლაც ყურადსაღებია... ყველაზე უფრო საყურადღებო და მრავლისმთქმელი კი მაინც ის არის, რაც **სი ძინპინმა** გამომშვიდობებისას პუტინს უთხრა — **ჯანმრთელობას გაუფრთხილდიო!**

*დიტო ჩუბინიძე*




სი ძინპინი და ვლადიმერ პუტინი

## სახიფათო პარალელები ★




ნიკიტა ხრუშჩოვი და მაო ძედუნი

# ყველა დამპყრობელი, რომელმაც ჩინეთი დაიმონა, საბოლოო ჯამში, თავადაც გაჩინელდა და ჩინელების მიერ იქნა დაპყრობილი!

## უფლებადამცველის თვალსაზრისით

# ფიქრები რუსეთ-ჩინეთის ლიდერთა პოლიტიკური ჩახუტების ფონზე

# ვერ გამორიცხავ, რომ თავად ევროპა მოექცეს რუსეთის გავლენის ქვეშ,

# ხოლო „შინ — ევროპაში“ მიმავალი ქართველები შინ — რუსეთში აღმოვჩნდეთ!

ნანა კაკაბაძე



***მსოფლიოს ცენტრალურ მოვლენად კვლავინდებურად რჩება რუსეთ-უკრაინის ომი, რომლის შესახებაც ყოველდღიურად გვესმის ზელენსკის ბაქიბუქი და მსოფლიო ლიდერთა ერთფეროვანი რიტორიკა: „რუსეთი მარცხდება!“ „რუსეთი უნდა დამარცხდეს!“ „პუტინი — საბრალდებო სკამზე!“ და ა.შ.***

სურვილები და პროგნოზები გასაგებია, მაგრამ რეალობა დამშვიდებისა და ოცნებათა ახდენის სულ უფრო და უფრო ნაკლებ შანსებს ტოვებს. ფაქტია: რუსეთი უკრაინაში დღეს იმაზე 4-ჯერ მეტ ტერიტორიას ფლობს, ვიდრე ომის დაწყებამდე, თან შეტევასაც აგრძელებს და ახალ რეგიონებსაც იპყრობს.

მართალია, უკრაინისა და მსოფლიოს ლიდერები ირწმუნებიან, რომ უკრაინამ საგაზაფხულო შეტევა უნდა წამოიწყოს, მაგრამ მარტიც იწურება და რევანშის ნიშნები არ ჩანს.

**ამასობაში ჰააგის სასამართლოს მიერ სანქციადადებული პუტინი ხვდება ჩინეთის ლიდერს სი ძინპინს,** ხოლო ამერიკაში კოტრდება სამი უმსხვილესი ბანკი!

ერთი მხრივ, კოვიდპანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთის საწინააღმდეგოდ ამოქმედებულმა ამერიკულ-ევროპულმა სანქციებმა **სერიოზული ზიანი სწორედ მათ ავტორებს მიაყენა,** განსაკუთრებით — ევროპას, როგორც სავალუტო დევალვაციით, ისე ფასების აწევითა და ეკონომიკური ნიშნულის ვარდნით.

რით დასრულდება მიმდინარე წელი და რას გვიქადის 2024, როდესაც საქართველოსათვის სამი უაღრესად მნიშვნელოვანი არჩევნები ჩატარდება — საქართველოს პარლამენტის, ევროპარლამენტისა და აშშ-ის პრეზიდენტის?!

ამთავითვე ცხადია: ნეოლიბერალური ძალების დისკრედიტაციისა და კონსერვატორთა გაძლიერების ფონზე მოსალოდნელია ევროპარლამენტში ნაცების მთავარი მოკავშირის — **ევროპის სახალხო პარტიის** მარცხი, რის შედეგადაც ნაციონალებსა და ნეოლიბერალებს მნიშვნელოვნად შეერყევათ პოზიციები საქართველოში.

ძნელია, დაიჯერო, თითქოს მოსალოდნელ ცვლილებებს ვერ ხედავს ევროპარლამენტის დღევანდელი შემადგენლობა, რომლის უმრავლესობასაც სწორედ ლიბერალური ფრთა წარმოადგენს. **12 რეკომენდაციის შესრულების ვადის გადაწევაც სწორედ ამ შეგრძნებითაა ნაკარნახევი. წლის ბოლომდე მათ ნაციონალებსა და ქართველ ნეოლიბერალებს მისცეს ვადა ქვეყნის შიგნით სიტუაციის ასარევად და, რაც მთავარია, საქართველოს ხელისუფლების დასამხობად.**

ამავე ჭრილში უნდა შევხედოთ 8-9 მარტს პარლამენტის წინ განვითარებულ მოვლენებს, რასაც ოპოზიციამ საზღვარგარეთის აგენტების გამოსავლენად შემოტანილი კანონპროექტის წინააღმდეგ ჩატარებული მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარქვა. **ქართველი ხალხი ტელევიზიების საშუალებით ხედავდა „მშვიდობიან“ აქციაზე „მოლოტოვის კოქტეილების“ გამოყენებით ცეცხლში გახვეულ პარლამენტს, მის დასაცავად მდგარ ალმოდებულ პოლიციელებს, რკინის კონსტრუქციების უთავბოლო თრევას, ქვებით ჩამსხვრეულ მინებს, ქაშუეთის ტაძრის შებღალვას თუ დამწვარ მანქანებს.**

**არ არის გამორიცხული, ოცნებიდან გადაბირებისა თუ გადაბარგების პროცესიც ამ პოლიტიკის ნაწილი იყოს. გარედან ხელოვნურად ინსპირირებულს ჰგავს მარგველაშვილ-ზურაბიშვილისა თუ კვირიკაშვილ-გახარიას დღევანდელი პოზიციებიც.**

ხომ წარმოგიდგენიათ — იმ ფონზე, როცა ევროპა და კანადა აინიცირებენ ე.წ. **ფარას კანონს,** საქართველოს ხელისუფლებას ეუბნებიან — თქვენ ეს არ უნდა გაბედოთო!

**თურმე ევროპაში, ამერიკაში, კანადასა თუ ისრაელში ხელისუფლებამ უნდა გამოააშკარაოს და საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ არიან უცხოური გავლენის აგენტები, ხოლო საქართველოს ამის უფლება არა აქვს!!!**

ისინი გვეუბნებიან — ეს არის ჩვენი აგენტურა და თუკი ევროპასთან ინტეგრირება გსურთ, ჩვენი აგენტურა თქვენთვის სასურველი და მისაღები უნდა იყოსო! მოკლედ, ასეთია ჩვენი პირობები — თუ გაწყობთ, შემოდით, თუ არადა, იდექით ღია კარშიო.

ამ საყოველთაო აბსურდის პარალელურად მიდის მსოფლიოს გადანაწილებისა და ძალთა გადაადგილების პროცესი. სანამ ჩვენ „ჯო-ჯო“-ს გავიძახით, ჩინეთი და რუსეთი ახალ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცენტრს ქმნიან, რის შედეგადაც თვითამერიკანიზებული ევროპაც კი ხვალ რუსეთ-ჩინეთის გავლენის ქვეშ შეიძლება აღმოჩნდეს.

მართალია, უკრაინისა და მსოფლიოს ლიდერები გამორიცხავენ უკრაინის დამარცხებას ამ ომში, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობა ყველა პასუხისმგებლიან ხელისუფლებას აიძულებს, გაჭვრიტოს მოვლენების განვითარების ეს ვარიანტიც. **თუ რუსეთმა შეინარჩუნა დღემდე დაპყრობილი უკრაინის ტერიტორიები, რომელიც 4-ჯერ აღემატება ომამდელს, ეს იქნება არამარტო უკრაინის, არამედ ამერიკა-ევროპისა და ნატოს მარცხიც.**

გულზე მჯიღისმცემელი „პატრიოტები“ აღშფოთდებიან — რას ლაპარაკობს ეს რუსეთუმე, როგორ ბედავს რუსეთის დამარცხებას და უკრაინის ძლევამოსილ გამარჯვებაში ეჭვის შეტანასო? აკი, ჰააგის საერთაშორისო სასამართლომ პუტინის დაპატიმრების სანქციაც კი გასცაო...

**ასეთები არ ან ვერ ფიქრობენ იმაზე, რომ ეს არის მკვდრადშობილი, წინასწარ განწირული და აღუსრულებელი გადაწყვეტილება, რომელიც უფრო მეტად აზიანებს ჰააგის სასამართლოს იმიჯს, ვიდრე პუტინისას!**

**თუ პუტინს ვერ დააკავებენ, ხოლო რუსეთის მიერ ჰააგის 3 მოსამართლისა და პროკურორის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში შესაძლებელი გახდება მათი გატაცება და რუსეთში გასამართლება, ეს საბოლოოდ გაანულებს ჰააგის სასამართლოს ავტორიტეტს!**

**შეიძლება ითქვას, რომ ამერიკა მოახლოებული არჩევნებისა და გაკოტრებული ბანკების ფონზე, არამცთუ ვეღარ გაზრდის უკრაინის დახმარების მასშტაბებს, არამედ ძნელად შეინარჩუნებს დღევანდელ მდგომარეობას.** რესურსების ამოწურვის გამო ევროპარლამენტსაც სერიოზულად გაუჭირდება რუსეთის შემდგომი დასანქცირება და ახალი ანტირუსული რეზოლუციების მიღება. ამას დავუმატოთ მთელ რიგ ქვეყნებში შექმნილი ფრიად უარყოფითი განწყობა უკრაინის დახმარების გამო, რამაც ევროპას სერიოზული ზიანი მიაყენა.

უთუოდ გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ რუსეთიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას. ეს, ერთი შეხედვით, რეალურს ხდის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღებას, თუმცა, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ **კანდიდატობიდან პოტენციურ წევრობამდე** შეიძლება ათწლეულებიც გავიდეს!

სამომავლო პერსპექტივაში ვერ გამორიცხავ, რომ თავად ევროპა მოექცეს რუსეთის გავლენის ქვეშ, ხოლო „შინ — ევროპაში“ მიმავალი ქართველები შინ — რუსეთში აღმოვჩნდეთ!

ეს ყველაფერი, ვარაუდებია, მაგრამ ყველა პასუხისმგებლიანი პოლიტიკოსი უნდა ითვალისწინებდეს, რომ მოვლენების განვითარება ხშირ შემთხვევაში დოგმებსა და კანონზომიერებებს არ ემორჩილება!



# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## მართალია, რომ მოკრივე ანდრო ნავასარდოვი ახალგაზრდობაში ბერიას პირადი მძღოლი იყო? გთხოვთ, დაწვრილებით გვიამბოთ ამ სპორტსმენის შესახებ.

არა, **ანდრო ნავასარდოვი** არასოდეს ყოფილა **ბერიას** პირადი მძღოლი, მაგრამ ომის წლებში ის მართლაც მუშაობდა საქართველოს შინსახკომის სპეცგარაჟში გამოძახებით მძღოლად. ერთი პერიოდი **ნავასარდოვი ბერიას დედაზე — მართა ივანეს ასულზე, დაზე — ანიკოზე და ცოლზე — ნინო თეიმურაზის ასულზე იყო „მიმაგრებული“.**

მძიმეწონიან **ანდრო ნავასარდოვს** თბილისში **„ავლაბრელ ჯო ლუისს“** ეძახდნენ. მართლაც, ეს ფრიად კოლორიტული ფიგურა ბევრ რამეში ჰგავდა შავკანიან მსოფლიო ჩემპიონს და თითქოს თავად ბუნებამ შექმნა კრივისათვის. თვითონ **ნავასარდოვი** ხშირად იმეორებდა, რომ სიამოვნებით შეხვდებოდა რინგზე **ჯო ლუისს,** თუნდაც გამარჯვების ყოველგვარი შანსის გარეშე: **„8 რაუნდს როგორმე გავუძლებდი.“ ლუისთან შეხვედრამ ანდროს არ მოუწია.** მისი მუდმივი მეტოქე ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი **ნიკოლაი კოროლიოვი** იყო, რომელსაც **ანდრო** მედგრად, მაგრამ წარუმატებლად ებრძოდა — 10 შეხვედრიდან 7-ში დამარცხდა და მხოლოდ 3 მოიგო. სხვათაშორის, უნდა აღინიშნოს, რომ **კოროლიოვის** ზოგი გამარჯვება ფრიად საეჭვო იყო და ისინი გააპროტესტეს. მაგალითად, მათი პირველი შეხვედრა **1937 წლის მარტში** ალკკ ცკ-მ გააპროტესტა და გამარჯვება **ნავასარდოვს** მიაკუთვნეს. თავად **ანდრომ** ამის შესახებ მოსკოვი-თბილისის მატარებელში შეიტყო, როცა დამარცხებული ბრუნდებოდა სამშობლოში.

**1946 წელს,** სსრკ-ის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე **ნავასარდოვმა ი. ბ. სტალინის** ყურადღება მიიპყრო. რინგზე მისი მორიგი ბრძოლა მიმდინარეობდა **კოროლიოვთან.** სამთავრობო ლოჟაში მყოფმა **სტალინმა ბერიას** ჰკითხა: **„ვინ არის ეს ნავასარდოვი და სადაურია?“ „ავლაბრელი სომეხია, ამხანაგო სტალინ,“** — უპასუხა **ბერიამ.** ეს საკმარისი გახდა, რომ ლამის მეორე დღესვე **ნავასარდოვი** ლუბიანკაზე მდებარე **„დიდ სახლში“** გამოეძახათ. **ბერიას** ერთ-ერთმა უახლოესმა თანამშრომელმა **სოლომონ მილშტეინმა,** რომელიც **„დინამოს“** საზოგადოებას კურატორობდა, მოკრივეს მოსკოვში გადასვლა შესთავაზა: **„ბინას მოგცემთ, აბსოლუტურ ჩემპიონად გაქცევთ, — უთხრა მილშტეინმა, — ლავრენტი პავლეს ძე შენზე დიდ იმედებს ამყარებს.“ ნავასარდოვმა** უპასუხა, რომ მოიფიქრებს, მადლობა გადაუხადა და თბილისში დაბრუნდა. მალე ის მძიმედ დასნეულდა და მოსკოვში გადაყვანის საკითხი თავისთავად მოიხსნა. **ანდრო ნავასარდოვი** ორი წლის წინ გარდაიცვალა თბილისში.



ანდრო ნავასარდოვი

ვართანოვი, ბაღდასაროვი

## მართალია თუ არა, რომ ი. ბ. სტალინის 70 წლის იუბილეს დღეებში მისი თანამოსაგრეები მოსკოვისთვის ბელადის სახელის დარქმევის წინადადებით გამოვიდნენ? რა რეაქცია ჰქონდა ამაზე თავად სტალინს? საინტერესოა, რამდენ ქალაქს ერქვა სტალინის სახელი?

ასეთი წინადადება **1949 წლის დეკემბერში, სტალინის** იუბილეს დღეებში, პოლიტბიუროს წევრებმა მართლაც წამოაყენეს. იყო სხვა წინადადებებიც: **70 წლისთავთან დაკავშირებით ბელადისთვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭება (მეორედ!), სტალინის ორდენის დაარსება და სსრკ-ის დედაქალაქისთვის სტალინოდარის დარქმევა.** თანაც, აღსანიშნავია, რომ მოსკოვის ხელახლა მონათვლის ინიციატორად **ნ. ს. ხრუშჩოვი** გამოვიდა, რომელსაც იმ დროს პარტიის მოსკოვის ქალაქკომის პირველი მდივნის პოსტი ეკავა. ამ მიზნით მას უკვე მომზადებული ჰქონდა შესაბამისი პეტიციები დედაქალაქის საწარმოთა მუშების და მოსკოვის ინტელიგენციის წარმომადგენელთა ათიათასობით ხელმოწერით.



რაც შეეხება საბჭოთა კავშირის გმირის წოდებას, ცნობილია, რომ **1945 წელს** პოლიტბიუროს წევრებს ასეთი მცდელობა ერთხელ უკვე ჰქონდათ და (სტალინის უჩუმრად) უმაღლესი საბჭოს შესაბამისი ბრძანებულებაც გამოაქვეყნეს. მაშინ **ბელადმა** ეს ჯილდო არ მიიღო და განაცხადა, რომ **„ამ წოდების მინიჭებისთვის აუცილებელია პირადი გმირობა, რომელიც მე არ ჩამიდენია“.** და საერთოდ, თავისი ისედაც მცირერიცხოვანი ჯილდოებიდან (სულ 9 ორდენი და 5 მედალი) სტალინი მხოლოდ სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავს ატარებდა, რომელიც **1939 წლის დეკემბერში** მიანიჭეს. **სტალინის ორდენის** დასაარსებლადაც ყველაფერი გამზადებული იყო — დოკუმენტაცია, დამუშავებული ესკიზები, ოქროსა და პლატინაში შესრულებული ნიმუშები, ორდენის სტატუსი და ბრძანებულების პროექტიც კი, რომელსაც მხოლოდ ხელის მოწერა სჭირდებოდა.

რით უპასუხა **სტალინმა** ამ წინადადებებს? მან ისინი ერთმანეთის მიყოლებით კატეგორიულად უარყო: მეორედ თქვა მტკიცე უარი საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე. მისი სახელობის ორდენთან დაკავშირებით განაცხადა, რომ **„სიცოცხლეში ასეთ ორდენებს არ აარსებენ“.** მოსკოვისთვის ახალი სახელის დარქმევამ კი მისი განრისხება გამოიწვია. **„როგორ მოგივიდათ თავში ასეთი სისულელე?** — თქვა მან (მოლოტოვის მოწმობით), **— მოსკოვისთვის სახელის გადარქმევა... მოფიქრება არ უნდოდა? 800 წელია, მოსკოვი არსებობს და უცებ ინებეთ, ქალაქი სტალინოდარი გაჩნდება!“** მოლოტოვი იხსენებდა, რომ **სტალინი** საერთოდ უკმაყოფილო იყო სსრკ-ში გამართული **„გადარქმევის ბაქანალიით“** და ამბობდა, რომ **„ამ საქმეში აშკარად ზედმეტი მოუვიდათ.“** იმ დროს **სტალინის** სახელი 6 ქალაქს ერქვა. დაგისახელებთ ყველაზე დიდებს — **სტალინგრადი, სტალინაბადი, სტალინკენდი, სტალინო, სტალინირი.** შემდგომში, **ხრუშჩოვისეული „გადარქმევის ბაქანალიის“** დროს, ამ ქალაქებმა ძველი სახელები დაიბრუნეს, **სტალინგრადი კი, ნიკიტას ნებით, ვოლგოგრადად გადაიქცა.**

## დღეს თითქმის შეუძლებელია ფრანგი მწერლის ბარბიუსის სტალინზე დაწერილი წიგნის შოვნა. იქნებ გვიამბოთ, რას წარმოადგენდა ეს წიგნი? ამასთან, გვსურს, უფრო მეტი ვიცოდეთ ავტორის შესახებ.



ანრი ბარბიუსი (1873-1935) **ცნობილი ფრანგი მწერალია.** იგი ავტორია წიგნებისა **„ჯოჯოხეთი“** (1908 წ.), **„ცეცხლი“** (1916), **„სინათლე“** (1919), **„იესო“** (1925). სხვათაშორის, ამ წიგნში ქრისტე რევოლუციონერად არის დახატული, რომლის სახე ოფიციალურმა ეკლესიამ დაამახინჯა. 30-იანი წლების დასაწყისიდან **ბარბიუსი** არაერთხელ ჩამოსულა სსრკ-ში. იგი არქივებში მუშაობდა, სწავლობდა რევოლუციასა და სამოქალაქო ომთან დაკავშირებულ საბუთებს, ხვდებოდა ცნობილ ბოლშევიკებს და (რამდენჯერმე) პირადად **სტალინს.** ბელადის კრემლის ბინაში შემდგარი ერთ-ერთი შეხვედრა აღწერილია **ბარბიუსის** წიგნში **„სტალინი“: „პატარა წინკარი. თვალს ხვდება კედელზე ჩამოკიდებული ჯარისკაცის ფარაჯა და ქუდი. სამი ოთახი და სასადილო. ბინა მოკრძალებულად არის მოწყობილი, როგორც მეორეხარისხოვან ოტელში. სასადილო ოვალური ფორმისაა. სადილები რესტორნიდან მოაქვთ. კაპიტალისტურ ქვეყანაში საშუალო რანგის ჩინოვნიკი ასეთი ბინის დანახვაზე ცხვირს აიბზუებდა და არც ასეთი მენიუთი დაკმაყოფილდებოდა...“**

წიგნი 1935 წელს, ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა და, არსებითად, **სტალინის** პირველ მეტ-ნაკლებად სრულ ბიოგრაფიად მოგვევლინა. ამ მისიას **ბარბიუსის** წიგნის გამოსვლამდე **სტალინის** თანაშემწის ტოვსტუხას მიერ დაწერილი ბროშურა ასრულებდა. სსრკ-ში **„სტალინის“** რუსული თარგმანი იმავე წელს გამოიცა 300-ათასიანი ტირაჟით და სტალინის სიცოცხლეშივე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. გთავაზობთ წიგნის ზოგიერთი თავის სათაურს: **„გიგანტი“, „რკინის ხელი“, „დიადი ლოზუნგები“, „ადამიანი საჭესთან“, „ომი პარაზიტულ ოპოზიციასთან“.** მოვიტანთ ორ საგულისხმო ციტატასაც: **„იგი მთელი ტანით ზვიადად აღმართულა ევროპასა და აზიაზე, წარსულსა და მომავალზე. ის მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმული და, ამავე დროს, ყველაზე უცნობი ადამიანია.“ „...ეს რკინის კაცია. მისი გვარი მისივე სახეს გვიხატავს. სტალინი ფოლადია. იგი ფოლადივით უდრეკი და მოქნილია. მისი ძალა შეუდარებლად სალი აზროვნება, ცოდნის მასშტაბი, ყურადღების მოკრების საოცარი უნარი, სიცხადისკენ სწრაფვა, ულმობელი თანმიმდევრულობა, გადაწყვეტილებათა სისწრაფე, სიმტკიცე და ძლიერება გახლავთ... ადამიანი მეცნიერის თავით, მუშის ხელებით და უბრალო ჯარისკაცის ფარაჯით. ვინც უნდა იყოთ, თქვენი ბედის საუკეთესო ნაწილი ამ ადამიანის ხელთ იმყოფება.“**

## ამბობენ, რომ რეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა „ბერლინის დაცემის“ გადაღებისას ფილმში იაკობ ჯუღაშვილის დატყვევების და გერმანელებთან მისი გმირული საქციელის შესახებ ეპიზოდების ჩართვა განიზრახა, მაგრამ სტალინმა ეს შეიტყო და ყველანაირად აღუდგა წინ. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს?

კინოსურათი **„ბერლინის დაცემა“ ეკრანებზე 1950 წელს გამოვიდა.** სცენარი მწერალ **პ. პავლენკოს** თანაავტორობით **მ. ჭიაურელმა** დაწერა, დამდგმელი რეჟისორიც **ჭიაურელი** იყო. ავტორები მართლაც აპირებდნენ ფილმში **სტალინის უფროს ვაჟიშვილთან დაკავშირებული ეპიზოდების ჩართვას.** სცენარის საწყის ვარიანტში ეს ეპიზოდები არსებობდა. მიმდინარეობდა კინოსინჯები **იაკობის** როლზე მსახიობის შესარჩევად. მაგრამ ფილმის შემქმნელთა გეგმები **სტალინმა** დაარღვია. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით **სვეტლანა ალილუევა** მოგონებათა წიგნში **„ოცი წერილი მეგობარს“:**

**„მამამ თვითონ მიამბო, რომ მიხეილ ჭიაურელმა თავისი „ეპოპეის“ „ბერლინის დაცემის“ გადაღებამდე მას რჩევა ჰკითხა: ჩაფიქრებული ჰქონია, იაშა ომის გმირად ეჩვენებინა. ხელოვნების სპეკულანტმა ჭიაურელმა იცოდა, რა „სიუჟეტი“ გამოვიდოდა ამ ტრაგიკული ცხოვრებიდან. მაგრამ მამა არ დათანხმდა. ვფიქრობ, ის მართალი იყო. ჭიაურელი იაშასგან ისეთივე ყალბ თოჯინას გამოიყვანდა, როგორც დანარჩენებისაგან...“**

ვერ დავეთანხმებით **ს. ალილუევას** მტკიცებებს. **ჭიაურელი „ხელოვნების სპეკულანტი“** კი არა, იმ პერიოდის ერთ-ერთი საუკეთესო რეჟისორი იყო. მისი ნამუშევრები **„საბა“ (1929 წ.), „დიადი განთიადი“ (1938 წ.), „გიორგი სააკაძე“ (1943 წ.)** დიდი ხანია, კინოკლასიკად იქცა, ხოლო ეპოპეა (ბრჭყალების გარეშე) **„ბერლინის დაცემა“** დღესაც საინტერესო სანახავია. ვერ დავეთანხმებით **ალილუევას** იმაშიც, რომ **სტალინმა** რეჟისორს უარი იმის შიშით უთხრა, **ჭიაურელს იაკობისგან „ყალბი თოჯინა“** არ შეექმნა. არა, ბელადის უარი სხვა მიზეზებმა განაპირობა. აი, რას წერს ამის შესახებ **ლ. კაგანოვიჩი: „შეიტყო თუ არა, რომ ახალ ფილმში იაკობ ჯუღაშვილის ბედთან დაკავშირებული კადრები მზადდება, სტალინმა მათი დაუყოვნებლივ ამოჭრა ბრძანა და თქვა, რომ იაკობს არავითარი განსაკუთრებული გმირობა არ ჩაუდენია. ჩემს ნათქვამზე, რომ იაკობი ტყვეობაში მამაცურად იქცეოდა, სტალინი შემეკამათა, — ის ფაქტი, რომ გამცემი არ გახდა, გმირობას ჯერ არ ნიშნავსო. მაშინ საუბარში ჩარევა მოლოტოვმა სცადა: „შენი შვილია, კობა...“ მაგრამ სტალინმა შეაწყვეტინა: „ისინი ყველანი ჩემი შვილები არიან“.**





2023 წლის 27 მარტი, № 17-18 (185-186)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com
ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# ემილ კორძაია:

# თამარ კორძაიას გამო მთელ გვარს თავის მართლება გვიწევს!



*მას შემდეგ, რაც ნაცდეპუტატმა თამარ კორძაიამ 2023 წლის 2 მარტს საქვეყნოდ თავი მოიჭრა და გურამ გაბესკირიას დაბადების დღეს საქართველოს პარლამენტის ჟიული შარტავას სახელობის დარბაზი წივილ-კივილით აიკლო, ეჭვი აღარავის ეპარება, რომ ამერიკული ე.წ. „აგენტების კანონის“ ჩაგდების მიუხედავად, საქართველოში მოქმედი უცხო ქვეყნის აგენტურა, ფაქტობრივად, გაშიფრულია. სწორედ ამ საკითხებზე სასაუბროდ დაგვიკავშირდა გურჯაანის რაიონის სოფელ კალაურის მკვიდრი, კორძაიების გვარის უხუცესი და მახვში, ძველი სპორტსმენი, 80 წლის ემილ კორძაია, რომელიც თამარ კორძაიას საქციელის გამო საშინლად წუხს და მთელი საქართველოს წინაშე აცხადებს, რომ ეს სამარცხვინო ქალი კორძაია არ არის:*



**თამარ კორძაია**

— თუ რა გვარია სინამდვილეში **თამარ კორძაია,** რომელსაც მთელი საქართველო მკვდარსა და ცოცხალს აგინებს, ამის შესახებ მაგ უსინდისო ქალმა თავის პაპებს ჰკითხოს და ისინი ეტყვიან! მე ერთი რამ შემიძლია ვთქვა — დავიბადე და გავიზარდე მესტიის რაიონის სოფელ იფარში, ორმოცდაჩვიდმეტი წელიწადია, გურჯაანის რაიონის სოფელ კალაურში ვცხოვრობ,

**ვამაყობ ჩემი გვარით და გული მტკივა და საშინლად შეურაცხყოფილი ვარ, რომ ამ წყეული და ნამუსგარეცხილი ქალის გამო, რომელიც მართლაც აგენტია, ჩემს გვარს ჩირქი ეცხება!**

თამარ მეფის დროიდან მოყოლებული, ჩვენი გვარი სვანეთსა და დანარჩენ საქართველოში 220 წარჩინებულ გვარს შორის ერთ-ერთი გამორჩეულია... კორძაიები თავადაზნაურობის წარმომადგენლები ვართ, მაგრამ ამ ქალის გადამკიდე დამცირებულად ვგრძნობ თავს. სვანი კაცი ამდენი წელიწადია, კახეთში ვცხოვრობ და ერთ ადამიანს ვერ ნახავთ, ვინც ჩემზე აუგს იტყვის... კალაურში წმინდა გიორგის ეკლესია ჩემი აღდგენილია, ყოველთვის ვამაყობდი ჩემი გვარით, მაგრამ ახლა, ამ მართლაცდა აგენტი თამარ კორძაიას გამო, თავი გვაქვს მოჭრილი!

**— ბატონო ემილ, თუ კორძაია არ არის, მაშ, თამარ კორძაია რა გვარია?**

— მაგან თვითონაც არ იცის, რა გვარია! საქართველოში დაახლოებით 2400-ზე მეტი კორძაია ვართ, ჩემი თავკაცობით ორჯერ ჩატარდა ჩვენი გვარის ყრილობა... რამდენჯერ ვუთხარი მაგას, რომ ნორმალურად მოქცეულიყო და ჩვენი გვარისთვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა, მაგრამ არ იშლის. ოთხმოცი წლის კაცი ვარ, ვინმეს ჩემთვის გადაბრუნებული სიტყვა არ უკადრებია, მაგრამ უზნეო და შემარცხვენელი თამარ კორძაიას გამო მსაყვედურობენ!

**— პირადად იცნობთ თამარ კორძაიას?**

— სამებაში იყო ერთხელ მოსული და მითხრეს — ეგ არისო! ტელეფონით გავაფრთხილე — ხალხს ჩვენ გვარს ნუ აგინებინებ, წესიერად მოიქეციმეთქი! — მაგრამ არ გაჭრა გაფრთხილებამ. ახლა მაგ უსინდისოს კიდევ ერთხელ ვაფრთხილებ: **ქალო, ენა ჩაიგდე და წესიერად მოიქეცი, გვარს ნუ გვირცხვენ! შენ ხარ მოღალატე!** „ქართულმა ოცნებამ“ აგირჩია, ნაძალადევში დეპუტატად გაგათრია, მაგრამ **ხათუნა სამნიძესთან** და იმ მართლაცდა **„დირექტორის გოგოსთან“ — ანა ნაცვლიშვილთან** ერთად საქართველოს მტრებს შეეკარი! არაადამიან ბერძენიშვილებთან რომ ქალი დადგება, გულგასახეთქი არ არის? კიდევ ერთხელ ვაცხადებ: ეგ ქალი კორძაია არ არის და გაბედოს და თქვას, სინამდვილეში რა გვარია, მე ნუ მათქმევინებს!

**— ეს ინტერვიუ რომ გამოქვეყნდება და თქვენი გვარის წარმომადგენლები წაიკითხავენ, რას იტყვიან?**

— რა უნდა თქვან?! ყველა მადლობას მეტყვის, რადგან მაგ ქალმა ყველას თავი მოგვაძულა! **თამარ კორძაიას გამო მთელ გვარს თავის მართლება გვიწევს... არადა, როგორც გითხარით, მითვისებული აქვს ჩვენი გვარი!** ძველი ჩემპიონი ვარ, წარმატებული დირექტორი და მეურნეობის მმართველი ვიყავი და არ მინდა, მაგ გარეწარი ქალის გამო შერცხვენილი მოვკვდე! ნაღდი კორძაიების სისხლი მიჩქეფს...

**მაგ ქალს ბევრი რამე ეშლება ისევე, როგორც ჩემს კლასელს ავთო მარგიანს შეეშალა ცხონებულ ზვიად გამსახურდიასთან და დაღუპა საქართველო!**

პირისპირ რომ შევხვდებით, მოგიყვებით, მაგას რა აქვს გაკეთებული **ავთო იოსელიანთან** ერთად! არ ვმალავ, რომ მაგის არაკაცობაზე ბევრი რამ მსმენია...

**— თამარ კორძაიას მამას იცნობდით?**

— თამარ კორძაიას მამას **ჯემალი** ერქვა, მაგრამ **„სტალბერს“** ეძახდნენ! სტალბერი კარგი კაცი იყო, რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა. დანამდვილებით ვიცი, „სტალბეროვნა“ მამამისს ძალიან ანერვიულებდა, რომელსაც თავისი გოგოს საქციელი საშინლად არ მოსწონდა! ეს სამი ქალი — **კორძაია, სამნიძე და ნაცვლიშვილი** ზღვარს არიან გადასული! ესენი არიან აღვირახსნილები...

**— კორძაიები რას აპირებთ?**

— ეგ ქალი თუ ენას არ ჩაიგდებს და ჩვენი გვარის შერცხვენას არ მოეშვება, კორძაიები შევიკრიბებით და საკადრის პასუხს გავცემთ!

## „ოთხმოცი წლის კაცი ვარ, ვინმეს ჩემთვის გადაბრუნებული სიტყვა არ უკადრებია, მაგრამ გვარის შემარცხვენელი თამარ კორძაიას გამო მსაყვედურობენ!“



**თამარ კორძაია, ხათუნა სამნიძე და ანა ნაცვლიშვილი პარლამენტში, ჟიული შარტავას სახელობის სხდომათა დარბაზში, ურევენ. 2023 წლის 2 მარტი**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

---

## კვირგვინოსნები

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



აი, **ხაზარაძემ** აქციის მონაწილეებს რომ მიმართა: **როგორც 9 აპრილს ვიდექით ერთად, ახლაც ასე უნდა დავდგეთო,** ეს მომეწონა. ერთი გარემოება განსაკუთრებით: **1989 წლის 9 აპრილს ხაზარაძე კომკავშირის „ზნაჩოკით“ მკერდდამშვენებული როდიონოვთან ერთად ერთ მხარეს იდგა,** ხოლო ქართველი ახალგაზრდობა და ხალხი, რომელმაც სამშობლოს თავი შესწირა — მეორე მხარეს. გავახსენებ, თუ დაავიწყდა.

„საერთო გაზეთი“

**მაია ნიკოლეიშვილი**
*სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი*



ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების გონება და სულები გადასარჩენია! **წიგნს თუ დაშორდება, მერე ადამიანს კლიპური აზროვნება უყალიბდება და ალცჰაიმერიც ადვილად ემართება.** სერიალები აზროვნების უნარს აქვეითებს, მაგრამ ეს ნაკლები ბოროტებაა. **აი, „ტიკ-ტოკი“ კი სერიოზულ კლიპურ აზროვნებას აყალიბებს,** რა დროსაც პიროვნებას შინაარსის გააზრება უჭირს.

„საერთო გაზეთი“

**სოსო მანჯავიძე**
*ანალიტიკოსი*



საზოგადოებაში **ასეთი დაპირისპირებები,** როგორც წესი, მთავრდება **სამოქალაქო ომებით.**

„თბილისელები“

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



**ანა ნაცვლიშვილი** ჩვენი დროის ციციკორედ ჩამოყალიბდა — რაღაც თავის პიედესტალს დადგამს, შემდეგ დადგება და **უაპელაციოდ ყველას ლანძღავს,** არ ვიცი, ეს რა ფასონი და რა სინდრომია.

„ინტერპრესნიუსი“

**ვატო შაქარიშვილი**
*მოძრაობა „აი ისა“ თანადამფუძნებელი*



დაიმახსოვრეთ, **ევროპა რუსულ კანონს იღებს!** „ჯენ ზი“, ყველა ქვეყნისა შეერთდით, ევროპის სახალხო პარტია **ევროკავშირს შიგ რუსეთში** მიაქანებს!

„იმედინიუსი“

დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2023 წ. №11-13

***ცნობილი ანალიტიკოსი და მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ИГОР КВЕСЕЛАВА***

***ცნობილი ანალიტიკოსი და მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისა და პირველი პრეზიდენტის განადგურების მიზეზებზე გვესაუბრება და ხაზგასმით აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდიას დამხობა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის დღეს დაიწყო, როცა პრეზიდენტმა ბუშმა და სახელმწიფო მდივანმა ბეიკერმა საქართველოში მზვერავად რიჩარდ ნიქსონი გამოაგზავნეს:***

— ვიცი, ჩვენს ინტერვიუს, რომელიც „ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში გამოქვეყნდა, იმდენად დიდი აურზაური მოჰყვა, რომ ზოგიერთს გულის პრანჭვაც მოუვიდა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ეროვნული მოძრაობის გარიყრაყზე უნივერსიტეტში შექმნილი ე.წ. „პრესკლუბის“ უკან, სადაც **ფიქრია ჩიხრაძე, თედო ისაკაძე, დათო ტურაშვილი, ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი** და სხვები აქტიურობდნენ, სინამდვილეში იდგნენ მოსკოვში მყოფი ედუარდ შევარდნაძე და „კაგებე“! დიახ, **დათო ტურაშვილი** ებრძოდა ზვიად გამსახურდიას და სიტყვით და საქმით იდგა პუტჩისტების მხარეს, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ წლების შემდეგ მან თავისი საქციელი მოინანია და ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთ თავის ესსეში ხოტბა შეასხა. შევარდნაძის ფარული ინსტრუქციებით ასევე მოქმედებდნენ **თამრიკო ჩხეიძის „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ და გიორგი ჭანტურიას „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“!** ესენი იყვნენ ძალები, რომლებსაც საქართველოს ხელისუფლებაში მოსკოვიდან შევარდნაძის მოსაბრუნებლად ნიადაგი უნდა მოემზადებინათ. სწორედ ამათ, ე.წ. ინტელიგენციასა და ასევე „მხედრიონს“ უნდა დაყრდნობოდა შევარდნაძე, რომელსაც მოსკოვში კარტები უკვე არეული ჰქონდა და დიდი იყო იმის ალბათობა, რომ გორბაჩოვს საგარეო საქმეთა მინისტრობიდან გაეშვა. სწორედ ამიტომ მოაწყო შევარდნაძემ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია, რომელიც სინამდვილეში 1988 წლის ნოემბრისათვის გახლდათ დაგეგმილი. ამიტომაც არ გააკარეს ნოემბრის აქციებს ზვიადი და მერაბი და პროცესებს შევარდნაძის ფარული ხელისბიჭები და ხელისგოგოები — **გიორგი ჭანტურია და თამრიკო ჩხეიძე** წარმართავდნენ!

**— ახლოვდება 31 მარტი — ისტორიული რეფერენდუმისა და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე! ავუხსნათ ხალხს, რატომ დაემთხვა ეს ორი თარიღი ერთმანეთს?**

— სხვა გამოსავალი არც იყო... საქმე ის გახლავთ, რომ 1991 წლის 17 მარტს **გორბაჩოვმა** დანიშნა საკავშირო რეფერენდუმი საბჭოთა კავშირის შენარჩუნების მიზნით, რასაც ზვიად გამსახურდიამ ბოიკოტი გამოუცხადა და დაუპირისპირა რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის თაობაზე. ალტერნატივა არ იყო — 9 აპრილამდე, როცა ზვიადს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ჰქონდა განზრახული, რეფერენდუმის სხვა დღეს გამართვა, თუ არა 31 მარტს, ვერ მოესწრებოდა, რადგან სწორედ 31 მარტი იყო კვირა დღე. ამიტომაც მოხდა ამ ორი თარიღის დამთხვევა... ცნობისათვის, ზვიად გამსახურდიას ბედი სწორედ 1991 წლის 31 მარტს გადაწყდა, როცა **ბუშმა და ბეიკერმა** საქართველოში მზვერავად ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი **რიჩარდ ნიქსონი** გამოაგზავნეს. იგი დაესწრო რეფერენდუმს, პირისპირ შეხვდა ზვიად გამსახურდიას, რომელმაც მცხეთის ჯვარზე აიყვანა, მოუთხრო საქართველოს მდიდარი ქრისტიანული კულტურისა და უძველესი ისტორიის შესახებ, მაგრამ ამ საქმიდან არა გამოვიდა რა.

**— რატომ?**

— როგორც აწ განსვენებული **ვაჟა აბაკელიასგან** ვიცი, რომელიც ზვიად გამსახურდიამ საქართველოს გენერალურ პროკურორად დანიშნა, როცა მცხეთის ჯვრიდან გადმომდგარი ზვიადი პრეზიდენტ ნიქსონს საქართველოს დამოუკიდებლობასა და უძველეს წარსულზე ესაუბრებოდა, იგი ტყისკენ იხედებოდა და აინტერესებდა მხოლოდ ერთი რამ — იქნებოდა თუ არა ზვიად გამსახურდია ამერიკის ერთგული ვასალი, რომელიც უსიტყვოდ შეასრულებდა ვაშინგტონის დირექტივებს.



ნიქსონმა გამსახურდიას პირისპირ საუბარში შეატყო, რომ იგი არ იყო ის კაცი, ვინც კრემლის უღლის გადაგდების შემდეგ ვაშინგტონის მონობის უღელს დაიდგამდა. ეს სულ მალე გამოჩნდა კიდეც, როცა პრეზიდენტ ბუშის მიერ მოსკოვში გაკეთებული სამარცხვინო განცხადებების შემდეგ, 1991 წლის 9 აგვისტოს, ზვიად გამსახურდიას ეროვნულმა ხელისუფლებამ ვაშინგტონის მიმართ უმკაცრესი პოზიცია დააფიქსირა და თქვა, რომ კრიტიკას ვერ უძლებდა ვაშინგტონის, ჯეფერსონის, ლინკოლნისა და სხვათა ვაი-მემკვიდრე პრეზიდენტ ბუშის საქციელი, რომელიც **გორბაჩოვთან ერთად** პატარა საქართველოს მონობის ახალი უღლის დასადგმელად ექაჩებოდა!



# იგორ კვესელავა:

# 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების წინ, როცა ზვიადი ხელისუფლებაში მოდიოდა, მოსკოვიდან მოვიდა ფარული ინსტრუქცია, რომ გამსახურდიასთვის ხელი არ შეეშალათ! ამის უკანაც შევარდნაძე იდგა!

**— სოციალურ ქსელებში გამოჩნდნენ „თეორეტიკოსები“, რომლებიც ამტკიცებენ, თითქოს ზვიად გამსახურდიას ამერიკის შეერთებული შტატების მისამართით არასოდეს გამოუყენებია ფრაზა — „ამერიკული იმპერიალიზმი“ და მისი ცნობილი ინტერვიუ, სადაც პირველი პრეზიდენტი ამბობს, რომ პუტჩი საქართველოში ოკეანის გაღმიდან, ბუშისა და ბეიკერის თაოსნობით დაიგეგმა, რუსებმა გააყალბეს!**

— როგორც ჩანს, უმეცრებას საზღვარი არა აქვს! ზვიად გამსახურდია ამერიკისა და რუსეთის იმპერიებმა ერთად დაამხეს და მოსკოვიდან თბილისში შევარდნაძეც ერთად ჩამოიყვანეს! ზვიადმა ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცოდა და შეფასებებიც ადეკვატური ჰქონდა. ეს კარგად გამოჩნდა თქვენს სადოქტორო დისერტაციაშიც, რომლის ხელმძღვანელიც მე გახლდით. თქვენ კვლევაში აბსოლუტურად სწორად შენიშნავთ, რომ ტერმინი — „1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები“ შესაცვლელია და იგი უნდა ჩამოყალიბდეს ასე — **„1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის მოვლენები“!** სწორედ 1991 წლის 2 სექტემბრიდან დაიწყო სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში, თუმცა, ზვიად გამსახურდიას მოშორება და დამხობა ბევრად უფრო ადრე იყო გადაწყვეტილი. მას შემდეგ, რაც 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ვიზიტი დაასრულა,

## რიჩარდ ნიქსონი ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნდა და ედუარდ შევარდნაძის პატრონებს – პრეზიდენტ ბუშსა და სახელმწიფო მდივან ჯეიმს ბეიკერს უპატაკა – ზვიად გამსახურდია ჩვენი კაცი არ არის და არც გახდება, იგი საქართველოს კაციაო!

დიახ, გამსახურდია უნდა დაემხოთ ჯერ კიდევ 1991 წლის გაზაფხულზე, მაგრამ საქმე გაართულა 26 მაისს დანიშნულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა. ამ არჩევნებში ზვიადის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ედუარდ შევარდნაძის ბრძანებითა და ფარული დირექტივით, **თამაზ კვაჭანტირაძე, ვალერიან ადვაძე** და სხვები საპრეზიდენტო კამპანიაში აგრესიულად და მთელი ძალებით ჩაებნენ. ეს იყო ტესტი შევარდნაძისთვის... **აშკარად გამოჩნდა, რომ 87 პროცენტით არჩეული პრეზიდენტის დამხობა იარაღის გარეშე ვერ მოხერხდებოდა, ამიტომ გამსახურდიას მოშორება დროში გაიწელა...** საქმეს ისიც ართულებდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებით ზვიადმა სულ სხვა ლეგიტიმაცია შეიძინა და აწი მის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო რთული იყო. ეროვნული ხელისუფლების დასამხობად შევარდნაძისა და მისი პატრონების მიერ შერჩეული იქნა მეორე თარიღი — **1991 წლის ივლისი...**

**— 1991 წლის ივლისში რა მოხდა?**

— 1991 წლის 31 ივლისს **პრეზიდენტი ბუში** ჩავიდა მოსკოვში, სადაც **გორბაჩოვთან** სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებზე მო-








„შევარდნაძის ფარული ინსტრუქციებით ასევე მოქმედებდნენ თამრიკო ჩხეიძის „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ და გიორგი ჭანტურიას „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია!“



„ზვიად გამსახურდია ამერიკისა და რუსეთის იმპერიებმა ერთად დაამხეს და შევარდნაძეც ერთად ჩამოიყვანეს!“

აწერა ხელი და შემდეგ კიევში გააკეთა სამარცხვინო განცხადება, სადაც ხალხს საბჭოთა კავშირში დარჩენისკენ მოუწოდა. ამის გამო კიეველებმა ამ მართლაცდა სამარცხვინო პრეზიდენტს კვერცხები და პომიდვრები დაუშინეს. **კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ გლობალურ საკითხებში, რასაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში საბჭოთა კავშირის დაშლა ერქვა, ამერიკა და კრემლი ისევ და ისევ ერთად იყვნენ!**

გამსახურდიას დამხობა ვერც 1991 წლის ივლისში მოხერხდა, რადგან ამას ხელი შეუშალა მალთაყვაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატმა წყალსათხილამურო სპორტში, რომლის გახსნის ცერემონიალის შემდეგ გამართულ ბანკეტზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **თენგიზ სიგუამ,** რომელიც უკვე ფარულად იყო გადაბარგებული შევარდნაძის ბანაკში, ყანწი მოითხოვა და ზვიად გამსახურდიას სადღეგრძელო ფეხზე ამდგარმა შესვა. ჩემი ინფორმაციით, მალთაყვიდან **თენგიზ კიტოვანი და თენგიზ სიგუა** ერთად წამოვიდნენ... ძნელი სათქმელია, რა ილაპარაკეს მათ გზაში, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ამბიდან დაახლოებით ერთ კვირაში სიგუა უკვე რადიკალურად დაუპირისპირდა ზვიად გამსახურდიას და ღიად გააკეთა განცხადება პირველი პრეზიდენტის წინააღმდეგ!

**— ისმის ხმები იმის შესახებ, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების სათავეში მოსვლას ვაშინგტონმა და კრემლმა შეუწყვეს ხელი. რას იტყვით ამის შესახებ?**

— დიახ, ნამდვილად ასე იყო! უფრო სწორად,

**ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლას ხელი შეუწყო, ხოლო კრემლმა – ხელი არ შეუშალა!**

ბატონი **ნოდარ ჭითანავა გივი გუმბარიძის** დროს საბჭოთა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო და სწორედ მისგან ვიცი, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების წინ, როცა ზვიადი ხელისუფლებაში მოდიოდა, მოსკოვიდან მოვიდა ფარული ინსტრუქცია, რომ გამსახურდიასთვის ხელი არ შეეშალათ! ამის უკანაც შევარდნაძე იდგა...

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ზვიად გამსახურდია არ გეგმავდა ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსვლას და ფიქრობდა, რომ ხმების მხოლოდ 30 პროცენტს მიიღებდა. იგი არც პირველკაცობაზე ოცნებობდა... საქვეყნოდ ცნობილია, რომ გამსახურდია წყნეთში პირადად ეახლა **აკაკი ბაქრაძეს** და 1990 წლის 16 სექტემბერს შესთავაზა, სათავეში ჩასდგომოდა „მრგვალი მაგიდის“ საარჩევნო სიას, მაგრამ ცივი უარი მიიღო. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან **აკაკი ბაქრაძე** გახლდათ საბჭოთა ხელისუფლების მიერ დანიშნული „ნებადართული დისიდენტი“. აბა, განა კომუნისტები ისეთი იდიოტები იყვნენ, რომ ჯერ მარჯანიშვილის და შემდეგ რუსთაველის თეატრის დირექტორად ნამდვილი დისიდენტი დაენიშნათ?!

როცა ზვიადმა 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ხმათა უმრავლესობა მოიპოვა, გაკვირვებული ეკითხებოდა თავის თანამებრძოლებს, მაგალითად, **რობერტ პეტრიაშვილს** — როგორ მოხდა, რომ კრემლმა დათმო და „მრგვალმა მაგიდამ“ ამდენი ხმა მიიღოო? არადა, არჩევნების წინ ზვიადი აცხადებდა — ჩვენ ვიქნებით ოპოზიციაში, ვისწავლით ქვეყნის მართვას და მერე მოვალთ ხელისუფლებაშიო! მოკლედ, 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგით ზვიად გამსახურდია ფაქტის წინაშე დადგა და უნდა დაეკომპლექტებინა მთავრობა, რომლის შექმნაზე არც უფიქრია...

**— და მაინც, რატომ არ შეუშალა ხელი კრემლმა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლას?**

— აი, სწორედ ამაზე ჰქონდა შევარდნაძეს გათვლილი თავისი სტრატეგია!

„თენგიზ სიგუამ, რომელიც უკვე ფარულად იყო გადაბარგებული შევარდნაძის ბანაკში, ყანწი მოითხოვა და ზვიად გამსახურდიას სადღეგრძელო ფეხზე ამდგარმა შესვა!“



თენგიზ სიგუა

**კრემლში მოკალათებული შევარდნაძე და მისი ხელისბიჭები ფიქრობდნენ, რომ, თუ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლას ხელს არ შეუშლიდნენ, ძალიან მალე**



ვალერიან ადვაძე



თამაზ კვაჭანტირაძე

„ზვიადის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ედუარდ შევარდნაძის ბრძანებითა და ფარული დირექტივით, თამაზ კვაჭანტირაძე, ვალერიან ადვაძე და სხვები საპრეზიდენტო კამპანიაში აგრესიულად და მთელი ძალებით ჩაებნენ!“

**გამოუცდელ და არაკომპეტენტურ ეროვნულ მთავრობას ხალხი სამარცხვინოდ გარეკავდა და მოხდებოდა ზვიადისა და მთელი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დისკრედიტაცია.**

შევარდნაძეს ზვიად გამსახურდიასთვის დამატებითი პრობლემების შესაქმნელად ასევე გამზადებული ჰყავდა „მხედრიონი“, რომელიც **ჯაბა იოსელიანმა** – არა, რომელიც **ზურამ მგელაძეს** შეაქმნევინა. შემთხვევითი არ იყო, რომ 1990 წლის 28-29 ოქტომბერს, პირველი მრავალპარტიული არჩევნების დღეს, „მხედრიონმა“ მთელი კახეთის მასშტაბით მილიციის განყოფილებებზე მასობრივი თავდასხმები, მანქანებისა და იარაღების გატაცება და წინასწარი დაკავების იზოლატორებიდან კრიმინალების გათავისუფლება მოახდინა. ცხადია, ამ ყველაფერს **ჯაბა იოსელიანი** უშუალოდ ხელმძღვანელობდა, მაგრამ პროცესებს კრემლიდან თავიდან ბოლომდე შევარდნაძე და მის მსტოვრები მართავდნენ. გეგმა ასეთი იყო — ზვიად გამსახურდიასა და საქართველოს მოსახლეობას მოსვენება არ უნდა ჰქონოდათ! უბედურება ის გახლდათ, რომ პროცესებში აქტიურად ჩართეს ეკლესიაც... მაგალითად, **1990 წლის 30 სექტემბერს გამართული „ეროვნული კონგრესის“ არჩევნები, რომელიც, ფაქტობრივად, ზვიად გამსახურდიას მტრების გაერთიანება იყო, პატრიარქმა ილია მეორემ აკურთხა!** იგი თავისი ფეხით ეახლა ოპერის ბაღში გაშლილ კარავში მოშიმშილე ჯაბას, რომელიც წამოაყენა, დალოცა და უთხრა — **ბატონო ჯაბა, თავს გაუფრთხილდით, რადგან საქართველოს სჭირდებითო...**

**— რაც შეეხება ინტელიგენციას, რატომ ვერ მოხერხდა ზვიად გამსახურდიას დაახლოება ამ კასტასთან?**

— ეს ძალიან დიდი თემაა... ინტელიგენციაც **ჯაბა იოსელიანის** კარავთან იდგა! ეს იყო კორუმპირებული ელიტა, რომელიც შევარდნაძეს ყურებით ეჭირა. ცხადია, ზვიადმა ამ ხალხთან საერთო ენის გამონახვა სცადა, როცა **მარიკა ლორთქიფანიძეს, თამაზ გამყრელიძეს** და სხვებს სათითაოდ შესთავაზა უნივერსიტეტის რექტორობა, მაგრამ უარი მიიღო! ეს ხალხი, რომელიც ანგარიშვალდებული იყო შევარდნაძის წინაშე, ჩადგა საქართველოს დამაქცევართა სამსახურში. უფრო მეტიც,

**აკადემიკოსმა ევგენი ხარაძემ და სხვებმა თენგიზ სიგუასა და სხვა აჯანყებულებს, რომლებიც ხელისუფლების დამხობას გეგმავდნენ, მეცნიერებათა აკადემიის კარი გაუღეს და კაბინეტები დაუთმეს!**



აკაკი ბაქრაძე

„აკაკი ბაქრაძე გახლდათ საბჭოთა ხელისუფლების მიერ დანიშნული „ნებადართული დისიდენტი!“



ევგენი ხარაძე

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

*გაგრძელება იქნება*

# პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




**„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!**

**მიხეილ სააკაშვილი** თავის მემუარებში ცალკე თავს უთმობს რუსეთის პირველ პრეზიდენტს **ბორის ელცინს.** მისი თქმით, ელცინი პირველად 1990 წელს ნახა მოსკოვში, სადაც, როგორც სტუდენტი, გაეროს რომელიღაც პროგრამით დაგეგმილ ღონისძიებაზე იყო ჩასული.

მოკლედ, წითელ მოედანზე მოსეირნე მიშას, როგორც ის ყვება, კრემლიდან გამოსული **ელცინი** გამოეცხადა, რომელიც მაშინ გორბაჩოვს ებრძოდა და ხალხის გულის მოსაგებად „სახალხო ლიდერის“ როლს თამაშობდა და პოპულისტობდა!

ჰოდა, სააკაშვილი სწორედ ელცინის მორიგი სახალხო გასეირნებისას აეტორღიალა მას მოსკოვის ქუჩებში:

***„გზაში ელცინი ბევრგან ჩერდებოდა, სურათებს იღებდა, ბავშვებს ხელში იყვანდა, ხალხს ეხუტებოდა. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირში პირველად ვნახე ასეთი ტიპის პოლიტიკოსი, რომელიც ასე უშუალოდ იყო ხალხთან და აშკარად იღებდა ენერგიას ხალხისგან.***

***შემდეგ ის აახტა ჩვეულებრივ სამგზავრო ავტობუსს და ახლა უკვე ჩვენთან და ავტობუსის მგზავრებთან ერთად განაგრძო მოსკოვის ქუჩებში სეირნობა, თანაც, მგზავრებს შინაურულად ელაპარაკებოდა.***

***ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა ელცინთან და უნდა ვთქვა, რომ მაშინ ჩემზე, როგორც სტუდენტზე და პოლიტიკით დაინტერესებულ ადამიანზე, ამან მოახდინა სერიოზული შთაბეჭდილება“*** *(იქვე, გვ. 375).*

ვგონებ, დღესავით ნათელია, რომ სააკაშვილმა სწორედ ელცინისაგან ისწავლა ეს პოპულისტური ქუჩაში წანწალი, სახალხო სეირნობები, აქაოდა, მე და ხალხი განუყოფელნი ვართო!

ამის შემდეგ სააკაშვილი იხსენებს ელცინთან მეორე და უკანასკნელ შეხვედრას:

***„მეორედ ელცინი უკვე ვნახე მისი პრეზიდენტობის შემდეგ ყაზახეთში, ნურსულთან ნაზარბაევის ინაუგურაციაზე. ნაზარბაევმა ინაუგურაციაზე დაპატიჟა მრავალი სახელმწიფოს ლიდერი. ყაზახეთის ისტორიის მუზეუმში კიდია ფოტო, სადაც პირველ პლანზე არიან გამოსახული: ნაზარბაევი, პუტინი, ჯორჯ ბუში, ტონი ბლერი და მე.***

***სინამდვილეში ბუში და ტონი ბლერი იქ არ ყოფილან, მე და პუტინი ნამდვილად ვიყავით. ასევე მიიწვიეს ელცინი, რადგან მას ყაზახები მიიჩნევდნენ თავიანთი სახელმწიფოს ერთ-ერთ დამფუძნებლად, იმიტომ, რომ ელცინი ყველანაირად უწყობდა ხელს ყაზახეთს, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულიყო“*** *(იქვე, გვ. 376).*

მემუარისტი ამ თემაზე იქვე იხსენებს **ნაზარბაევის** გულახდილ სიტყვებსაც:

***„ნურსულთან ნაზარბაევმა ერთხელ ჩემთან საუბრისას ეს უფრო მარტივად ახსნა: — აი, რა კარგი კაცი იყო ელცინი, — მითხრა ნურსულთანმა, — დღე და ღამე სვამდა და ხელს არ გვიშლიდა. ერთხელ მრავალთვიან „ზაპოიში“ წავიდა. ამასობაში მე დედაქალაქი გადავიტანე აკმოლაში. ეს არის რუსებით დასახლებული ჩრდილოეთი რეგიონი. შემდეგ ელცინი გამოფხიზლდა, დამირეკა და მითხრა: „ნურსულთან, ეს რა ჩაგიდენია, სად წაგიღია დედაქალაქი?“***

***ავუხსენი, რომ ეს კარგი იყო როგორც ყაზახებისთვის, არამედ რუსებისთვისაც, რაზეც მან მითხრა, კარგი, კარგი და ისევ განაგრძო სმა“*** *(იქვე, გვ. 377).*

სააკაშვილი იხსენებს, როგორ მოხვდა ნაზარბაევის ინაუგურაციის შემდეგ გამართულ სადღესასწაულო ვახშამზე მაგიდასთან, **ელცინის** გვერდით:

***„... მომიბრუნდა და მკითხა, როგორ არის საქმე, მიხეილ ნიკოლაევიჩ, როგორ არის საქმე აფხაზეთში, ისე ძალიან კარგად მახსოვს, ახალგაზრდობაში როგორ ვიდექით ხოლმე სანატორიუმის აივანზე და ნანი ბრეგვაძე გვიმღეროდა ხოლმე „თბილისოს“ და „ქინძმარაულს“ ვსვამდით ერთად. ამაზე საკმაოდ მკვახედ მივუგე — კი მაგრამ, ბორის ნიკოლაევიჩ, თქვენ დროს მოხდა სწორედ აფხაზეთის დაპყრობა, მათ შორის, თქვენი ჯარის დახმარებით.***

*— ჰო, მართალია, — თქვა მან, — მაშინ* ***გრაჩოვი*** *ბოლომდე ვერ გავაკონტროლე.*

*აქ ელცინი აშკარად პირფერობდა. დარწმუნებული ვარ, თვითონ იყო ჩართული აფხაზეთის კამპანიის ყველა დეტალში.*

*ესეც არ დაუფარავს:* ***შევარდნაძესთან ძალიან ცუდი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა მას შემდეგ, რაც პოლიტბიუროზე ჩემ მოხსნაში მან გადამწყვეტი როლი შეასრულაო. ამიტომ არ მქონდა სურვილი, დავხმარებოდიო.***

***ამაში მართალი იყო. შევარდნაძემ მაშინ გორბაჩოვის მხარე დაიჭირა და ელცინი გამოაბუნძულეს პოლიტბიუროდან“*** *(იქვე, გვ. 378).*




მემუარისტი აშკარად „მამალ ტყუილს“ ამბობს, როდესაც მემუარებში იხსენებს, თითქოს **ელცინმა,** რომელსაც ცხოვრებაში პირველად გამოელაპარაკა ნაზარბაევის საინაუგურაციო ბანკეტზე, საქართველოში ჩამოსვლა და ჩვენი ქვეყნის დასავლეთთან ინტეგრაციაში დახმარება შესთავაზა:

***„მერე ესეც მითხრა ხმამაღლა — მიხეილ ნიკოლოზის ძევ, აუცილებლად დამპატიჟეთ საქართველოში, ჩამოვალ, ჩამოვიყვან ბევრ ჟურნალისტს, ვერ გამაჩერებენ, ვიტყვი მთელ სიმართლეს. ვიცი, რომ კარგად ვითარდებით, ვიცი, რომ კარგ რეფორმებს ატარებთ, და მე მინდა, რომ რუსეთმა, მთელმა მსოფლიომ ამის შესახებ სიმართლე გაიგოს“*** *(იქვე, გვ. 379).*

და ელცინი ამ ყველაფერს, თურმე, სააკაშვილს ეუბნებოდა პუტინის გასაგონად, რომელიც იქვე, რამდენიმე მეტრში, იჯდა იმავე მაგიდასთან!

უფრო უნიჭო ზღაპრის მოგონება ნამდვილად შეუძლებელია!

ის კი არა, სააკაშვილი, არც მეტი, არც ნაკლები, რუსეთში ქართული ღვინის აკრძალვას სწორედ ამ ვახშამზე ელცინის ნათქვამს აბრალებს:

***„შემდეგ ესეც დაამატა: ამ დღეებში იუბილე მაქვს და ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ რამდენიმე ყუთ ღვინოს გამომიგზავნი და ისე თქვენც დაპატიჟებული ხართ. მაგრამ თუ ვერ მოახერხებთ ჩამოსვლას, იქნებ ღვინო არ დაგვიწყდეთო. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ესმოდა პუტინს.***

***არ ვიცი, დაემთხვა თუ არა, მაგრამ ზუსტად ერთ კვირაში რუსეთის სანიტარიულმა სამსახურმა აკრძალა ქართული ღვინის შეტანა რუსეთში“*** *(იქვე, გვ 379).*

მემუარისტი აქაც აშკარად ცრუპენტელობს, რადგან ქართული ღვინის რუსეთში აკრძალვა ელცინის კი არა, მაშინდელი თავდაცვის მინისტრის **ირაკლი ოქრუაშვილის** დამსახურება იყო, რუსეთში ფეკალიებიც რომ შეიტანო, იმასაც დალევენო!

შემდეგ სააკაშვილი პარადოქსულ რამეს ამბობს:

***„ელცინის დროს რომ მქონოდა საშუალება, ალბათ, უფრო მეტი შანსი მოგვეცემოდა საერთო ენის გამონახვისა, როგორც პოლიტიკოსს — პოლიტიკოსთან.***

***სხვათაშორის, ზვიად გამსახურდიამ ეს მოახერხა თავის დროზე, როდესაც ელცინს მოაწერინა ხელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმებაზე. ზვიად გამსახურდიასთან ელცინმა ეგრევე იპოვა საერთო ენა და ზვიადი რომ დარჩენილიყო, ბევრ უბედურებას თავიდან ავიცილებდით. ეს ნამდვილად ასეა“*** *(იქვე, გვ. 379).*

და ამას ამბობს ის სააკაშვილი, რომელიც ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების სისხლიანი პუტჩით დამხობას ოვაციებით შეხვდა და პოლონურ პრესაში ინტერვიუებიც დაარიგა, დემოკრატიულმა ძალებმა დიქტატორი გამსახურდია — „კავკასიის სადამ ჰუსეინი“ დაამხესო!

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***


56

**ზვიად გამსახურდია და ბორის ელცინი ყაზბეგის შეხვედრაზე**

***მიხეილ სააკაშვილი:***

# ზვიადი რომ დარჩენილიყო, ბევრ უბედურებას თავიდან ავიცილებდით!



**ელცინის შუამავლობით, მოსკოვში დადებული „სამშვიდობო შეთანხმება“, რომლითაც დაიკარგა გაგრა!**

*ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი **კახა საბახტარიშვილი** საკვები პროდუქტების გაყინვასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ გვესაუბრება და იმ წესებს გვაცნობს, თუ რომელი პროდუქტის გაყინვაა შესაძლებელი და რა შემთხვევაში:*





## კახა საბახტარიშვილი:

# თუ პურს ვერ ვთმობთ, მაგრამ გვინდა, რომ წონაში არ მოვიმატოთ და შაქარმა არ აგვიწიოს, მაშინ გაყინული პური ვჭამოთ!

— დამეთანხმებით, რომ მაცივარმა ადამიანის ცხოვრების წესი თავიდან ბოლომდე შეცვალა. თუ ადრე მალფუჭებადი პროდუქტების შენახვა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, დღეს ეს პრობლემა, ფაქტობრივად, გადაჭრილია. თუმცა, ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ შენახვის მიზნით, მაცივრის საყინულე კამერაში ზოგიერთი საკვები პროდუქტის გაყინვას შესაძლოა, ჯანმრთელობისათვის სავალალო შედეგი მოჰყვეს!

**— ბატონო კახა, მაინც რომელი საკვები პროდუქტების გაყინვა არ არის რეკომენდებული და რა მოსდის პროდუქტს, როცა მას მაცივრის საყინულეში ვინახავთ?**

— პროდუქტების ნაწილი, რომელსაც საყინულეში ინახავენ, მოხმარებისას მართალია, არ გვწამლავს, მაგრამ საკვებად შესაძლოა, სრულიად გამოუსადეგარი და უვარგისი გახდეს. არის ისეთი პროდუქტებიც, რომლის გაყინვის წესებს თუ დავარღვევთ, შესაძლოა, შხამად გვექცეს და მრავალი დაავადება გამოიწვიოს... მაგალითად, ხშირია შემთხვევა, როცა გაყინულ ხორცეულსა და თევზეულს მაცივრიდან გამოიღებენ, გაალღობენ, მისგან კერძს დაამზადებენ და დარჩენილ ნაწილს ხელმეორედ გაყინვის მიზნით ისევ მაცივრის საყინულეში შეაბრუნებენ. ეს კატეგორიულად დაუშვებელია. საქმე ის არის, რომ გაყინული ხორცეულის ან თევზეულის გალღობისას ოთახის ტემპერატურაზე აქტიურდება და მრავლდება ის ბაქტერიები თუ მიკროორგანიზმები, რომლებიც პროდუქტების გაყინვის პირობებში მიძინებული იყვნენ.

როცა საჭმელს ვამზადებთ, თერმული დამუშავების შედეგად ხორცი სტერილდება და ბაქტერიები იღუპებიან, მაგრამ, თუ თერმულად დაუმუშავებელ ხორცს ან თევზს საყინულეში ისევ შევაბრუნებთ, ბაქტერიები გამრავლებას გააგრძელებენ და ასეთი ხორცი და თევზი ჯანმრთელობისთვიის საშიში გახდება. ამდენად, **გაყინული ხორცეულისა და თევზეულის გალღობა და მერე ისევ გაყინვა დაუშვებელია!**

ძალიან ბევრი მოწამლულა მაღაზიაში ნაყიდი ე.წ. გაყინული ხორცითა და თევზით. მიზეზი მარტივია — ხორცი ან თევზი სანამ მაღაზიაში მოხვდებოდა, მინუს 60 გრადუს ცელსიუსზე გაყინეს და რეფრიჟერატორით მოიტანეს, მაგრამ მაღაზიაში მოხვედრის შემდეგ, თუ შენახვის პირობები დაირღვა, პროდუქტი გალღვა და შემდეგ ხელმეორედ გაყინეს, ის უკვე ჯანმრთელობისთვის საშიშია. ამიტომ ჩვენი რჩევაა — **როდესაც გაყინულ პროდუქტებს ვყიდულობთ, ყურადღება მივაქციოთ მაცივარს, კერძოდ, რამდენად კომფორტული და გამართულია ის!**

## „გაყინული ხორცეულისა და თევზეულის გალღობა და მერე ისევ გაყინვა, დაუშვებელია!“





**— რძე და რძის პროდუქტები რამდენად ეგუებიან საყინულეს?**

— რძე, მაწონი, ნადუღი, კეფირი, იოგურტი, ხაჭო და არაჟანი საყინულეში არ უნდა შევინახოთ! თუ ამ პროდუქტებს გავყინავთ, მართალია, დიდხანს შეინახება, მაგრამ ყველა სასარგებლო და გემურ თვისებას დაკარგავს. რძის, მაწვნის, ხაჭოს, ნადუღის, იოგურტის, არაჟნისა და კეფირის კონსისტენციას ყინული თავიდან ბოლომდე ცვლის, რაც შეეხება ყველს, თუ ყველი რბილი და ჭყინტია, მაშინ საყინულეში მოთავსების შედეგად ფენებად იშლება, კარგავს სტრუქტურას და გალღობის შემდეგ სხვადასხვა ბაქტერიების გასამრავლებლად ხელსაყრელ გარემოს ქმნის, ხოლო მაგარი სახეობის ყველი ყინულს ადვილად იტანს... თუმცა, გალღობის შემდეგ ის თვისებებს მაინც კარგავს და იფშვნება. ნედლი კვერცხის საყინულეში შენახვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება! საქმე ის გახლავთ, რომ კვერცხში არსებული სითხე კრისტალიზდება, მოცულობაში იზრდება, კვერცხის ნაჭუჭის მთლიანობა ირღვევა და შიგთავსში ადვილად აღწევს მის ზედაპირზე დაბუდებული მიკროორგანიზმები და ბაქტერიები.

**— რამდენად ეგუება გაყინვას ხილი და ბოსტნეული?**

— გვახსოვდეს, რომ ყველა ის ხილი თუ ბოსტნეული, რომელიც დიდი რაოდენობით წყალს შეიცავს, საყინულეში კრისტალიზდება და გალღობის შემდეგ გემურ თვისებებს მთლიანად კარგავს.



## „ნედლი კვერცხის საყინულეში შენახვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება!“



## „რძე, მაწონი, ნადუღი, კეფირი, იოგურტი, ხაჭო და არაჟანი საყინულეში არ უნდა შევინახოთ!“

**ისეთი ხილი და ბოსტნეული, როგორიცაა საზამთრო, ნესვი, კიტრი, პომიდორი, ყაბაყი, ბადრიჯანი, ბანანი, ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი, ბალი, ალუბალი, ლეღვი, მარწყვი, ყურძენი, ჟოლო, ზღმარტლი გაყინვის შემდეგ ფორმას და კონსისტენციას კარგავს და მათი სასარგებლო თვისებები მნიშვნელოვნად მცირდება.**

მაგრამ თუ ბულგარულ წიწაკას სწორად გავყინავთ, მაშინ გალღობის შემდეგ C ვიტამინის რაოდენობა ყოველ 100 გრამ პროდუქტში 30-ჯერ მოიმატებს! ყველამ იცის, რომ ოხრახუში რკინის საბადოა და ანემიით დაავადებულები მას ინტენსიურად მოიხმარენ, მაგრამ ბევრისთვის უცნობია — თუ ოხრახუშს გავყინავთ და შემდეგ გავალღობთ, ყოველ 100 გრამ ოხრახუშში რკინის რაოდენობა 11-ჯერ მოიმატებს!

**— რას ნიშნავს პროდუქტების „სწორად გაყინვა“?**

— სწორად გაყინვის დროს ხილი და ბოსტნეული, რომლებიც დიდი რაოდენობით წყალს არ შეიცავენ, უნდა გავრეცხოთ, გავაშროთ, ხილს კურკა გამოვაცალოთ და მოვათავსოთ თავღია ჯამში. აი, ასე უნდა შევდგათ ის საყინულეში. როცა პროდუქტი გაყინვის შედეგად ქვასავით გახდება, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადავიტანოთ პლასტმასის ე.წ. კონტეინერებში. ამ წესით გაყინული პროდუქტი დიდხანს ინახება.

**— რამდენად რეკომენდებულია პურის მაცივარში შენახვა?**

— პურის მაცივარში შენახვა არამარტო რეკომენდებული, არამედ სასარგებლოა! მთლად უკეთესი, თუ დავჭრით და საყინულეში ისე გავყინავთ... ასეთ დროს პურში არსებული სახამებელი, რომელიც მარტივ შაქრებს მიეკუთვნება, წონას გვიმატებს და შაქარს მაღლა სწევს, რთულ ნახშირწყლებად გარდაიქმნება, ორგანიზმის მიერ ნელა აითვისება და სისხლში შაქრის დონესაც მაღლა არ სწევს. გარდა ამისა, პურში არსებული ცილა ყინულის ზემოქმედებით დენატურირდება, სტრუქტურას იცვლის და კუჭის წვენისთვის ადვილად მოსანელებელი ხდება. ასეთი გაყინული პური დიდხანს ინახება და როდესაც ოთახის ტემპერატურაზე გავალღობთ ან ტაფაზე ოდნავ შევაფიცხებთ, ფრიად სასარგებლო პროდუქტად გარდაიქმნება. ყველაზე მთავარი კი მაინც ის არის, რომ პურის საფუარი, რომელიც ჯანმრთელობისთვის მავნეა, გაყინვის შედეგად საერთოდ ნეიტრალდება! ამდენად, თუ პურს ვერ ვთმობთ, მაგრამ გვინდა, რომ წონაში არ მოვიმატოთ და შაქარმა არ აგვიწიოს, მაშინ გაყინული პური ვჭამოთ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



## „თუ ოხრახუშს გავყინავთ და შემდეგ გავალღობთ, ყოველ 100 გრამ ოხრახუშში რკინის რაოდენობა 11-ჯერ მოიმატებს!“

დასაწყისი მე–4 გვერდზე

# «პეპლის ეფექტი»

პირი უცხოური ინვესტიციები 2022 წლისთვის“. როგორც ხედავთ, **დიდი ბრიტანეთი საქართველოში მთლიანი ინვესტიციე-**



## პოლიტოლოგი ხიდირბეგიშვილი პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილს მიმართავს

**NATIONAL STATISTICS OFFICE OF GEORGIA**

10.03.2023

FDI by major investor countries in 2022 is shown in table №5.

**MAJOR INVESTOR COUNTRIES BY 2022**

(MILLION US DOLLARS)

4

| | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022* |
|---|---|---|---|---|---|---|
| **TOTAL** | **1 990.5** | **1 351.5** | **1 352.2** | **589.8** | **1 241.8** | **2 000.0** |
| of which: | | | | | | |
| United Kingdom | 249.0 | 183.3 | 237.5 | 303.1 | 603.6 | 428.3 |
| Spain | 5.8 | -3.5 | -3.1 | 2.9 | 14.4 | 367.0 |
| United States | 79.1 | 105.0 | 115.7 | 98.5 | 16.4 | 163.9 |
| Netherlands | 356.2 | 211.6 | 92.9 | 206.8 | 138.3 | 145.7 |
| Ireland | 0.2 | 3.2 | 133.2 | 0.2 | 1.1 | 120.9 |
| China | 19.4 | 76.0 | 44.7 | -35.4 | -28.1 | 108.5 |
| Türkiye | 256.2 | 49.2 | 169.7 | 79.9 | 100.0 | 106.5 |
| Czech Republic | 131.7 | 77.7 | 18.3 | -6.3 | 80.8 | 86.4 |
| Russia | 52.4 | 83.8 | 62.9 | 42.2 | 75.5 | 71.0 |
| Japan | 18.4 | 4.8 | 39.5 | 6.5 | 4.3 | 68.7 |
| Other countries | 822.2 | 560.4 | 440.6 | -108.4 | 235.6 | 333.1 |

**ბის 21.4 პროცენტს ფლობს.**

ყურადღება მიაქციეთ: **კონფლიქტების აღკვეთის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების მხარდაჭერის ფონდის** (CSSF, დიდი ბრიტანეთი) **ზემოაღნიშნული პროგრამის საქართველოში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და მოლდოვაში 2016-2017 წლებში** საქმიანობის ოთხი მიმართულებიდან მთავარს ეწოდება **„წინააღმდეგობის გაწევა რუსული მედიის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციისთვის, რომელიც მიზნად ისახავს ვითარების დესტაბილიზაციას ზემოაღნიშნულ რეგიონებში“** (თუმცა, პროგრამაში „რუსული დეზინფორმაციის“ არცერთი კონკრეტული მაგალითი არ მოიპოვება). **საქართველოში პირდაპირი ინვესტიციების შესახებ საქსტატის დიაგრამაში კი რუსეთის ფედერაციას 3,5 პროცენტით მხოლოდ ბოლოსწინა ადგილი უკავია** (უსწრებს მხოლოდ იაპონიას 3,4 პროცენტით, თუმცა, ქართული ოპოზიცია სულ რუსეთის ეკონომიკურ ექსპანსიაზე გაჰყვირის).

**უნებურად ჩნდება კითხვები:**

***1.*** **ნუთუ დიდმა ბრიტანეთმა შარშან საქართველოში მთლიანი პირდაპირი ინვესტიციების 21,4 პროცენტი მხოლოდ იმიტომ განახორციელა, რომ წინააღმდეგობა გაეწია რუსეთისთვის, რომლის ინვესტიციების წილი მხოლოდ 3,5 პროცენტია?**

***2.*** დიდი ბრიტანეთის ზემოაღნიშნული CSSF სახელმწიფო ფონდის პროგრამა ეწოდება **„კონფლიქტების აღკვეთის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა საქართველოში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და მოლდოვაში 2016-2017 წლებში“.** რატომ ახსენებს საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი „პოლიტიკის, თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში“ საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისგან ცალკე? რატომ გამოუცხადა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეიმს კლევერლიმ საქართველოში ვიზიტისას **„საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერა“,** თუმცა, დღეს საქართველო ერთსაც და მეორესაც მოკლებულია?

***3.*** **რაში სჭირდება საქართველოს, რომელმაც ხელი მოაწერა ევროკავშირთან** ასოცირების ხელშეკრულებას და აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიას, კიდევ ერთი სტრატეგიული პარტნიორი დიდი ბრიტანეთის სახით, რომელმაც დემონსტრაციულად დატოვა ევროკავშირი? მოგეხსენებათ, ვიზალიბერალიზაციის მიღების შემდეგ საქართველოს მოქალაქეებს დიდ ბრიტანეთში უვიზოდ მაინც არ უშვებენ, რადგან ის შენგენის ზონაში არ მდებარეობს.

3




**Georgia**

This factsheet provides the latest statistics on trade and investment between the UK and Georgia.

Date of release: 17 March 2023; Date of next planned release: 28 March 2023

**Total trade in goods and services** (exports plus imports) between the UK and Georgia was **£315 million**, in current prices, in the four quarters to the end of Q3 2022, an increase of 81.0% or £141 million from the four quarters to the end of Q3 2021. Of this £315 million:

- Total UK **exports** to Georgia amounted to £154 million, in current prices, in the four quarters to the end of Q3 2022 (an increase of 21.3% or £27 million compared to the four quarters to the end of Q3 2021);
- Total UK **imports** from Georgia amounted to £161 million, in current prices, in the four quarters to the end of Q3 2022 (an increase of 242.6% or £114 million compared to the four quarters to the end of Q3 2021).

**Georgia was the UK's 117th largest trading partner** in the four quarters to the end of Q3 2022 accounting for less than 0.1% of total UK trade.[1]

In 2021, the **outward stock of foreign direct investment (FDI)** from the UK in Georgia was £1.9 billion accounting for 0.1% of the total UK outward FDI stock.

In 2021, the **inward stock of foreign direct investment (FDI)** in the UK from Georgia are not available due to data disclosure.[2]

## ბატონო პრემიერო,

ქვემოთ მოვიყვან ამ კითხვებზე პასუხის ერთ-ერთ ვარიანტს, შემდეგ კი დაგიმტ-

## კვირგვინოსნები

**ფრიდონ ინჯია**

*„ევროპელი სოციალისტების“ თავმჯდომარე, პარლამენტარი*



**კაპიტოლიუმში შევარდნის** გამო 15-დან 18 წლამდე მისცეს, **პარლამენტში რომ შემოვარდნენ,** ხომ უნდა დაისაჯონ, ეს მაგალითი უნდა იყოს.

„პირველი არხი“

**გელა ნიკოლაიშვილი**

*ექსპერტი*



ენჯეოების საფარქვეშ პარტიულ უჯრედებს ქმნიან. რეალურად, **ძალიან ბევრი ნაციონალური მოძრაობიდან წავიდა ვითომ ენჯეოში** და, რა თქმა უნდა, ამას ვერც დამალავენ, იგივე ნაცმოძრაობაა, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაცია ჰქვია.

„TV იმედი“

**სოსო ცინცაძე**

*პოლიტოლოგი*



დღეს **ვადამდელ არჩევნებზე** საუბარი ოპოზიციის მხრიდან დამღუპველია.

„ახალი თაობა“

**პაატა დავითაია**

*„ევროპელი დემოკრატების“ თავმჯდომარე*



„ქართულ ოცნებაში“ კრიზისია, **შიგნიდან ძალიან ცუდი ამბები გამოდის.** ყველაფერი მზადაა იმისათვის, რომ **როგორც პუტინზე გამოცხადდა სანქციები,** ისე ჩვენც მოვისმინოთ ჩვენი ქვეყნის კონკრეტულ პირებზე სანქციები.

„ახალი თაობა“

**გიორგი ვაშაძე**

*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



ძალიან ბევრი მომხვდა უსამართლოდ, მაგრამ **რომ არა ჩემი განცხადება პარლამენტის ალყაში მოქცევის შესახებ,** დღეს სხვა მოცემულობა იქნებოდა საქართველოში.

„კვირის პალიტრა“

# ვინ აძლევს უცხოეთის აგენტების ინვესტირებას საქართველოში

კიცებთ, რომ **საქართველოში დიდი ბრიტანეთის პირდაპირი ინვესტიციების ადრესატები ძირითადად უცხოეთის გავლენის აგენტები არიან, რომელთა ლუსტრაციის კანონის მიღების საშუალებაც საქართველოს პარლამენტს ანგლოსაქსების მართულმა კოლექტიურმა დასავლეთმა არ მისცა ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების** (NGO), **მასობრივი ინფორმაციის საშუალებების** (Media) **და ე.წ**. „Generation Z"-ის ხელით („GEN Z" — ტერმინი, რომელიც 1997 წლიდან 2012 წლებში დაბადებულ თაობას ნიშნავს).

ეკონომისტი **მიხაილ ხაზინი** და ფილოსოფოსი ანდრეი ფურცევი თვლიან, რომ **„ამიერკავკასიაში ანგლო-ებრაული ტანდემის"** ეკონომიკური ექსპანსიის მიზეზი არის **სასმელი წყლის დეფიციტი** (მწვავე — ისრაელში, დამდეგი — დიდ ბრიტანეთში), ასევე სუფთა ეკოლოგია, იაფი ენერგია და მდიდარი წიაღისეული, პირველ რიგში — **ოქრო.** საიდუმლო არ არის, რომ ეკოლოგიურად კეთილსაიმედო საქართველოს სასმელი წყლისა და ოქროს დიდი მარაგი აქვს. **„პროგრამა მინიმუმია — უკრაინაში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ფეხის მოკიდება",** — მიაჩნია ხაზინს (არაფერი უჩვეულო - გასულ საუკუნეში დიდი ბრიტანეთის კოლონიები შეადგენდა დედამიწის ხმელეთის მეოთხედს და მათი უმეტესობა მდებარეობდა მიტროპოლიისგან შორს). **აი, თურმე, რატომ გაიხსნა** CSSF **ფონდის წარმომადგენლობები ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში** (ოფისით თბილისში), **ცენტრალურ აზიაში** (ოფისით ბიშკეკში), **ხოლო დიდი ბრიტანეთის საელჩო კიევში ფონდის აღმოსავლეთ ევროპაში მუშაობას კოორდინაციას უწევს!** (სწორედ ამიტომ გთხოვეთ ამ ზემოთ აღნიშნული გარემოების დამახსოვრება).

**ბატონო საქართველოს პრემიერ-მინისტრო,**

**მე ვერ დავადგინე, სად, რომელ დარგებში იყო ჩადებული ბრიტანული ინვესტიციები გასულ — 2022 წელს, რადგან მონაცემებზე წვდომა შეზღუდულია.** სამაგიეროდ, მოვახერხე იმის დადგენა, რომ შარშანწინდელი — 2021 წლის მონაცემები ღია წყაროებში კარდინალურად განსხვავდება.

**როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობის ბიზნესისა და ვაჭრობის დეპარტამენტის მონაცემებით, 2021 წელს დიდი ბრიტანეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ საქართველოში შეადგინა 1 მილიარდ 900 მილიონი გირვანქა სტერლინგი** (დაახლოებით 2 მილიარდ 300 მილიონი დოლარი, იხილეთ **ცხრილი №3),** ხოლო საქსტატის მონაცემებით, პირდაპირი ინვესტიციები დიდი ბრიტანეთიდან იმავე 2021 წელს შეადგენდა 603 მილიონ 600 ათას დოლარს **(იხ. ცხრილი №4)? სად გაქრა სხვაობა — 1 მილიარდ 696 მილიონ 400 ათასი დოლარი ($2.300.000 - $603.600 = $1.696.400)? შემთხვევით, ხომ არ მოხმარდა საქართველოში უცხოური გავლენის აგენტების — რადიკალური ოპოზიციური პარტიების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების** (Media), **„სამოქალაქო სექტორის"** — არასამთავრობო ორგანიზაციებისა (NGO) და იქ გაერთიანებული „GEN Z"-ის **ახალგაზრდობის დაფინანსებას? იქნებ, ამიტომაც არ არის მონაცემები დიდი ბრიტანეთის, როგორც საქართველოს მთავარი ინვესტორის შესახებ ბოლო 6 წლის განმავლობაში ექსპორტისა და იმპორტის საერთაშორისო ცხრილებში (იხ. ცხრილები №5 და №6)? და როგორ განაწილდა საქსტატის მიერ მითითებული 603 მლნ 600 ათასი დოლარი? ნუთუ ასევე მოხმარდა უცხოეთის აგენტებს საქართველოში დიდი ბრიტანეთის გავლენის გასაძლიერებლად?!**




| Georgia Exports By Country | Value | Year |
|---|---|---|
| China | $736.84M | 2022 |
| Azerbaijan | $672.63M | 2022 |
| Russia | $651.63M | 2022 |
| Armenia | $584.58M | 2022 |
| Turkey | $435.49M | 2022 |
| Bulgaria | $423.67M | 2022 |
| United States | $265.06M | 2022 |
| Kazakhstan | $238.17M | 2022 |
| Ukraine | $232.05M | 2022 |
| Peru | $153.89M | 2022 |
| Uzbekistan | $111.10M | 2022 |
| Switzerland | $97.74M | 2022 |
| Kyrgyzstan | $92.44M | 2022 |
| Germany | $67.70M | 2022 |
| Italy | $61.42M | 2022 |
| Belarus | $56.50M | 2022 |
| Spain | $51.65M | 2022 |
| Poland | $47.13M | 2022 |




| Georgia Imports By Country | Value | Year |
|---|---|---|
| Turkey | $2.37B | 2022 |
| Russia | $1.84B | 2022 |
| China | $1.13B | 2022 |
| United States | $941.41M | 2022 |
| Germany | $661.54M | 2022 |
| Azerbaijan | $642.08M | 2022 |
| Armenia | $613.19M | 2022 |
| Japan | $307.14M | 2022 |
| Romania | $291.59M | 2022 |
| Italy | $287.20M | 2022 |
| United Arab Emirates | $282.13M | 2022 |
| Ukraine | $274.89M | 2022 |
| Iran | $231.57M | 2022 |
| France | $211.33M | 2022 |
| Poland | $210.78M | 2022 |
| Netherlands | $206.10M | 2022 |
| Bulgaria | $202.98M | 2022 |
| Turkmenistan | $168.00M | 2022 |



**Trade in goods by commodity, in current prices (ONS)**[12 13]

*Please note, these data are presented on a non-seasonally adjusted basis and are not directly comparable to seasonally adjusted data, including the headline trade statistics presented before.*

The **top 5 goods exported from the UK to Georgia** in the four quarters to the end of Q3 2022 were:

- 78M - Cars (£21.4 million)
- 72K - Specialised machinery (capital) (£13.0 million)
- 11 - Beverages (£10.9 million)
- 54 - Medicinal & pharmaceutical products (£6.7 million)
- 8OK - Other miscellaneous manufactures (capital) (£5.7 million)

***Note:** The percentage of the total UK exports of goods to Georgia accounted for by the above commodities are not provided here. This is due to the value of total UK exports of goods being rounded to the nearest £million, with commodity trade values being given to a greater level of accuracy. In some cases, this means the percentages above might sum to more than 100%.*

The **top 5 goods imported to the UK from Georgia** in the four quarters to the end of Q3 2022 were:

- 33R - Refined oil (£24.1 million)
- 56 - Processed fertilisers (£4.9 million)
- 28 - Metal ores & scrap (£4.3 million)
- 67 - Iron & steel (£2.5 million)
- 51 - Organic chemicals (£2.1 million)

***Note:** The percentage of the total UK imports of goods from Georgia accounted for by the above commodities are not provided here. This is due to the value of total UK imports of goods being rounded to the nearest £million, with commodity trade values being given to a greater level of accuracy. In some cases, this means the percentages above might sum to more than 100%.*

The chart below shows the top 5 products exported from the UK to Georgia and the top 5 products imported to the UK from Georgia, by value, in the four quarters to the end of Q3 2022. All data shown in the chart are provided in the text above.



დიდი ბრიტანეთის მთავრობის ბიზნესისა და ვაჭრობის დეპარტამენტი იუწყება, რომ 2022 წლისთვის დიდ ბრიტანეთსა და საქართველოს შორის საქონლითა და მომსახურებით (ტრადიციული საქონლისა და მომსახურების, და არა იდეოლოგიურის!) ვაჭრობის მთლიანი მოცულობა შეადგენდა მხოლოდ **315 მილიონ გირვანქა სტერლინგს,** საიდანაც: დიდი ბრიტანეთის ექსპორტმა საქართველოში შეადგინა 154 მილიონი გირვანქა სტერლინგი; დიდი ბრიტანეთის იმპორტმა საქართველოდან შეადგინა 161 მილიონი გირვანქა სტერლინგი (იხ. ცხრილი №7 — TOP 5 პოზიცია).

**ბატონო ირაკლი,**

მეტს აღარ ვაპირებ თქვენი ყურადღების ბოროტად გამოყენებას, თუმცა, აღნიშნულ თემაზე გაანალიზებული ინფორმაციის არცთუ მცირე მოცულობას ვფლობ. ამასთან,

## ვფრთხილობ, „ნაბან წყალს ბავშვიც არ გადაავაყოლო", რომელიც ჩვენ ერთი გვყავს და მას GEORGIA ჰქვია!

*ღრმა პატივისცემით,*

***არნო ხიდირბეგიშვილი,***

***ქართული საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი"-ს მთავარი რედაქტორი***

## კვირგვინოსნები



**მაია ბითაძე**
*პარლამენტარი*

მრცხვენია, რომ **ვიცნობ ადამიანებს ვაი-ოპოზიციიდან,** ვინც ხელისუფლებაში მოსვლის დაუოკებელი სურვილის გამო, **მზად არიან, ფეხქვეშ გათელონ ყველაფერი** — სამშობლო, კოლეგები, ადამიანები.

„ინტერპრესნიუსი"



**გიგა ბოკერია**
*„ევროპული საქართველოს" ლიდერი*

ვიღაცამ ქუჩაში ბევრი ხალხი რომ დაინახა, იძახის, მოდი, **ვადამდელი არჩევნები მოვითხოვოთო** — ეს მცდარი ნაბიჯია.

„TV პირველი"



**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის" წევრი*

სამი რამ ეღობება საქართველოს ევროკავშირში შესვლას — **კობახიძე, ღარიბაშვილი და ივანიშვილი,** ესენი არიან ჩაწოლილი კარში და არ გვიშვებენ ევროკავშირში.

„ინტერპრესნიუსი"



**დავით უსუფაშვილი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*

ე.წ. **რუსული კანონის** პარლამენტში ინიცირებით, ხელისუფლებამ ოპოზიციასთან **10:0** წააგო — გააგრძელეთ ბატონებო ასე, გახდება **100:0.**

„ინტერპრესნიუსი"



**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტოლოგი*

**ხაზეიშვილის** აქციაზე ოპოზიციიდან არავინ არ მივა. **მარგველაშვილის** დრო გავიდა. როცა პრეზიდენტი იყო, შეეძლო, ყოფილიყო რაღაცა ფლანგის ლიდერი, მაგრამ გუნდური თამაში არ ემარჯვება.

„ახალი თაობა"



# იოდირებული ჩაი ჯანმრთელობის ელექსირია!

***იოდდეფიციტით გამოწვეული დაავადებები და მათ შორის ენდემური ჩიყვი, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას. სამწუხაროდ, საშიშროებას საზოგადოება ჯეროვნად ვერ აცნობიერებს და აქედან გამომდინარე არც სათანადო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს მიმართავს, თუმცა, არჩევანი არცთუ ისე დიდია. იოდის დეფიციტის შევსება მოსახლეობას შეუძლია მხოლოდ იოდირებული მარილით.***

თუმცა, სპეციალისტების აზრით, იოდის დეფიციტის მიზეზები ადამიანის ორგანიზმში, გარემოში იოდის ნაკლებობის გარდა განპირობებულია სხვა ფაქტორებითაც, რომლებიც ფარისებრ ჯირკვალზე მოქმედებენ და მის მიერ იოდის ათვისებას ხელს უშლიან.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე **შეიმუშავეს ტექნოლოგია, რომლის საშუალებითაც მოხდა ჩაის იოდირება, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის გასაუმჯობესებლად კი ჩაის დაემატა სამკურნალო მცენარეები:** ფეიხოასა და მაყვლის ფოთლები, რის შედეგადაც მივიღეთ კომპლექსური პრეპარატი, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ჩაის საგემოვნო თვისებები. ეს არის მასიური მოხმარების საკვები პროდუქტი, აუმჯობესებს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციას და ორგანიზმის უზრუნველყოფას იოდით.

უნდა ითქვას, რომ იოდით გამდიდრებულ ჩაის იოდირებულ მარილთან შედარებით მთელი რიგი უპირატესობები გააჩნია. კერძოდ:

**1.** იოდირებული მარილი ჩვეულებრივ მარილთან შედარებით თითქმის ორჯერ უფრო ძვირია.

**2.** იოდით გამდიდრებული და ჩვეულებრივი ჩაის ფასი ერთნაირია.

**3.** ჩვენ ხშირად საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ვიკვებებით, სადაც ნაკლებად სავარაუდოა, რომ საკვებს იოდირებული მარილით ამზადებდნენ (როგორც წესი, იოდირებული მარილი კერძს მომზადების შემდეგ ემატება).

**4.** იოდით გამდიდრებული ჩაი შეგიძლიათ, ტრადიციულად ყოველ დილას და საღამოს მიირთვათ.

**5.** რაც ყველაზე მთავარია, იოდირებული ჩაი მარილისგან განსხვავებით მზადდება **ადგილობრივი ნედლეულით.**

**6.** ჩაის, განსაკუთრებით კი მწვანეს, გარდა სასიამოვნო გემოსი და არომატისა, საკმაოდ კარგად გამოხატული სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებები ახასიათებს, ხელს უშლის ავთვისებიანი სიმსივნის განვითარებას, იცავს ადამიანს რადიაციული გამოსხივებისაგან, დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებაზე. ამიტომ მისი საშუალებით ადამიანის ორგანიზმისთვის იოდის მიწოდება ყოველმხრივ გამართლებულია.

**7.** იოდით გამდიდრებული ჩაის შენახვის ვადა 2 წელია. იოდირებული მარილის კი — 6 თვე.

**8.** იოდით გამდიდრებული ჩაის დახმარებით შეგვიძლია მივიღოთ ზუსტად იმდენი იოდი, რამდენიც ჩვენს ორგანიზმს ესაჭიროება. ერთჯერადი ჩაის თითო ფუთულა (პაკეტი) შეიცავს 50 მკგ იოდს (ნაყენში გადადის 40 მკგ).

**სასურველია, რომ პროფილაქტიკის მიზნით იოდით გამდიდრებული ჩაი დღეში 2-ჯერ დავლიოთ. იოდის დეფიციტის დროს კი იმის მიხედვით, თუ რამდენი იოდი აკლია ჩვენს ორგანიზმს. იოდს, როგორც მოგეხსენებათ, გემო და სუნი არ გააჩნია, ამდენად, ჩაის არ უცვლის საგემოვნო თვისებებს და არომატს. ჩაის არომატზე და გემოზე არ მოქმედებს არც ფეიხოას და მაყვლის ფოთლები, რომლებიც მასში 22 პროცენტამდე შედის. ვფიქრობთ, იოდირებული მარილის და იოდით გამდიდრებული ჩაის მიღება, იოდის სადღეღამისო ნორმების გაზრდის გამო, ერთდროულადაც შეიძლება (იოდის სადღეღამისო ნორმა 180 მკგ-დან გაიზარდა 250-300 მკგ-მდე).**





# როგორ დავეხმაროთ გულის მანკით დაავადებულს?

***არსებობს დაავადებები, რომელთა ჩამოყალიბებას ხშირად გენეტიკური ფაქტორი განსაზღვრავს, თუმცა, არა ყოველთვის. ამ დაავადებებს თავიდან ავიცილებთ, თუ მისი განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები გვეცოდინება. ერთ-ერთი სერიოზული სენის — გულის მანკის — მკურნალობა თანამედროვე მედიცინაში დღეს უკვე პრობლემას აღარ წარმოადგენს. თუ გვეცოდინება, რომ „რევმატიზმი კბენს გულს, ხოლო რევმატიული ართრიტი ლოკავს მას“, — როგორც კარდიოლოგები ამბობენ, — ბევრ სირთულეს ავიცილებთ თავიდან.***

**გულის თანდაყოლილი მანკი ძირითადად გენეტიკურად დეტერმინირებულია,** თუმცა, შესაძლოა, ორსულობისას ინფექციამ, სტრესმა, უარყოფითმა ფაქტორმა შეუწყოს ხელი, ან თუნდაც გარკვეული პრეპარატების, მათ შორის, **აგფ-ინჰიბიტორების** მიღებამ. ორსულობისას ქალისათვის მათი მიღება დაუშვებელია, რადგან იზრდება **მანკის** განვითარების რისკი. თუმცა, აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ ეს დაავადება ძირითადად გენეტიკურ ფაქტორზეა დამოკიდებული.

მაღალტექნოლოგიურ აპარატზე **მანკის** დიაგნოსტიკა ორსულის ექოსკოპიური კვლევის დროს აუცილებლად ჩანს, მაგრამ ორსულობის პირველ თვეებში მისი დანახვა შეუძლებელია, ვინაიდან გულის ჩამოყალიბება ხდება ორსულობის მეორე ნახევარში.

ყველაფრის მიუხედავად, ფეხმძიმე არ უნდა შეშინდეს, რადგან **გულის მანკის** მკურნალობა დღეს უკვე არ წარმოადგენს სირთულეს. დროული მკურნალობითა და სისტემატური დაკვირვებით ასეთი ავადმყოფები ცხოვრების ჩვეულ რიტმს მისდევენ და ხშირად სპორტსმენებიც კი ხდებიან.

ფაქტობრივად, თვეების ბავშვებში **მანკი** გულზე შუილებით გამოიხატება... მაგრამ გულზე შუილები ყოველთვის **მანკის** მიმანიშნებელი როდია? ხშირად ის ასაკობრივია და სრულიად ჯანმრთელ ბავშვსაც აღენიშნება, რაც ასაკის მატებასთან ერთად გაივლის.

**გულის მანკით** დაავადებულ ბავშვს თუ ოპერაციული ჩარევა სჭირდება, თვეების ასაკშიც უკეთებენ ოპერაციას... ეს ხდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ოპერაცია რამდენიმე ეტაპად კეთდება. დღეს **მანკის** კორექციის მრავალი მეთოდი არსებობს. შეძენილი მანკებიდან ხშირია ისეთი ტიპის **მანკი,** როგორიცაა **ფილტვის პირველადი ჰიპერტენზია.** იგი ხშირად ჩამოყალიბდება ასევე იმ მედიკამენტების არასწორი ან არადროული მიღების შემდეგაც, რომლითაც სულ სხვა დაავადებას მკურნალობდნენ. ყოველივე ამან შეიძლება ნაყოფში **მანკის** განვითარება გამოიწვიოს.

**მანკის** დროს გულის გეომეტრია იცვლება, რაც ნიშნავს, რომ იცვლება გულის ღრუების ზომები, შესაბამისად, ცვალებადია სისხლის ერთი საკნიდან მეორეში გადასვლის სიჩქარეები, რაც საბოლოოდ განაპირობებს გულის პათოლოგიას. ისე, უნდა ითქვას, რომ ყველა **მანკი** ინდივიდუალურია.

დაავადება რთულ სახეს იღებს მაშინ, როდესაც სისხლი საწინააღმდეგო მიმართულებით, ანუ მარჯვნიდან მარცხნივ გადაიტყორცნება. ასეთ დროს სისხლის მიმოქცევის დიდ წრეში ვენური, ანუ ჰემოგლობინით გაუჯერებელი სისხლი გადადის. ეს იწვევს მთელი რიგი ორგანოების ჰიპოქსიას. თუ ქალი ორსულია, ამ დროს შეიძლება მოხდეს ნაყოფის დაღუპვა. აქედან გამომდინარე, გულის გეომეტრიული ცვლილებები ზოგჯერ სერიოზულ ფუნქციურ ცვლილებებს იწვევს. **მანკის** რთული ფორმაა ასევე **მიტრალური სტენოზი.** თუმცა, მისი პროგრესირების შეჩერებაც შეიძლება დროული მკურნალობით.

ზოგიერთი ფორმის **მანკი** ოპერაციის შემდგომ არანაირ მკურნალობას არ საჭიროებს. ზოგჯერ კი საჭიროა სისტემატური დაკვირვება. ყველა შემთხვევაში ამას ექიმი განსაზღვრავს.

**მანკის** ფორმას, რომელსაც **წინა გულსშუა ძგიდის დეფექტს უწოდებენ** და ძალიან დიდი ზომის არ არის, ის დიდ ცვლილებას არ იწვევს პაციენტში. მთავარია გამოკვლევა, თუ რამდენად შეცვალა მან **გულის გეომეტრია, მისი ფორმა, სისხლის მიმოქცევა.**

**მანკის დიაგნოსტიკა და მკურნალობა** ძირითადად ხდება **ექოდოპლეროგრაფიული** კვლევის შედეგად. აქედან ჩანს, თუ **მანკის** როგორ ფორმასთან და სიმძიმის ხარისხთან გვაქვს საქმე. ყოველივე ამის შემდეგ განისაზღვრება და აირჩევა მკურნალობის მეთოდი და სქემა.

**რევმატიზმი** საფრთხეს უქმნის გულს. **შეძენილი მანკის დროს ის, ფაქტობრივად, პირველ ადგილზეა,** მაგრამ ისე არ უნდა ვიფიქროთ, რომ ვისაც **რევმატიზმი** აქვს, მას აუცილებლად ჩამოუყალიბდება **მანკი.** თუმცა, **მიტრალური სტენოზის დროს 90 პროცენტის შემთხვევაში რევმატიზმი ხდება მისი გამომწვევი მიზეზი.** ასაკში **გულის მანკის** ჩამოყალიბებას ხელს უწყობს სისტემური დაავადებები, მათ შორის: **სკლეროდერმია, წითელი მგლურა, ამილოიდოზი.** მის ჩამოყალიბებას შეიძლება ასევე ხელი შეუწყოს მძიმე ინფექციამ — **სეფსისმა.** არსებობს სეფსისის ისეთი ფორმა, რომელიც ზოგჯერ გულის გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებს.

**ამდენად, მოსახლეობა სერიოზულად უნდა მოეკიდოს გარკვეული დაავადებების დროულ გამოვლენასა და მკურნალობას.**

**იმისათვის, რომ რევმატიზმი გულის მანკში არ გადავიდეს,** დროულად უნდა ჩაიტაროს მკურნალობა, მიმართოს პროფილაქტიკურ შემოწმებას და აიცილოს გართულება.

**მანკის მკურნალობა საქართველოში ხელმისაწვდომია. გულის მანკით დაავადებულთა პრეპარატები ბევრად იაფია, ვიდრე სხვა წამლები.**

## კარიესს არასწორად მომზადებული ბოსტნეული იწვევს



***არასწორად მომზადებული ბოსტნეული ზრდის კარიესის რისკს, — ამბობენ ამერიკელი მკვლევარები. კვლევებით დამტკიცდა, რომ შემწვარი ბადრიჯანი, ყაბაყი და ბულგარული მწვანე წიწაკა შეიცავს მჟავას, რომელიც უარყოფითად მოქმედებს კბილის ემალზე. შეწვის დროს ამ ბოსტნეულში წარმოქმნილი მჟავა რაოდენობით გაზიანი უალკოჰოლო სასმელის მჟავას უტოლდება, რომელიც ასევე საზიანოა კბილებისა და საერთოდ ჯანმრთელობისათვის.***

მჟავას რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება აღნიშნული ბოსტნეულის მოთუშვისას.

ასევე ექსპერიმენტებით დამტკიცდა, რომ მოთუშვა ან შეწვა პომიდვრისა და ხახვის შემადგენლობაზე საერთოდ არ მოქმედებს. კვლევების კოორდინატორის, პროფესორ გრეჰემ ჩედვიკის აზრით, უმჯობესია, ეს ბოსტნეული უმად მივირთვათ, რათა თავიდან ავიცილოთ კარიესიც და ჯანმრთელობისთვის საშიში პრობლემებიც.




## კვირგვინოსნები

**შალვა რამიშვილი**
*„POSTV“-ის დირექტორი*



ჩემი დადანაშაულება **სექსუალურ შევიწროებაში** არის ბულინგისა და არხის მადისკრედიტირებელი ვითომ კამპანიის წამოწყების ერთ-ერთი საბაბი.

„რეზონანსი“

**ნიკა შენგელია**
*ფინანსისტი*



ლარის გამყარების მიუხედავად, **ფასები რომ არ იკლებს,** ეროვნული ბანკის და ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის ბრალია!

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ნათია თოდუა**
*მუსიკოსი*



ჩემი დის **მშობიარობას დავესწარი** და იმდენად დიდი ემოციები მივიღე, ერთი სული მაქვს, ეს დღე ჩემს ცხოვრებაშიც დადგეს.

„თბილისელები“

**მანანა აბრამიშვილი**
*მსახიობი*



ყოველთვის ვამბობდი, ზუსტად ვიცი, **რომ გავთხოვდები, დავქვრივდები-მეთქი.** მერე, როცა ეს მოხდა, ჩემი სიტყვები გამახსენეს. ამის შემდეგ სულ ვცდილობ, სიტყვები ასე დაუფიქრებლად აღარ წარმოვთქვა.

„თბილისელები“

**გიორგი კეკელიძე**
*პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი*



**არასდროს ჩავმჯდარვარ რომელიმე ხელისუფლების ნავში.**

„თბილისელები“

**თეონა ცხომელიძე**
*ჟურნალისტი*



საქართველოში **ძალიან ბევრი კარგი ჟურნალისტია.** უბრალოდ, მათ ჰყავთ ცუდი მენეჯერები.

„სარკე“

# ახსენით გულებს ჯაჭვი და ბოქლომი!

***სამიოდე წლის წინათ, როდესაც ქვეყნად კორონაპანდემია გამეფდა და ყველა მოვლენა საკუთარ რიტმს დაუქვემდებარა, დიდხანს ნაკოწიწები ფულით მოტოციკლეტი შევიძინე, რათა გადაადგილების პრობლემა მომეგვარებინა. შეძენით კი შევიძინე, მაგრამ ავტოფარეხი არ გამაჩნდა, ხოლო მოტოციკლეტის ღამით ქუჩაში დატოვება მის უეჭველ მოპარვას უდრიდა.***



რედაქციაში დავრეკე, ჩემი გასაჭირი თანამშრომლებს და უფროს მეგობრებს, **ჟანი სიხარულიძესა და ტარიელ ტაბატაძეს** გავუზიარე. ნახევარი საათიც არ გასულა და, ორივე შეთქმულივით დამადგა თავს. ტარიელმა სქელი, ორმეტრიანი საურმე ჯაჭვი მომიტანა, ჟანიმ კი, ძველი, მაგრამ უნიკალური ბოქლომი. მოტოციკლეტი რკინის ბოძს გამოვაბით და, მას შემდეგ მშვიდად მძინავს, რადგან ზუსტად ვიცი, რომ ადვილად ვერავინ გაიტაცებს!

მას შემდეგ, თითქმის 3 წელი გავიდა. ჟანი სიხარულიძე — ცნობილი ჟურნალისტი და პუბლიცისტი, სატირულ-იუმორისტული ჟურნალ „ნიანგის“ ბუმბერაზი რედაქტორის **ნოდარ დუმბაძის** ყოფილი მოადგილე და თავადაც იშვიათი იუმორისტული ნიჭის პატრონი, კოლორიტი კაცი — ჩვენ შორის აღარ არის, მიღმიერ სამყაროში გადასახლდა და იმისთვის, რომ უფალთან კიდევ უფრო ახლოს მივიდეს, ჩვენი — მიწიერი, მოკვდავი ადამიანებისგან მუდმივი ლოცვა და მოხსენიება სჭირდება.

ტარიელის და ჩემი მეგობრობა, რომელიც კიდევ არაერთხელ გამოსცადა და განამტკიცა უფლის განგებამ, დღემდე გრძელდება. ამ ადამიანმა კიდევ ბევრჯერ უანგაროდ გამიკეთა სიკეთე, ჩემი გული მადლიერებით მრავალჯერ აავსო, მადლიერი ადამიანი კი, მოგეხსენებათ, მადლის ჩამდენს გულწრფელ სიკეთეს უსურვებს...

**უკვე 3 წელია, თითქმის ყოველდღე, როდესაც სადმე საქმეზე მოტოციკლეტით გასვლას დავაპირებ და მის „აშვებას“ ვიწყებ, ჩემი ძვირფასი მეგობრების უანგარო სიკეთე მახსენდება... მაგონდება, დროში უსწრაფესად როგორ მომიგვარეს პრობლემა... ისევ და ისევ მადლიერებით ვივსები და ჩემთვის ვჩურჩულებ: ღმერთმა გაგიმარჯოს ტარიელ! უფალმა გაცხონოს, ჟანი!**

დაბოლოს, გავაცნობიერე, რომ ტარიელისა და ჟანის საქციელმა პირადად მე უდიდესი ცხოვრებისეული აღმოჩენა გამაკეთებინა, საიდუმლო ამახსნევინა:

**„დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა. ის იყო დასაბამიდან ღმერთთან. ყველაფერი მის მიერ შეიქმნა, და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა. მასში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ნათელი კაცთა. ნათელი ბნელში ნათობს და ბნელმა იგი ვერ მოიცვა“** — მოგვითხრობს იოანეს სახარება (თავი1. 1-5.).

— მართლაც, რა არის სიტყვა? — არამატერიალურია, აზრია, თუმცა, იმავდროულად, უდიდესი ენერგიის მატარებელი, რომლის ძალითაც თავად უფალმა შექმნა სამყარო. დიახ, უფალმა არამატერიალური სიტყვით, ანუ აზრით შექმნა ყოველივე მატერიალური, რასაც ვხედავთ და რასაც ვეხებით, ფაქტობრივად, უფალმა ენერგიის მატერიალიზაცია მოახდინა, ენერგია გარდაქმნა მატერიად!

**დავფიქრდი იმაზეც — რა დანიშნულება აქვს ქელეხს? ეს ხომ ჭირისუფლის მიერ გადახდილი ღირებულებაა, რათა ახალშესვენებული რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა მოიხსენიოს დადებითად, გაიხსენოს მის მიერ ჩადენილი სიკეთეები, დალოცოს, რათა ადამიანების მიერ გამოყოფილი მადლიერების ეს ენერგია სხეულთან გაშორებულ სულს ახალ სამყოფლამდე მიღწევაში დაეხმაროს!**

და განა ცოცხალ ადამიანებს არ სჭირდებათ ასეთი ენერგია? განა სწორედ ასეთი ენერგია არ არის ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის ჯანმრთელობისა და ბედნიერების საფუძველი?

ჩემს „აღმოჩენაში“ ახალი არაფერია. უბრალოდ, მე გამეხსნა გონება — მივხვდი, რომ ნებისმიერი ადამიანი უფლის მიერ ნაბოძები თავისუფალი ნებით სჩადის კეთილ საქციელს, რაც სხვა ადამიანების მადლიერებას განაპირობებს; შემდეგ კი მის მიერ ნაგროვები მადლის ამ უზარმაზარი ენერგიის მეოხებით, საკუთარ და შთამომავლობის ჯანმრთელობას, ბედნიერ მომავალს უზრუნველყოფს! ხოლო სხეულიდან გასვლის, ანუ გარდაცვალების შემდეგ ეს მადლი სულს ეხმარება მაღალ სივრცეებში დასამკვიდრებლად!

**ზუსტად ვიცი, როდესაც ტარიელმა და ჟანიმ 3 წლის წინათ ერთი ბანალური, ცხოვრებისეული გასაჭირისგან მიხსნეს, მიზნად არ ჰქონიათ, ამ საქციელით რაიმე დივიდენდი მოეპოვებინათ... ისინი, უბრალოდ, მეგობრულად დამეხმარნენ! მაგრამ, მათი გაკეთებული სიკეთე აგერ, თითქმის 3 წელია, თვალწინ მაქვს და ყოველდღიურად მახსენებს თავს!**

**ტარიელ ტაბატაძე და ჟანი სიხარულიძე,** ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ მათთვის იმ არაფრით გამორჩეულ საღამოს მე, რიგითი მოკვდავი — მათ მიმართ დადებითი ენერგიის, მადლიერების ულევ და უძირო რეზერვუარად მაქციეს...

**რადგან ყოველდღე, როდესაც ბოქლომს ვაღებ, რათა მოტოციკლეტს ჯაჭვი შემოვხსნა და საქმეების მოსაგვარებლად გავქროლდე, მათი სიკეთე მახსენდება!**

ჩემთვის ვჩურჩულებ, მაგრამ ვგრძნობ, ბუმბერაზ ენერგიად კონცენტრირებული ლოცვა ელვის უსწრაფესად როგორ მიემართება ადრესატებისკენ:

**„ღმერთმა გაგიმარჯოს, ტარიელ! ღმერთმა გაცხონოს, ჟანი!“**

***ზაზა დავითაია***



ჟანი სიხარულიძე და ტარიელ ტაბატაძე

# ღმერთმა გაგიმარჯოს, ტარიელ! ღმერთმა გაცხონოს, ჟანი!

## კვირგვინოსნები

**მერიკო კარტოზია**
*ტელეჟურნალისტი*



**ნამდვილად ცუდი მეგობარი ვარ, ცუდი დედაც და შვილიც** იმიტომ, რომ აღარც ოჯახის წევრებისთვის მცალია და არც სამეგობროსთვის. ყველაფერზე ვთქვი უარი და პირველ ადგილზე გადაცემის გაკეთება, რეიტინგი და იმ ადამიანებთან შეხვედრა დავაყენე, ვის გადასაღებადაც ჩავდივარ ამა თუ იმ ქვეყანაში.

„სარკე“

**ნუკი კოშკელიშვილი**
*ტელეწამყვანი*



მშურს იმ ხალხის, ვისაც **გემოვნებიანად ჩაცმა** შეუძლია.

„თბილისელები“

**თათა გიორგობიანი**
*მომღერალი*



რამდენიმენაირი თათა არსებობს, მოვა დრო და **ჩემი მეორე მე** აუცილებლად იტყვის სათქმელს.

„თბილისელები“

**თაკო ჭანუყვაძე**
*მსახიობი*



მე მსახიობი ვარ, ეს ჩემი საოცნებო პროფესია იყო ბავშვობიდან, ამიტომ **რეალობად ქცეულ, ნალოლიავებ ოცნებას არაფრის გამო შევცვლევი.** მიყვარს გაპრანჭვა, ფერადი სამოსი ჩემს შინაგან ბუნებას გამოხატავს.

„სარკე“

**თემო რცხილაძე**
*მომღერალი*



ჩემი ყველა სიმღერა **ჯერ ცოლს ეძღვნება** და მერე ყველასია.

„სარკე“



# მიხეილ ცაგარელი:
# ასტროლოგია, მეგობრობა და ზოდიაქოს ნიშნები

*— ფეთქებადი, ჭირვეული, ზოგჯერ დაუნდობელი ღრიანკალისთვის მეგობრობა რისი ტოლფასია? რას ითხოვს მეგობრისგან და ხშირ შემთხვევაში ვისთან მეგობრობს? დინამიკურმა, გამჭრიახმა, საკმაოდ ექსცენტრულმა, ენთუზიაზმით აღსავსე მშვილდოსანმა როგორი მეგობრობა იცის? ზოგჯერ დისტანციური რატომ არის ანდა თავად როგორი მეგობარი ესაჭიროება? ერთი შეხედვით ცივი და უხეში თხის რქა როდის ხდება თბილი და მზრუნველი? რა პრობლემა აქვს? რისი ერთგულია? ვინ გაუწევს იდეალურ მეგობრობას ანდა ყველაზე მეტად მჭიდრო ურთიერთობის დამყარება ვისთან გაუჭირდება? გულახდილ, ხელგაშლილ და კეთილ მერწყულს რისი თქმა არ შეუძლია? ვისთან და რატომ ცდილობს დამეგობრებას? პერიოდულად როგორია? რა შემთხვევაში იტყვის უარს მეგობრობაზე? ვისთან უადვილდება, ვისთან უჭირს ანდა ვინ შეიძლება იყოს მისი საუკეთესო მეგობარი? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* **მიხეილ ცაგარელი** *გვესაუბრება.*

— განვაგრძოთ საუბარი ადამიანთა ურთიერთობის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც მეგობრობაა. ამგვარად, როგორი მეგობარი შეიძლება იყოს, ზოგადად, ამა თუ იმ ზოდიაქოს წარმომადგენელი ანდა მას თავად როგორი მეგობარი ესაჭიროება?

— **8. ღრიანკალს ცხოვრების ფარული სტილი იზიდავს, მესაკუთრეა და ყველას ეჭვით უცქერს, ამიტომ ბევრთან ვერ გაიხსნება და არც მიენდობა. თუმცა, მიუხედავად ამისა, მეტად ერთგული მეგობარია და მეგობრობა მისთვის სიყვარულის ტოლფასია. იგი სიამოვნებით უღებს სახლის კარს მეგობრებს და ოჯახის წევრებად თვლის, მიუხედავად ამისა, პერიოდულად, მათთან დისტანციას იჭერს. მას ბევრი მეგობარი არ ჰყავს.** ცხოვრების ბოლომდე კი ერთი ან ორი მეგობარი თუ შემორჩება. ამის მიზეზი ფეთქებადი ხასიათი, ჭირვეულობა, უხეშობა და ზოგჯერ დაუნდობლობაც კია, რასაც ყველა ვერ აიტანს. **თავად ღრიანკალი მეგობრისგან ითხოვს ერთგულებას, საიდუმლოს შენახვას, ურთიერთპატივისცემას და სრულ ურთიერთგაგებას, რაც იშვიათობას წარმოადგენს,** ამიტომ ძალიან ცოტა ჭეშმარიტი მეგობარი ჰყავს და თითოეული რაიმე გარკვეული სფეროთია მასთან დაკავშირებული. ღრიანკალს მეგობრობას გაუწევს ნებისმიერი ზოდიაქოს ნიშნის წარმომადგენელი. მთავარია, იუმორის კარგი გრძნობა ჰქონდეს, რათა ერთად ხშირად იცინონ. მიუხედავად ამისა, **სტატისტიკის მიხედვით ის ყველაზე ხშირად მეგობრობს თევზებთან, კირჩხიბთან, თხის რქასთან და ქალწულთან.**

**9. მშვილდოსანი კი ძალიან კომუნიკაბელური, დინამიკური, ენერგიული, გამჭრიახი, საკმაოდ ექსცენტრული, მომხიბვლელი და ენთუზიაზმით აღსავსეა და ბევრ ადამიანთან უწევს ურთიერთობა, ამიტომ სხვადასხვა წრის, პროფესიის, სოციალური მდგომარეობისა და სტატუსის მქონე ადამიანებთან მეგობრობს. თუმცა, არ უყვარს, როცა დაუკითხავად მის ცხოვრებაში ჩაძიებას იწყებენ, ამიტომ ხშირად დისტანციას იჭერს მეგობრებთან.** ზოგიერთ მშვილდოსანს თავად საიდუმლოს შენახვა უჭირს, გადამეტებულად ცდილობს, მეგობარს თავს მოახვიოს თავისი მოსაზრებანი ან მორალი. მიუხედავად ამისა, ძალიან კარგი მეგობრობა იცის და მზად არის, მეგობარს ბოლომდე გვერდში დაუდგეს და არა აქვს მნიშვნელობა, რა სახის პრობლემა აქვს — პირადული, სამსახურის თუ ყოფიერი. **მშვილდოსანი მეგობარს ყოველთვის დაამშვიდებს, სწორ სიტყვებს მოძებნის და საქმითაც ეცდება, მისი პრობლემა მოაგვაროს.** თუმცა, ის მეგობრებისგანაც იმავეს ითხოვს, ამის გაკეთება კი ყველას როდი შეუძლია. შესაბამისად, **მშვილდოსანს** ესაჭიროება ისეთი მეგობარი, რომელიც ენერგიულობით გამოირჩევა, ცხოვრების მაღალი ტემპის შენარჩუნება შეუძლია, სხვადასხვა საკითხით ინტერესდება და ამით ღირსეულ პარტნიორობას გაუწევს და მისთვის საინტერესო კომპანიონი იქნება. ასეთნი კი უმთავრესად **ცეცხლის** სტიქიის ნიშნები (ვერძი, ლომი, მშვილდოსანი) არიან. ყველაზე მეტად კი მას **კირჩხიბთან** მეგობრობა გაუჭირდება.

**10. თხის რქას კი ძალიან უყვარს გარშემო მყოფებისთვის ჭკუის სწავლება ან რჩევის მიცემა. ეს ხდება იმიტომ, რომ გულწრფელად დახმარების გაწევა სურს,** თუმცა, ბევრს ეს აღიზიანებს და ვერ ხვდებიან, რომ საკმარისია, **თხის რქა** შეაჩერო, მას არ ეწყინება და მორალის კითხვით აღარ შეაწუხებს. **იგი ხშირად ცივი და უხეში ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ როგორც კი ერთგულებას დაანახვებთ, მაშინვე თბილი და მზრუნველი ხდება და მეგობარს ჭირსა თუ ლხინში მუდამ გვერდით დაუდგება. თხის რქას** ერთი პრობლემაც აქვს — მას განსხვავებული მოსაზრების მიღება უჭირს. ამის გამო დიდხანს კამათობს, რაც მეგობრულ ურთიერთობას ზიანს აყენებს. სამაგიეროდ, **იგი თავისი ურთიერთობებისა და ჩვევების მიმართ მეტად სტაბილურია. ბოლომდე მეგობრების ერთგული რჩება, არასოდეს არ უღალატებს და არ მიატოვებს.** თავად **თხის რქას** კი ისეთი მეგობარი ესაჭიროება, რომელიც მასთან გულახდილი, პირდაპირი იქნება და მუდამ დაუფარავად ეტყვის, რასაც ფიქრობს და გრძნობს. ასეთი იდეალური მეგობარი შესაძლოა, გახდეს **მიწის სტიქიის** (კურო, ქალწული), წარმომადგენლები. ყველაზე მეტად კი მჭიდრო ურთიერთობის დამყარება უჭირს **ლომთან, ტყუპთან, სასწორთან** და ზოგ შემთხვევაში **კირჩხიბთანაც.**

**11. მერწყული კი ზოდიაქოს ყველაზე მეგობრულ ნიშანს წარმოადგენს. იგი მუდამ გულახდილი, ხელგაშლილი და კეთილია. კამათი და კონფლიქტი არ უყვარს, დამთმობია და საკმაოდ რბილი.** „არას" თქმა უჭირს, რის გამოც შემდეგ საკუთარ თავზე ბრაზდება. **მერწყული გონიერია, ფიქრი უყვარს.** მას ძალიან ბევრი კარგი ნაცნობი და ამხანაგი ჰყავს და ცდილობს, ყველასთან გულთბილი დამოკიდებულება შეინარჩუნოს. მიუხედავად ამისა, ნამდვილი მეგობარი ბევრი არ ჰყავს, თუმცა, მათთან მეგობრობს სიცოცხლის ბოლომდე. მერწყული მეგობრისგან ითხოვს მაღალ სულიერებას და ცდილობს, იმეგობროს ინტელექტუალურ და განათლებულ ადამიანებთან, რომლებთანაც მეტი საერთო ინტერესები აქვს, მიუხედავად ამისა, პერიოდულად ძალიან ეგოცენტრულია და თვლის, რომ მეგობრობა ამ ცხოვრებაში უმთავრესია, ამიტომ მეგობრებმაც მასთან ურთიერთობას მეტი დრო უნდა დაუთმონ. გარდა ამისა, **მას ძალუძს, უარი თქვას მეგობრულ ურთიერთობაზე, თუკი ეს კავშირი საფრთხეს შეუქმნის მის თავისუფლებას.** უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მეტად მეგობრობა უჭირს **ქალწულთან და თხის რქასთან.** ასევე მარტივი არ იქნება მეგობრობა **კუროსთან, ლომთან და ღრიანკალთან.** ყველაზე კარგად და ადვილად მეგობრულ ურთიერთობას ამყარებს **ვერძთან, ტყუპთან, სასწორთან და მშვილდოსანთან.** ხშირად მერწყულის საუკეთესო მეგობარი ხდება **კირჩხიბი.** თავად მერწყულს ესაჭიროება მოსიყვარულე მეგობარი, რომელთანაც დაუფარავად ისაუბრებს თავის გრძნობებსა და ემოციებზე, რადგან მას სიყვარულის გამოხატვა და ამაზე საუბარი უჭირს. გონებისა და ემოციების ამგვარი დისბალანსის გამოსწორება კი ადვილად შეუძლიათ წყლის სტიქიის წარმომადგენლებს.

*რუბრიკას უძღვება*

***მარინა მერკვილაძე***

## 27 მარტი – 2 აპრილის ს ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
საქმეში წარმატებისთვის არაორდინარული გზები გამოიყენეთ. ჩანაფიქრის რეალიზება გაგიადვილდებათ მეგობრების დახმარებით. თქვენს მომხიბვლელობას ამ კვირაში მშვიდად გვერდს ვერავინ აუვლის, ამიტომ ხელსაყრელი პერიოდია პირადი ცხოვრების მოსაწესრიგებლად და ახალი ურთიერთობის დასამყარებლად. კარგად ჩაივლის შორეული მოგზაურობა და უცხოელებთან თანამშრომლობაც.

**კურო** (21.04-20.05)
ენერგიის დაქვეითების მიუხედავად, თუ გეგმის მიხედვით იმოქმედებთ, გარკვეული წარმატების მიღწევა შესაძლებელია. სირთულის შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. ფინანსურ მოგებას ხანგრძლივი პროექტები მოიტანს. ხელი შეეწყობა ახალი პირადი კავშირების დამყარებას, ნათესავებთან და მეგობრებთან ურთიერთობის აღდგენას. ახლო მანძილზე გამგზავრებაც ჯანმრთელობაზე დადებითად იმოქმედებს.

**ტყუპი** (21.05-22.06)
საუკეთესო განწყობით, თავდაჯერებითა და ხიბლით ნებისმიერ წრეში ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. სურვილის შემთხვევაში მოვალეობა-ვალდებულებებს უმოკლეს დროში გაართმევთ თავს და საკმარისი დრო დაგრჩებათ დასვენებისთვის. ახლობლები კი დაგეხმარებიან ბიზნესის აწყობაში, ახალი სამსახურის მოძიებაში ან შემოსავლის მიღებაში. მოგზაურობა დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს გიქადით, თუ უცნობებთან დამეგობრებას არ მოანდომებთ მთელ დროს.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
კარგი პერიოდია პირადი ინტერესების, მიზნებისა და გეგმების გადასახედად, კორექტირებისთვის, სამსახურის ან სპეციალობის შესაცვლელად. გარშემო მყოფნი ამ პერიოდში განსაკუთრებით კეთილგანწყობილი იქნებიან და დროულ და ღირებულ დახმარებას გაგიწევენ. შესაძლოა, აუცილებელი იყოს სახლისა და ოჯახურ პრობლემებში გარკვევა. საყვარელი ადამიანი კი კვლავ გაგახარებთ ურთიერთგაგებითა და ერთგულებით.

**ლომი** (23.07-23.08)
მყარი ჯანმრთელობა მხიარული განწყობის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ და ახალი იდეითა და საქმით დაინტერესებას განაპირობებს. თქვენი გავლენის სფერო და ავტორიტეტი მოიმატებს, ამიტომ რჩევისა თუ დახმარებისთვის შესაძლოა, არაერთმა ადამიანმა მოგმართოთ. პირად საკითხში შესაძლოა, მნიშვნელოვან ცვლილებებზე, სოციალური სტატუსის ამაღლებასა და ოჯახის გაფართოებაზეც დაფიქრდეთ. კარგი პერიოდია ხშირ-ხშირი გადაადგილებებისა და მოგზაურობისთვისაც.

**ქალწული** (24.08-23.09)
კომუნიკაციისა და საქმიანი აქტიურობის ზრდა საზოგადოებრივ პატივისცემას განაპირობებს. გარშემო მყოფთა კრიტიკას, მეგობრებთან კამათს მოერიდეთ და ეცადეთ, ყველასთან უფრო ტაქტიანი იყოთ. ახალი ცოდნის ათვისება ან უჩვეულო ადამიანებთან ურთიერთობა ბევრ სიამოვნებას გიქადით. გრძელვადიან ბიზნესთან დაკავშირებული ოპერაციებიც მომგებიანი იქნება. სტაბილური მატერიალური მდგომარეობა კი მშვიდად მუშაობის საშუალებას მოგცემთ.

## 27 მარტი – 2 აპრილის ს ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
მეტი აქტიურობით წარმატებასაც უფრო სწრაფად მიაღწევთ როგორც პირად ცხოვრებაში, ისე კარიერაში. საინტერესო იდეების მეშვეობით შეძლებთ საქმიანი კავშირების გამყარებასა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. კარგი დროა ახალ პროექტებზე მუშაობისა და ახალი პარტნიორების საძიებლად. მოგზაურობა დაუვიწყარ შთაბეჭდილებებსა და კარგ გამოცდილებას მოგიტანთ. ახალი ნაცნობობა კი შესაძლოა, ახალი სიყვარულის ჩასახვის საწინდარი გახდეს.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
სამუშაო მდორე და რუტინულ იერსახეს მიიღებს და შესაძლოა, დამღლელიც აღმოჩნდეს. მიუხედავად ამისა, ჩვეულებრივზე უფრო რომანტიკული და მგრძნობიარე იქნებით. ამიტომაც როგორც საქმიანი, ისე პირადი ურთიერთობებით სიამოვნებას მიიღებთ. მშვენიერი დროა ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის, მკურნალობის დასაწყებად ან პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩასატარებლად. მოულოდნელი მოგზაურობა ანდა უცხოეთში მყოფ მეგობრებთან ურთიერთობა დადებით ემოციებს შეგმატებთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
თავს ენერგიულად იგრძნობთ და შესაძლოა, ახალ საქმიან ურთიერთობას ჩაეყაროს საფუძველი. ამ პერიოდში გაცნობილი ადამიანები კარგი მეგობრები გახდებიან. ჯანმრთელობისა და განწყობის გაუმჯობესება ახალი გეგმების განხორციელებაში ხელს შეგიწყობთ. პირად სასიყვარულო ურთიერთობაში კი გადაწყვეტილება დროულად მიიღეთ და მოქმედება დაიწყეთ. თუ ყურადღებას არ მოადუნებთ, საქმიანი მივლინებაც და ტურისტული ვოიაჟიც წარმატებით ჩაივლის.

**თხის რქა** (22.12-19.01)
ენერგიის შესუსტების მიუხედავად, განწყობა გაგიუმჯობესდებათ და აქტიური მოქმედებების სურვილიც გაიზრდება, შესაძლო პერსპექტივების გამოყენებისთვის მეტი შრომა და ახლობლებისგან დახმარების მიღება მოგიწევთ. ყოველ საქმეს მეთოდურად და სიფრთხილით მიუდექით. მოგზაურობები, განსაკუთრებით კი საქმიანი ვიზიტები, უცხოეთში წარმატებას მოგიტანთ და სასიკეთო იქნება კარიერული ზრდისთვის.

**მერწყული** (20.01-18.02)
სამსახურში წარმატებისთვის არაორდინარული გზა გამოიყენეთ. ამ დროს დაწყებული საქმე კარგ შემოსავალს გიქადით. თავდაჯერება დაგეხმარებათ ახალი კავშირების დამყარებაში და სასიყვარულო ურთიერთობის სასიამოვნოდ წარმართვაში. თქვენი ორგანიზმის ამტანობა გაიზრდება და უფრო კომუნიკაბელური გახდებით. კარგი პერიოდია სანაცნობო წრის გასაფართოებლად. მოგზაურობაც სასიკეთოდ ჩაივლის.

**თევზები** (19.02-20.03)
უეცარი ინფორმაცია და მოვლენები გონივრულად, დინჯად გააანალიზეთ. საქმეს შემოქმედებითი მიდგომით და არატრადიციული გზებით სწრაფად შეასრულებთ და გარშემო მყოფთა ქებას დაიმსახურებთ. შესაძლოა, ფარული სასიყვარულო ურთიერთობა წამოიწყოთ. კონტაქტების უმეტესობა საქმიანი იქნება და შემოსავლის ზრდას მოემსახურება. მოგზაურობა განწყობას გაგიუმჯობესებთ. შესაძლოა, სულიერი მასწავლებელი ან კარგი მრჩეველიც შეიძინოთ.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
## 28, 29, 30 მარტი და 2 აპრილი

**7 მარტი – სავსემთვარეობა,**
**21 მარტი – ახალმთვარეობა, პიკი – 21.27 საათზე;**
**გაზაფხულის ბუნიობა და დღეღამტოლობა.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 27 მარტი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.53 საათზე, ჩადის 19.20 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 09.56 საათზე, ჩადის 28 მარტს 00.58 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 09.13 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს შეეცადეთ, საგვარეულოს ტრადიციები განავითაროთ. აზრები გააკონტროლეთ. ზედმეტს ნუ ილაპარაკებთ, საიდუმლოს ნუ გათქვამთ. მგრძნობელობა და მოვლენების აღქმის უნარი მოიმატებს. კარგი დღეა საბანკო ოპერაციებისთვის, კონსულტაციის მისაღებად, საქმიანი მიმოწერისთვის, საბუთების გასაფორმებლად, საკომუნიკაციო საშუალებების შესაძენად, მშენებლობისთვის, რეკლამისა და აუქციონისთვის, კოსმეტიკური პროცედურებისთვის. არ არის სასურველი უჰაერო სივრცეში ყოფნა, სიმძიმის აწევა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, ჰიაცინტი, ბერილი, სარდიონი, ლაბრადორიტი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის.

## 28 მარტი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.52 საათზე, ჩადის 19.21 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (14.32) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 10.40 საათზე, ჩადის 29 მარტს 02.01 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 09.48 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 05.39 საათიდან 14.32 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მზად უნდა იყოთ ვითარების მოულოდნელად შეცვლისთვის და მოულოდნელი შეხვედრებისთვის. დროს ფუჭად ნუ დაკარგავთ, ზედმეტს ნუ ილაპარაკებთ. კარგი დღეა მოლაპარაკებებისთვის, გაცვლითი ოპერაციებისთვის, სავაჭრო გარიგებებისთვის, ხელშეკრულების დადებად, საქმიანი მიმოწერისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, სწავლისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, მშენებლობისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, სველი წესით დალაგებისთვის, საკომუნიკაციო საშუალებების შესაძენად. არ არის სასურველი საიდუმლოს გამხელა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ქორწინება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, მხრები, ხელები, კუჭი, მკერდი. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ლაბრადორიტი, ზურმუხტი, აქატი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 29 მარტი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.50 საათზე, ჩადის 19.23 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 11.32 საათზე, ჩადის 02.57 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 10.38 საათზე. II ფაზა იწყება 06.33 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს გააკონტროლეთ ზედმეტი პატივმოყვარეობა და თავქარიანობა. ურთიერთობისას ეჭვიანობა იმატებს, მაღალია გარემოცვით უკმაყოფილება, წყენის გახსენება. დაპირებებს ნუ გასცემთ. მეტი თავშეკავება და წინდახედულობა გმართებთ. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, ხერხემლის, ძვლოვანი სისტემის, სახსრებისა და კბილების მკურნალობისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება. საბუთები ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, ოპალი, მარჯანი, მალაქიტი, რაუხტოპაზი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 30 მარტი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.48 საათზე, ჩადის 19.24 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 12.30 საათზე, ჩადის 31 მარტს 03.45 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 11.43 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 17.45 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ფინანსური სიურპრიზების დღეა. შესაძლოა, გადაწყვეტილება კარგად გააზრებული არ იყოს. **ცხოვრების განახლების შემაკავებელი ფაქტორებისგან გათავისუფლების დღეა!** ის, რაც ან ვინც მოსაშორებელია, მოიშორეთ. გამახვილებულია, ამავდროულად, პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევისა და საქმის სხვაზე გადაბარების სურვილი, დღეს დაშვებული შეცდომა ბუმერანგივით უკან დაგიბრუნდებათ. საკვებისა და სასმლის ხარისხი გააკონტროლეთ. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობისთვის, ხერხემლის, ძვლოვანი სისტემის, სახსრების, მუხლების სამკურნალოდ, ვაჭრობისთვის, ცხოველების შესაძენად. არ არის სასურველი ქორწინება, სესხის აღება, ბინის შეცვლა, დაპირებების გაცემა, საბუთები ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, მარგალიტი, ოპალი, მალაქიტი, რაუხტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მერწყულისთვის.

## 31 მარტი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.47 საათზე, ჩადის 19.25 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (02.47) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 13.31 საათზე, ჩადის 1 აპრილს 04.24 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 12.57 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 02.47 საათამდე. **ტენდენციები:** მიტევებისა და ურთიერთობის აღდგენის დღეა. ზედმეტად ჯიუტი, ამაყი და ეგოისტი ნუ იქნებით. უკონტროლო ემოციებს არ აჰყვეთ. მოსალოდნელია ადრე ჩაფიქრებული პოზიტიური იდეის რეალიზება. შესაძლებელია გავლენიან პირთან ურთიერთობის ჩამოყალიბება. კარგი დღეა ახალი სამსახურის დასაწყებად, იურიდიული საქმეებისთვის, მასაჟისა და არომათერაპიისთვის, გასართობი ღონისძიებებისთვის, ძვირფასი ნივთების შესაძენად, თმის შეჭრა-მოვლისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ნიშნობა, ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება, ბინის შეცვლა, პრეტენზიების გამოხატვა, ფიზიკური გადაღლა, სიმძიმეების აწევა, გულს გაუფრთხილდით და მეტად დაისვენეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, ქარვა, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 1 აპრილი, შაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.45 საათზე, ჩადის 19.26 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 14.34 საათზე, ჩადის 2 აპრილს 04.56 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 14.15 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს დაისვენეთ! ფიზიკურ გადაღლას, ნერვიულობას მოერიდეთ, ალკოჰოლურ სასმელს, ხორცეულსა და ტკბილ-მჟავე პროდუქტებს ნუ მიიღებთ. ნუ იჩქარებთ, საქმეს ესაჭიროება გააზრებული ნაბიჯების გადადგმა. კარგი დღეა საბავშვო ზეიმებისთვის, საიუველირო საქმიანობისთვის, საჩუქრებისა და ძვირფასი ნივთების შესაძენად, ახალი პროექტის ან სამსახურის დასაწყებად, გავლენიან პირებთან ურთიერთობისთვის, მოკლე მანძილზე მოგზაურობისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, შედეგიანია თვალების, ნერვული სისტემის მკურნალობა. არ არის სასურველი ქორწინება, ნიშნობა, ხელშეკრულების დადება, ფინანსური გარიგება, ბინის შეცვლა, ხელმძღვანელის კრიტიკა, პრეტენზიულობის გამოვლენა, სიმძიმის აწევა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, სარდიონი, ქარვა, სერდოლიკი, მთის ბროლი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვს. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 2 აპრილი, კვირა

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.43 საათზე, ჩადის 19.27 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (15.11) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 15.38 საათზე, ჩადის 3 აპრილს 05.23 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 15.33 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.03 საათიდან 15.11 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სასიკეთო დღეა დასახული გეგმის გააზრება-გაანალიზებისთვის. საჭმელ-სასმლის ვარგისიანობა გააკონტროლეთ, მოერიდეთ ფიზიკურ გადაღლას, სიმძიმის აწევას, ნერვიულობას, წვრილმანში ჩაძიებას, ზედმეტ პირდაპირობასა და კრიტიკულობას. კარგი დღეა ახალი ნაცნობობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის და საბავშვო ზეიმებისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, სწავლისთვის, ვაჭრობისთვის, რაიმეს შესაძენად. არ არის სასურველი ქორწინება, ნიშნობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სარისკო ქმედებანი, წყლის ტრანსპორტით მგზავრობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა და ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, ბრილიანტი, სერდოლიკი, მალაქიტი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## საეკლესიო კალენდარი




27 მარტი - ღირსი ბენედიქტე ნურსიელი

✝ 27 მარტი. ორშაბათი. ღირსისა **ბენედიქტესი; ევსქიმონ აღმსარებელისა,** ლამპსაკიელი ეპისკოპოსისა; **თეოგნოსტესი,** კიეველი და მოსკოველი მიტროპოლიტისა.

✝ 28 მარტი. სამშაბათი. მოწამისა **აგაპისა** და მისთანა შვიდთა მოწამეთა: **პუპლისა, ტიმოლასი, რომილესი, ორთა ალექსანდრეთა** და **ორთა დიონისეთა;** მღვდელმოწამისა **ალექსანდრესი,** სიდელი ხუცისა; მოწამისა **ნიკანდრესი;** მოწამეთა **ფილექტიმონისა** და მისთანათა.

✝ 29 მარტი. ოთხშაბათი. **ამბროსი აღმსარებელისა,** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა; ღირსთა: **პიმენ სალოსისა, ლეკთა განმანათლებელისა** და **ანტონი მესხისა,** მეფეთა მამხილებელისა.

✝ 30 მარტი. ხუთშაბათი. ღირსმოწამისა **გაბრიელ მცირისა,** ლეკთაგან წამებულისა; ღირსისა **ალექსი ღმრთისკაცისა;** მოწამისა მამისა მარინოსი; ღირსისა **თეოქტირისტე აღმსარებელისა.**

✝ 31 მარტი. პარასკევი. **კირილე იერუსალიმელი მთავარეპისკოპოსისა;** მოწამეთა: **ტროფიმესი** და **ევკარპისი** და მათთანათა; ღირსისა **ანინე** მონაზონისა.

✝ 1 აპრილი. შაბათი. **ღვთისმშობლის დაუჯდომლის შაბათი.** მოწამეთა **ქრისანთესი** და **დარიასი** და მათთანა მოწამეთა: **კლავდი ტრიბუნისა,** მეუღლისა მისისა **ილარიასი** და ძეთა მათთა **იასონისა** და **მავრისა, დიოდორე ხუცისა** და **მარიანე დიაკონისა;** მოწამისა **პანქარესი.**



31 მარტი - წმინდა კირილე იერუსალიმელი

✝ 2 აპრილი. კვირა. **დიდმარხვის მე-5 კვირა.** ღირსისა **მარიამ მეგვიპტელისა;** ღირსთა: **იოანესი, სერგისა, პატრიკისა** და სხვათა, წმიდა **საბას** ლავრაში მოწყვეტილთა; მოწამეთა: **ალექსანდრასი, კლავდიასი, ევფრასიასი, მატრონასი, იულიანასი, ეფემიასი** და **თეოდოსიასი; ნიკიტა** აღმსარებელისა, აპოლონიადელი მთავარეპისკოპოსისა; **იოვანე** ურჰაელ კათალიკოსისა.





საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა
გიდმედი
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6,
მეხუთე სართული. 591 35 33 55

შევიძენ რუმინულ წიგნის თაროებს კარგ მდგომარეობაში.
593-64-26-01, 574-40-78-70

თამარისი Tamarisi
დაინახე:




ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38
571 19 93 93 598 79 40 00
www.facebook.com/tamarisioptics



მაღაზია «ბუკვიცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. სალამური; 7. ფელონია; 11. ნიუტონი; 12. დისონანსი; 13. ლერწამი; 14. უნიტაზი; 15. ირიგაცია; 20. პროპანი; 21. კინოლოგი; 25. ანტონიმი; 26. მიზანი; 29. დეკალიტრი; 30. მოგადიშო; 34. რამაზი; 35. კაბინეტი; 38. სანდალეტი; 39. ალანია; 41. დატივი; 42. აპოლონი; 43. სიმინდი; 47. გაზონი; 48. ანაბიოზი; 52. ლამანში; 53. კრიტიკა; 56. პროვიანტი; 57. ადრესი; 59. ნოსტალგია; 60. მილენიუმი; 61. პინა.

შვეულად: 1. სიდრი; 2. ლასტი; 3. მანია; 4. რანგი; 5. სულიკო; 6. ტობაგო; 7. ფილიპი; 8. ლორდოზი; 9. ნიაგარა; 10. ანილინი; 11. ნიუ; 16. რანჩო; 17. გნომა; 18. ცვილი; 19. აკიდო; 22. ნოკია; 23. ლილვი; 24. გოტიე; 26. მირიანი; 27. ზამბახი; 28. ნეზვი; 30. მასხარა; 31. გონდოლა; 32. დიალოგი; 33. შველი; 35. კიდე; 36. ბატკანი; 37. ნავთობი; 40. ალიზი; 43. სილა; 44. მამიდა; 45. ნანსენი; 46. ლი; 49. ნერგი; 50. ბუვიე; 51. ოპალი; 53. კინი; 54. ტატო; 55. კალო; 57. აია; 58. ინა.

კაბალაბადალიტონიკილიტანიასაათიოდესანაცია
სინდისიმონიავაგონიტიარარატინისანიტარიელი

| მონური დამოკიდებულება | გოლი, სწორი | უალკოჰოლო გაზიანი სასმელი | საყოველთაო ლოცვა | 60 წუთი | შავი ზღვისპირა ქალაქი | ერი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ქალის სამოსი | საწვიმარი | დაუსაბუთებელი, ცარიელი სიტყვა | ფოლგა | ტბა მოზამბიკში | დაახლოებით ათი | მკურნალობა, გაჯანსაღება (ლათ.) |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. ლერწმის ჩასაბერი ხალხური საკრავი; 7. ყოველგვარი მძიმე დანაშაული აშშ-ის სისხლის სამართალში; 11. მსოფლიო მიზიდულობის კანონის ავტორი; 12. კეთილხმოვანების დარღვევა; 13. მარცვლოვანთა ოჯახის ერთწლიანი მცენარე; 14. საპირფარეშო ჭურჭელი; 15. მიწების ხელოვნური რწყვის ღონისძიებათა სისტემა; 20. ორგანული ნაერთი, გამოიყენება შიგაწვის ძრავის საწვავად; 21. მეძაღლეობის სპეციალისტი; 25. სიტყვა, რომელსაც სხვა სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობა აქვს; 26. ... ამართლებს საშუალებას; 29. სითხის საზომი ერთეული, ათი ლიტრი; 30. სომალის დედაქალაქი; 34. ხატაეთის მეფე („ვეფხისტყაოსანი“); 35. პასუხისმგებელი პირის სამუშაო ოთახი; 38. ერთგვარი საზაფხულო ფეხსაცმელი; 39. ოსეთი; 41. მიცემითი ბრუნვა; 42. სინათლის, ხელოვნების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 43. მარცვლოვანი კულტურა; 47. დეკორატიული მიზნით დათესილი ბალახი; 48. სასიცოცხლო პროცესის დროებითი შენელება ზოგ ორგანიზმში; 52. სრუტე საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის (დეფისის გარეშე); 53. უარყოფითი მსჯელობა რისამე შესახებ; 56. სურსათი; 57. წერილობითი მიმართვა ცნობილ მოღვაწეს მის იუბილესთან დაკავშირებით; 59. სამშობლოს სევდა; 60. ათასწლეული; 61. სასწორის თეფში.

შვეულად: 1. ვაშლის ღვინო; 2. გემის ტვირთის წონის საზომი ერთეული; 3. ძლიერი მიდრეკილება რაიმესადმი; 4. ხარისხი, თანრიგი; 5. ა. წერეთლის ლექსი; 6. სახელმწიფო ტრინიდადი და ...; 7. ფრანგი მსახიობი მამაკაცი; 8. ხერხემლის მკვეთრი გაღუნულობა წინისკენ; 9. მდინარე ჩრდილოეთ ამერიკაში; 10. ზეთოვანი სითხე, იყენებენ საღებავების დასამზადებლად; 11. საავადმყოფო თბილისში ... ჰოსპიტალი; 16. მესაქონლეობის ფერმა აშშ-ში; 17. მოკლე ზნეობრივი დამრიგებლობითი გამონათქვამი; 18. სანთელი; 19. ვაზის მოკლედ აჭრილი წყვილმტევნიანი რქა; 22. ფინური ტელეფონების ფირმა; 23. მბრუნავი ღერო მექანიზმებში; 24. გვარი ა. დიუმას ქალისა კამელიებით; 26. პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე; 27. ყვავილი; 28. დედალი ღორი; 30. კლოუნი; 31. ვენეციური ნავი; 32. საუბარი ორ პირს შორის; 33. ირმისებრთა ოჯახის ცხოველი; 35. ბრტყელი საგნის ნაპირი; 36. ცხვრის ნაშიერი; 37. საწვავი სითხე; 40. გამოუმწვარი აგური; 43. წვრილი ქვიშა; 44. მამის და; 45. ნორვეგიელი მოგზაური; 46. მსახიობი ბრიუს ...; 49. დასარგავად განკუთვნილი ნორჩი მცენარე; 50. ფრანგი მწერალი („იზა“); 51. სხვადასხვა ფერის მინერალი; 53. ირლანდიელი ფეხბურთელი; 54. ნ. ბარათაშვილის თიკუნი; 55. მხატვარი ქალი; 57. ტაძარი თურქეთში ... სოფია; 58. თმის ბუნებრივი საღებავი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ნამუსი | ქართველი მსახიობი მამაკაცი | მუხლის სახსრის ანთება | სომხეთის საფეხბურთო კლუბი | იაპონური ავტო | რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გმირი |
|---|---|---|---|---|---|

| მოდელი ... კროუფორდი | საეკლესიო თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვა | მატარებლის შემადგენელი ნაწილი | რომის პაპის გვირგვინი | შალის საპალტოე ქსოვილი | უმცროსი მედიცინის მუშაკი | ინგლისური ლუდი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




WWW.ASAVALI.COM
mail@asavali.com

რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
2023 წლის 27 მარტი – 2 აპრილი №14 (1478)
გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“.**
ტელეფონები: (+995) 32 215-25-25; (+995) 32 215-35-35;
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


THE FLAG
OF THE
UNITED STATES
OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001

Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol